ბრალდებულის შეცდომაში შეყვანის გზით მოპოვებული მტკიცებულების დასაშვებობა

თამარ ნემსაძე

წარმოდგენილია სამართლის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

სულხან-საბა ორბელიანის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტი

თბილისი, 0164, საქართველო

სექტემბერი, 2020

საავტორო უფლება 2020 თამარ ნემსაძე

სულხან-საბა ორბელიანის სასწავლო უნივერსიტეტი

სამართლის ფაკულტეტი

ვადასტურებ, რომ გავეცანით ნემსაძე თამარის მიერ შესრულებულ სამაგისტრო ნაშრომს დასახელებით: „ბრალდებულის შეცდომაში შეყვანის გზით მოპოვებული ინფორმაციის დასაშვებობა“ და ვაძლევ რეკომენდაციას სულხან-საბა ორბელიანის სასწავლო უნივერსიტეტის სამართლის ფაკულტეტის საგამოცდო კომისიაში მის განხილვას სისხლის სამართლის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად“

ხელმძღვანელი: ბესიკ მეურმიშვილი

თარიღი:02.09.2020.

სულხან-საბა ორბელიანის სასწავლო უნივერსიტეტი სამართლის ფაკულტეტი

როგორც წარმოდგენილი ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

სტუდენტი: თამარ ნემსაძე

თარიღი: 02.09.2020

რეზიუმე

ბრალდებული სამართალდამცავი ორგანოების ტერიტორიაზე მოხვედრისას მიზანმიმართული ობიექტი შესაძლოა იყოს, ვინაიდან სამართალდამცავი ორგანოების წარმოდგენა მისი დამნაშავეობის შესახებ, ავტომატურად განაწყობთ ბრალდებულისგან მაინკრიმინირებელი ინფორმაციის მოპოვების მიზნით. მოცემულ შემთხვევაში, ასევე ბრალდებულის ფსიქოლოგიური მდგომარეობა არის გასათვალისწინებელი, ვინაიდან ადვილად მოწყვლად კატეგორიას წარმოადგენს, ერთი მხრივ, სამართლებრივი ცნობიერებიდან გამომდინარე და მეორე მხრივ, გამოკითხვის/დაკავების სტრესული სიტუაციიდან გამომდინარე. შესაბამისად, იმისთვის, რომ ბრალდებულის, როგორც პროცესის სუბიექტის მიმართ სათანადო მიდგომები დაინერგოს, უდანაშაულობის პრეზუმფციისა და თვითინკრიმინაციის პრივილეგიის პრინციპებიდან გამომდინარე, ბრალდებული უზრუნველყოფილი უნდა იყოს ეროვნულ დონეზე სათანადო პროცესუალური გარანტიებით. ასევე მნიშვნელოვანია არაგანსაზღვრული საკანონმდებლო ინტერპრეტაცია არ წარმოადგენდეს აღნიშნული გარანტიებისთვის გვერდის ავლის საშუალებას.

სამაგისტრო ნაშრომში, აღნიშნული კუთხით განხილულია ბრალდებულისგან მაინკრიმინირებელი ინფორმაციის გამოკითხვის მიმდინარეობისას ფარული ჩაწერის გზით მოპოვება, რომელიც შესაძლებელია საქმის არსებითი განხილვის სხდომაზე გამოყენებული იყოს, როგორც პირდაპირი მტკიცებულება. აღნიშნული საკითხის განხილვისას გაანალიზდება, მოცემული წესით მოპოვებული მაინკრიმინირებელი ინფორმაციის მტკიცებულებად დასაშვებობის მიზანშეწონილობა. მოცემული მიზნით, კი შეფასდება ნორმის ინტერპრეტაციის შესაბამისობა ბრალდებულის საპროცესო გარანტიებთან,

ასევე ინფორმაციის ფარულად მოპოვებისას ის გარემოებები, რომელშიც პირისგან ინფორმაცია მოიპოვება. მოცემული ნაშრომის მიზანია გამოავლინოს ის ხარვეზი, რაც შეიძლება საფუძველი იყოს ბრალდებულის საპროცესო გარანტიებისთვის გვერდის ავლის. საპროცესო კანონმდებლობა წარმოადგენს ბრალდებულისთვის მნიშვნელოვანი საპროცესო გარნტიების ბაზას, თუმცა ხშირ შემთხვევაში არსებული საკანონმდებლო უზუსტობა და ნორმათა შორის შუსაბამობა საფრთხეს წარმოადგენს ნორმების თვითნებური განმარტების.

Resume

The accused is a targeted object when entering the territory of law enforcement agencies. law enforcement agencies idea about their crime will automatically arrange for to obtain criminalizing information from the accused. In this case, the psychological condition of accused also should be taken into account, as he is an easily vulnerable category, due to legal awareness and, due to the stressful situation of interrogation/detention. Accordingly, in accordance with the principles of the presumption of innocence and the privilege of self-incrimination against the accused, appropriate procedural safeguards should be provided at the national level. It is also important that vague legislative interpretations do not constitute a means of circumventing these guarantees.

The master's thesis discusses obtaining secret information from the accused during the interview of the accused by law enforcement agencies., which may be used as direct evidence at the hearing on the merits. Defendant's testimony This is the information provided to the court on the circumstances of the criminal case. And the information provided by the accused to the investigative agencies has no probative value, because If the accused objects, it shall be impermissible to publicly read the information provided by him/her during an interview before a hearing on the merits or to play (demonstrate) the audio or video recording of this information and to use this information as evidence. But this restriction shall not apply to information obtained as a result of operative investigate or covert investigative actions. Based on the practice, the law enforcement bodies spread the mentioned rule at the stage of investigative action of the person interview. During the discussion of this issue, will be analyzed the admissibility of incriminating information obtained through covert recording. For this purpose, the compliance of the interpretation of the norm with the procedural guarantees of the accused

will be analyzed. The circumstances in which the information is obtained from the person will also be assessed. The purpose of this paper is to identify deficiencies that may be grounds for circumventing the defendant's procedural safeguards. Procedural law on the one hand is the basis of important procedural guarantees for the accused, although in many cases the existing legislative inaccuracy and inconsistency between the norms threaten the arbitrary interpretation of the norms.

სარჩევი

შესავალი x

I. ბრალდებულის დუმილის უფლება და აღნიშნული საპროცესო გარანტიის წარმოშობის/გავრცელების ფარგლები 1

1. ბრალდებული, როგორც პირველადი ინფორმაციის წყარო 1

1.1. ბრალდებული, როგორც პროცესის სუბიექტი 1

1.2. ბრალდებული, როგორც მტკიცებულების წყარო 4

1.3. ბრალდებული, როგორც სანდო მოწმე 8

2. პირის აღიარებითი ჩვენების ფარული ჩაწერა სტატუსის მიხედვით 10

2.1. ოფიციალურად ბრალდებული 10

2.2. de facto ბრალდებული 13

II. თვითინკრიმინაციის მფარავი საპროცესო გარანტიების მიმართება ბრალდებულისგან ინფორმაციის ფარულად მოპოვებასთან 16

1. მიმართება ბრალდებულის საპროცესო უფლებებთან 16

1.1. პირის ინფორმირება საკუთარი თავის წინააღდეგ ინფორმაციის მიწოდებაზე 16

1.2. ბრალდებულის ინფორმირება აუდიო-ვიდეო ჩაწერის შესახებ 20

1.3. ბრალდებულის უფლება ისარგებლოს დუმილის უფლებით სასამართლო განხილვისას 24

2. მიმართება სხვა ძირითად პრინციპებთან 29

2.1. უდანაშაულობის პრეზუმფცია: 29

2.2. ჯეროვანი დაცვის გარანტია 32

III. ბრალდებულის გამოკითხვისას აღიარების ფარულად მოპოვება დასაშვებობასა და დაუშვებლობას შორის 36

1. ბრალდებულის ინფორმირების გარეშე მისი გამოკითხვის ჩაწერა, როგორც გამონაკლისი 36

1.1. კონფიდენციალურობის გონივრული მოლოდინი 36

1.2. გამოძიების ინტერესები 37

2. აღიარებითი ინფორმაციის მოპოვების ხერხი 41

2.1. გამოკითხვის საგამოძიებო მოქმედების სამართლებრივი შედეგების გაფართოვება 42

2.2. მოტყუება, როგორც კანონმდებლობის დარღვევის ხერხი 44

2.3. 247-ე მუხლის 1-ლი ნაწილის საპროცესო გარანტიის და მე-2 ნაწილის საგამონაკლისო წესის ურთიერთმიმართება 49

3. გარემო, რომელშიც ინფორმაცია მოიპოვება 55

3.1. ზეწოლის პრეზუმფცია 55

3.2. კერძო საუბრის ხასიათი 60

დასკვნა 64

სამეცნიერო ლიტერატურა 71

შესავალი

საგამოძიებო მოქმედების ჩატარების მიზანია ფაქტებისა და გარემოებების დადგენა, რომელსაც კავშირი აქვს კონკრეტულ სისხლის სამართლის საქმესთან და მიმართულია ჭეშმარიტების დადგენისა და დანაშაულის ჩამდენი პირის გამოვლენისკენ.[1] აღნიშნული მიზანი მნიშვნელოვანია მიღწეული იყოს ადამიანის ძირითადი უფლებებისა და თავისუფლებების პატივისცემით. პირის პასუხისმგებლობის საკითხი გადაწყვეტა დაუშვებელია დაკავშირებული იყოს სახელმწიფო უწყებების თვითნებობასთან, ბრალდებულის დამცავი მექანიზმების უგულებელყოფასთან. პირის მიერ დანაშაულის ჩადენის ვარაუდი არის მხოლოდ ეჭვი, რომელიც შეიძლება გაქარწყლდეს[2].

სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით გათვალისწინებულ ერთ-ერთ სახელმძღვანელო პრინციპს წარმოადგენს პიროვნების ღირსების პატივისცემა, რომელიც კრძალავს წამების, ძალადობის, სასტიკი მოპყრობის, მოტყუების, სამედიცინო ჩარევის, ჰიპნოზის, ასევე სხვა ისეთი ღონისძიებების გამოყენებით მოქმედებას, რომლებიც ადამიანის მეხსიერებაზე, აზროვნებასა ან ნების თავისუფლებაზე ზემოქმედებს.[3] მოცემული საპროცესო დანაწესი, თვითინკრიმინაციისგან დაცვის პრივილეგიით სარგებლობის პირობას წარმოადგენს, რაც ბრალდებულის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პროცესუალური გარანტიაა. მისგან გამომდინარეობს ბრალდებულის ნების თავისუფლება, თავად

---

[1] იზორია ლ., კორკელია კ., კუბლაშვილი კ., ხუბუა გ., საქართველოს კონსტიტუციის კომენტარები, ადამიანის ძირითადი უფლებანი და თავისუფლებანი, თბილისი, 2005, 177

[2] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2014 წლის 24 დეკემბრის №3/3/601 გადაწყვეტილება საქართველოს უზენაესი სასამართლოს კონსტიტუციურ წარდგინებაზე საქართველოს 1998 წლის 20 თებერვლის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 546- ე მუხლის და ამავე კოდექსის 518- ე მუხლის პირველი ნაწილის კონსტიტუციურობის თაობაზე, II-11

[3] სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-4 მუხლის მე-2 ნაწილი

გადაწყვიტოს საგამოძიებო ორგანოებთან თანამშრომლობა, ყოველგვარი იძულების გარეშე[4]. იძულებაში იგულისხმება არა მხოლოდ პირის ნებაზე ზეწოლის, არამედ ასევე პირის ნების უგულებელყოფით მტკიცებულების მოპოვება[5]. ასევე, აღნიშნული გარანტია მნიშვნელოვან სახელმძღვანელო მითითებას წარმოადგენს სახელმწიფოსთვის, რათა ბრალდებულზე, როგორც პოტენციური მტკიცებულების მატარებელ ობიექტზე, ზემოქმედების გარეშე, აწარმოოს გამოიძიება. ყოველივე აღნიშნული, უზრუნველყოფს მართლმსაჯულების ჯეროვანი აღსრულებისა და მიღებული გადაწყვეტილების დასაბუთების ხარისხობრივ სტანდარტს.

თვითინკრიმინაციისგან დაცვის პრივილეგია თავის თავში მოიცავს ბრალდებულის დუმილის უფლებას[6], რომლის საფუძველზეც ბრალდებულს შესაძლებლობა აქვს არ მიაწოდოს საგამოძიებო უწყებებს მისი მაინკრიმინირებელი ინფორმაცია. აღნიშნული კი, გამორიცხავს სამართალდამცავი ორგანოების შესაძლებლობას, სისხლის სამართლის საქმე წარმართონ ბრალდებულის ნების საწინააღმდეგოდ, პირდაპირი თუ ირიბი ზემოქმედების საშუალებებით.[7] თუმცა ბრალდებულის თვითინკრიმინაციისგან დაცვის პრივილეგიით სარგებლობა არ წარმოადგენს აბსოლუტურ პროცესუალურ გარანტიას, ისეთ მტკიცებულებებთან მიმართებით, რომლებიც ბრალდებულის ნების მიუხედავად არსებობს. აღნიშნულ მტკიცებულებებში მოიაზრება სისხლის, სუნთქვის, დნმ-ის ნიმუში და სხვა, რომელიც ბრალდებულის მიმართ

---

[4] ფაფიაშვილი ლ., თუმანიშვილი გ., კვაჭანტრაძე დ., ლიპარტელიანი ლ., დადეშქელიანი გ., გუნცაძე შ., მეზვრიშვილი ნ., თოლორაია ლ., სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის კომენტარები, თბილისი, 2015, 180

[5] ლალიაშვილი თ., კონფლიქტი ფარულ საგამოძიებო მოქმედებებსა საგამოძიებო მოქმედებებსა და ადამიანის ძირითად უფლებებს შორის, ჟურნ. „სამართალი და მსოფლიო“, N6, თბილისი, 2017, 35

[6] ტრექსელი შ., ადამიანის უფლებები სისხლის სამართლის პროცესში, ვ. გოგელიას, ე. ლომთათიძეს, ე. ქარცივაძეს, თ. ივანიშვილის, მ. ნარინდოშვილის თარგმანი, კ. ვარძელაშვილის, ლ. ფაფიაშვილის, მ. ნარინდოშვილის ნ. მჭედლიძეს, რედაქტორობით, თბილისი, 2009, 361

[7] გროესტადი ა, რუი იონ პ., ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-5 და მე-6 მუხლების გამოყენება სისხლის სამართლის საქმეებზე, თბილისი, 2012, 32

იძულების გამოყენების მართლზომიერ გარემოებებს წარმოადგენს.[8] თუმცა ყველა შემთხვევაში მოცემული საშუალებების გამოყენების inter alia არსებობა, არ უნდა განიმარტოს, ნებისმიერ ფორმით მისი გამოყენების მართლზომიერ პირობად[9].

ყურადღების ღირსია, ბრალდებულის მიერ საგამოძიებო ორგანოებისთვის ინფორმაციის მიწოდება, რომელიც მას ამხელს დანაშაულის ჩადენაში და რომელსაც წინ უძღვის, სამართალდამცავი ორგანოს მხიდან არაპირდაპირი ზემოქმედების ფორმა- მახის დაგება, რაც ბრალდებულის თვითინკრიმინაციის გარემოებებს ქმნის. აღნიშნული კუთხით, განიხილება ბრალდებულის გამოკითხვის პროცესი და მის მიერ დანაშაულის აღიარების ფარული ჩაწერა, ვინაიდან საქართველოს პრაკტიკიდან გამომდინარე, ხშირია შემთხვევები, როდესაც ბრალდებულის დაკავებისას, ადვოკატის კონსულტაციამდე, მის მიერ მიცემულ მაინკრიმინირებელ ინფორამციას ფარულად იწერენ. მოცემულ შემთხვევაში, კონრეტული ზემოქმედების ფორმა, შესაძლებელია ბრალდებულის საპროცესო გარანტიის მნიშვნელოვნად შეზღუდვას იწვევდეს და მას უფლებრივი მდგომარეობის კუთხით ზიანს აყენებდეს, იმ ფაქტორების გათვალისწონებით, რომ ფარული ჩაწერის საგამონაკლისო წესის, ბრალდებულის გამოკითხვის შემთხვევებზე გავრცელება მტკიცებულებითი მნიშვნელობას იძენს.

საქართველოს კონსტიტუციის 31-ე მუხლის მე-10 პუნქტის თანახმად კანონის დარღვევით მოპოვებულ მტკიცებულებას იურიდიული ძალა არა აქვს, შესაბამისად, სახელმწიფო მტიცებულების მოპოვებისას სათანადო გულმოდგინება უნდა გამოიჩინოს კანონისა და ადამიანის უფლებათა დაცვის მექანიზმების გათვალისწინებით.

---

[8] იხ. J.B. v. SWITZERLAND, [EcHR], App.no.31827/96, 3 May 2001, Par.68.

[9] „ჯალო გერმანიის წინააღმდეგ“ [ECtHR], განაცხადი, no.54810/00, 2006 წლის 11 ივლისის განჩინება, პარ.122.

საკვლევ ნაშრომში პასუხი გაეცემა შემდეგ კითხვებს, რამდენად მიზანშეწონია ბრალდებულის აღიარებითი ინფორმაციის მოპოვება ფარულად კონკრეტულ პირობებში, კერძოდ, გამომდინარეობს თუ არა ბრალდებულის აუდიო-ვიდეო ჩაწერის შესახებ გაფრთხილება, ბრალდებულის საპროცესო უფლებებიდან? ასევე, ფარულად ბრალდებულისგან აღიარებითი ინფორმაციის მოპოვებით დაფარვა ისეთი საპროცესო გარანტიების, როგორიცაა ადვოკატის კონსულტაცია, დუმილის უფლება რადმდენად პასუხობს ბრალდებულის საპროცესო გარანტიების ამოქმედების შემთხვევას? რამდენად სწორად ხდება სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის (შემდგომში სსსკ) საგამონაკლისო ნორმის ინტერპრეტაცია ? შესაძლებელია თუ არა ინფორმირების გარეშე ჩაწერის საგამონაკლისო დანაწესის გავრცელება, საგამოძიებო უწყებების კონტროლ-ქვეშ არსებულ გარემოებებში? სწორედ აღნიშნული მიმართულებით იქნება განხილული ბრალდებულის თვითინკრიმინაციის საკითხი, ეროვნული სასამართლო პრაქტიკისა და ევროპული სასამართლოს მიდგომის მიხედვით.

საკვლევი ნაშრომის მიზანია, ბრალდებულის საგარანტიო უფლების წარმოჩენა და მასზე ზემოქმედების შესაძლებლობების განხილვა, ფარული მოქმედებით მოპოვებული აღიარებითი ინფორმაციის, როგორც მტკიცებულების დასაშვებობის შეფასების კუთხით. რამდენად გამართლებულია ბრალდებულის თვითინკრიმინაციისგან დაცვის უფლების საგარანტიო მიზანზე ზემოქმედების კონკრეტული ფორმა, სად გადის ზღვარი ბრალდებულის საპროცესო გარანტიებსა და საგამოძიებო უწყებების საგამონაკლისო პრივილეგიებს შორის. თემის აქტუალურობაზე მიუთითებს, ერთი მხრივ, აღნიშნული მტკიცებულების გამოყენების პრაქტიკული მნიშვნელობა სისხლის სამართლის პროცესში, როგორც საგამოძიებო უწყებების, ასევე სასამართლოს მხრიდან, მეორე მხრივ, ბრალდებულის თვითინკრიმინაციისაგან დასაცავად, საპროცესო გარანტიებით უზრუნველყოფის აუცილებლობა და აღნიშნულ

პრივილეგიასა და საგამონაკლისო შემთხვევებს შორის არსებული ბუნდოვანება და სავარაუდო თვითნებობის რისკების გამორიცხვა.

ნაშრომში გამოყენებულია დესკრიფციული, ისტორიული, ანალიტიკური და ლოგიკური, მეთოდები, რათა ფართოდ შეფასდეს დუმილის უფლების, როგორც თვითინკრიმინაციისგან დაცვის პრივილეგიის შინაარსობრივი მხარის მოქმედების მასშტაბები, მისი ნორმატიული ანალიზიდან გამომდინარე, ასევე ფარული ჩაწერის საგამონაკლისო შემთხვევების გამოკითხვის პროცესზე გავრცელების ნორმატიული ინტერპრეტაციის საკითხი. შედარებით-სამართლებრივი მეთოდი, რათა გაანალიზდეს სასამართლო პრაქტიკის მიხედვით, მასზე ზემოქმედების შესაძლებლობის განსაზღვრულობის საკითხი და ა.შ.

ნაშრომი შედგება სამი თავისგან, პირველ თავში, უშუალოდ განიხილება ბრალდებულის მიერ დუმილის უფლების გამოყენების საპროცესო გარანტია, აღიარებითი ჩვენების გამოყენების ჭრილში, მისი მტკიცებულებითი მნიშვნელობა, სანდოობა და ასევე პროცესუალური ასპექტები: ბრალდებულის მიერ დანაშაულის აღიარების ფარული ჩაწერისას, საპროცესო გარანტიის ამოქმედების და გავრცელების კუთხით. მეორე თავში, შეფასდება ბრალდებულისგან ფარულად ინფორმაციის მოპოვება ბრადებულის საპროცესო უფლებების კოლიზიის ჭრილში, მეოთხე თავში ბრალდებულის მიერ დანაშაულის აღიარების ფარული ჩაწერის საგამონაკლისო წესით დაშვების მიზანშეწონილობა, შესაბამისი უწყებების მიერ უფლებამოსილების გამოყენების გაანალიზებით, მისი წინააღმდეგობრივი ბუნების შეფასებით, ბრალდებულის მიერ დანაშაულის აღიარებისა და ფარული ჩაწერის გავრცელების გარემოებების კუთხით.

I. ბრალდებულის დუმილის უფლება და აღნიშნული საპროცესო გარანტიის წარმოშობის/გავრცელების ფარგლები

1. ბრალდებული, როგორც პირველადი ინფორმაციის წყარო

1.1. ბრალდებული, როგორც პროცესის სუბიექტი

თვითინკრიმინაციის პრივილეგია გამომდინარეობს ლიბერალური დემოკრატიის პრინციპიდან, რომელიც ბრალდებულს პროცესუალურ სტატუსს გარანტიებით უზრუნველყოფს, რათა იგი ერთი მხრივ, არ გადაიქცეს საგამოძიებო უწყებების ობიექტად, ხოლო მეორე მხრივ, საკუთარი თავის დევნაში წვლილის შემტან სუბიექტად, სახელმწიფოსთვის დამახასიათებელი ძალაუფლების ფონზე.[10] ბრალდებულის საპროცესო გარანტია, არ ამხილოს საკუთარი თავი აერთიანებს უფლებას არა მხოლოდ უშუალოდ დანაშაულის აღიარების კუთხით, არამედ ასევე ისეთი ინფორმაციის მიწოდების კუთხით, რომელიც შეიძლება მისი ბრალდებისთვის იყოს გამოყენებული სამართალწარმოებისას.[11] ბრალდებულის დუმილის უფლება წარმოადგენს საერთაშორისო დონეზე აღიარებულ უფლებას. სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტის, მე-14 მუხლის მე-3, ზ ქვეპუნქტი აღიარებს, რომ ყველა ბრალდებულს უფლებას აქვს მინიმუმ ....„არავინ აიძულოს საკუთარი თავის წინააღმდეგ ჩვენების მიცემა ან თავის ბრალეულად ცნობა.“ მოცემული გარანტია, ასევე წარმოადგენს ევროპული კონვენვენციის მე-6 მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული საქმის სამართლიანი

[10] იხ. Jackson J., Re-Conceptualizing the Right of Silence as an Effective Fair Trial Standard, The International and Comparative Law Quarterly, Vol. 58, 2009, 843

[11] იხ. Saunders v. The United Kingdom, [EctHR], App. No. 19187/91, 17 December 1996, Par.71.

განხილვის საფუძველს[12]. აღნიშნული უფლება, აღიარებულია ევროპარლამენტისა და ევროკავშირის საბჭოს დირექტივით.[13]

ბრალდებულის უფლებრივი გარანტიების დანერგვამ განვლო და შესაძლებელია ითქვას, რომ გადის განვითარების გზებს. იყო პერიოდი, როდესაც ბრალდებულის აღიარება თავისთავად პირის მსჯავრდებას იწვევდა და ყველა აღიარებას სასამართლო იღებდა დასაშვებობის შეფასების გარეშე. აღნიშნულ პირობებში, კი პირებისგან აღიარების მოპოვების მიზნით, შესაძლოა სასამართლოს მიეღო წამებისა და იძულების სხვადასხვა ფორმების გამოყენებით მიღებული აღიარება[14], თუმცა დროის გასვლასა და სამართლებრივი სახელმწიფოს იდეისა და ინდივიდის, როგორც მთავარი ღირებულების ცნობიერების ჩამოყალიბებამ შეცვალა დამოკიდებულება ბრალდებულის საპროცესო სტატუსის და მისი ინტერესების პრიორიტეტულობის კუთხით. თავდაპირველი ნაბიჯი გადაიდგა ბრალდებულის პირდაპირი იძულების მეთოდების მიმართ, საქმეში Brown v. Mississipi, რომლითაც აიკრძალა ბრალდებულისგან განცხადებების მოპოვება წამებისა და მუქარის და იძულების სხვა ფორმების საფუძველზე (ბრალდებულის თვითინკრიმინაციის პრივილეგიის უარყოფითი გაგება), აღნიშნული ემსახურებოდა მოქმედების საფუძველზე არასაიმედო განცხადებების გამორიცხვას[15]. შემდგომში უფრო გაფართოვდა აღიარების მნიშვნელობის შეფასება და ბრალდებულის მიერ არჩევანის გაკეთების ნებაყოფლობითობის ფსიქოლოგიური ასპექტები მოიცვა[16].

---

[12] იხ. J.B. v. SWITZERLAND, [ECtHR], App.no.31827/96, 3 May 2001, Par.64.

[13] იხ. Directive (EU) 2016/343 of the European Parliament and of the Council of 9 March 2016 on the strengthening of certain aspects of the presumption of innocence and of the right to be present at the trial in criminal proceedings <https://eur-lex.europa.eu/legal-content/EN/TXT/?uri=CELEX%3A32016L0343> [05.08.2020]

[14] Conti P. R., The psychology of false confessions, The Journal of Credibility Assessment and Witness Psychology, Vol. 2, 1999, 17

[15] Hritz C. A., Voluntariness with a Vengeance: The Coerciveness of Police Lies in Interrogations, Cornell Law Review, vol. 102, 489

[16] Lewis L, Rethinking Miranda: Truth, Lies, and Videotape, Gonzaga Law Review,vol. 43, 2007, 204

ბრალდებულის დუმილის უფლებით სარგებლობა მნიშვნელოვნად არის დაკავშირებული მისი საპროცესო გარანტიების ამოქმედებასთან. თავდაპირველად Miranda-ს საქმემ საერთაშორისო დონეზე გარდამტეხი როლი შეასრულა დუმილის უფლების და ბრალდებულის სხვა საპროცესო გარანტიების დანერგვაში, გამოკითხვის/დაკითხვის საგამოძიებო მოქმედების ჩატარებისას.[17] აშშ-ში აღნიშნული წესები არ გამოიყენება თუ ეჭვმიტანილები არ არიან პატიმრობაში დაკითხვის მიზნით[18]. თუმცა ერთგვაროვანი პრაქტიკა ბრალდებულის უფლებრივი გარანტიების მიხედვით არ არის დანერგილი. სახელმწიფოებში მოქმედი რეგულირებიდან გამომდინარე, გაფრთხილების სტანდარტები და ბრალდებულის დაკითხვის სხვა წესები განსხვავდება მნიშვნელოვნად. ზოგიერთ ქვეყანაში გაფრთხილების მოთხოვნები არის ფართო, ვიდრე მირანდას წესები, კერძოდ, რომ ეჭვმიტანილები უნდა გაფრთხილდნენ ადრეულ ეტაპზევე და ხშირად. მაგალითად, გერმანიასა და ინგლისში, გაფრთხილებები უნდა მიეცეს ეჭვმიტანილებს, რომლების წინააღმდეგაც მიმდინარეობს გამოძიება, თუმცა არ იმყოფებიან პატიმრობაში და იტალიაში მაშინაც კი თუ ისინი არ არიან დაკავებული, ან არ მიმდინარეობს მათ მიმართ გამოძიება, თუ ისინი დაიწყებენ მამხილებელი განცხადებების გაკეთებას მოსამართლესთან ან პოლიციასთან[19]. სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსიდან გამომდინარე, განმტკიცებულია ბრალდებულის დუმილის უფლების პროცესუალური გარანტიით სარგებლობის დეტალები, კერძოდ ბრალდებულის დუმილისა და სხვა უფლებების შესახებ დაკავებულის ან ბრალდებულად ცნობილი პირის ნებისმიერი დაკითხვისა და გამოკითხის წინ გაფრთხილების[20] და დუმილის

---

[17] Bradley M. G., Interrogation and silence: A comparative study, Wisconsin International Law Journal, Vol. 27, 2009, 272

[18] Lewis L, Rethinking Miranda: Truth, Lies, and Videotape, Gonzaga Law Review,vol. 43, 2007, 211

[19] Kessel Van G., European Perspectives on the Accused as a Source of Testimonial Evidence, West Virginia Law Review, vol. 100, 1998, 808

[20] სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 38-ე მუხლის მე-2 ნაწილი

უფლებით სარგებლობის პრივილეგიაზე, საქმის ნებისმიერ ეტაპზე.[21] ასევე დუმილის უფლება და მის უზრუნველსაყოფად არსებული გარანტიები წარმოდგენილია საქართველოს კონსტიტუციურ უფლებად, რომ არავინაა ვალდებული მისცეს თავისი ან იმ ახლობელთა საწინააღმდეგო ჩვენება, რომელთა წრეც განისაზღვრება კანონით.[22]

საქართველოს სისხლის სამართლი საპროცესო კანონმდებლობით პროცესის მონაწილეთა შორის დაასახელებულია ბრალდებულიც, ვინაიდან კანონმდებლობა არეგულირებს არამხოლოდ მის მიმართ შესაძლო ზემოქმედებითი ქმედებების აღსრულების საკითხებს, არამედ მის საპროცესო უფლებებს, რომლითაც მას შეუძლია ისარგებლოს საქმის მიმდინარეობის პროცესში. აღნიშნული რეგულირება, ბრალდებულს პროცესუალურ გარანტიებიდან გამომდინარე შესაძლებლობას უქმნის საკუთარი უფლებებისა და პოზიციის დასაცავად.

1.2.ბრალდებული, როგორც მტკიცებულების წყარო

ბრალდებული წარმოადგენს არა მხოლოდ პროცესის სუბიექტს, არამედ წარმოადგენს ვიწრო და ფართო გაგებით მტკიცებულებასაც. ვიწრო გაგებით მტკიცებულებაში მოიაზრება ბრალდებულის ჩვენება, ხოლო ფართო გაგებით მტკიცებულებაში - ბრალდებულის სხეულიდან მიღებული სხვადასხვა ნიმუშები (მაგ, როგორიცაა სისხლის, სუნთქვის დნმ-ის ნიმუში).[23] სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობიდან გამომდინარე მტკიცებულებათა სახეებს შორის არის ბრალდებულის ჩვენება. ბრალდებულის ჩვენება ეს არის მის მიერ სასამართლოში

[21] სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 38-ე მუხლის მე-4 ნაწილი
[22] საქართველოს კონსტიტუციის 31-ე მუხლის მე-11 ნაწილი
[23]თუმანიშვილი გ., სისხლის სამართლის პროცესი: ზოგადი ნაწილის მიმოხილვა, თბილისი, 2014, 207

მიცემული ინფორმაცია სისხლის სამართლის საქმის გარემოებათა შესახებ[24], რომელიც უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ კრიტერიუმებს: 1) ჩვენება უნდა შეეხებოდეს საქმესთან დაკავშირებულ ფაქტობრივ გარემოებებს, 2) უნდა მიემართებოდეს აღნიშნული ინფორმაცია მტკიცების საგანს, 3) ასევე მოცემული ინფორმაცია მიღებული უნდა იყოს მხოლოდ სასამართლო გზით, 4) პირს ბრალდება უნდა ჰქონდეს წარდგენილი[25]. შესაბამისად, ბრალდებულის მიერ მიწოდებული ინფორმაციის მტკიცებულებითი ღირებულება, ავტომატურად დაკავშირებულია მის სასამართლო სხდომაზე გამოკვლევასთან და არა სამართალდამცავი ორგანოებისთვის, გამოკითხვისას მიწოდებულ ინფორმაციასთან.

დაკითხვის მიზანია გამოძიების წინ წაწევა, გამოკითხვის საფუძვლად გამოყენებული ეჭვის დასაბუთების ან გაქარწყლების კუთხით,[26] თუმცა ბრალდებულის დაკითხვის შემთხვევაში საგამოძიებო უწყებები ავტომატურად მიმართული არიან მისგან მაინკრიმინირებელი ინფორმაციის მოპოვებისკენ, ეს კი განპირობებულია სამართალდამცავი პირების პოზიციით, რომ ბრალდებული დამნაშავეა[27]. მოცემულს ემატება ის გარემოებაც, რომ აღიარებითი ინფორმაციის მოპოვება უმეტეს სახელმწიფოთა სამართლებრივი სისტემისთვის მიიჩნევა ერთ-ერთ მნიშვნელოვან მტკიცებულებად.[28] თუმცა სახელმწიფოთა გარკვეული კატეგორია ნაკლებ პრიორიტეტს ანიჭებს მას. მაგ: გერმანიის და იტალიის სისხლის სამართლის პროცესში ბრალდებული არ სარგებლობს მოწმის სტატუსით და მათი ჩვენება არ ითვლება მტკიცებულებად, თუმცა კანონმდებელი ანიჭებს ბრალდებულს უფლებას დაიკითხოს

---

[24] სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 74-ე მუხლის მე-2 ნაწილი

[25] ჩომახაშვილი ქ., თომაშვილი თ., ძებნიაური გ., ოსეფაშვილი ს., პატარიძე მ., მტკიცებულებები სისხლის სამართლის პროცესში, თბილისი 2016, 17

[26] John Murray v. The United Kingdom, [EctHR], App. no. 18731/91, 8 February 1996, Par.55.

[27] Meissner A. C., Russano B. M., The psychology of interrogations an false confessions, The Canadian Journal of Police & Security Services, Vol. 1, 2003, 56

[28] თუმანიშვილი გ., სისხლის სამართლის პროცესი: ზოგადი ნაწილის მიმოხილვა, თბილისი, 2014, 210

საქმის არსებითი განხილვის ეტაპზე, რა შემთხვევაშიც გერმანიის კანონმდებლობიდან გამომდინარე ბრალდებულის ჩვენებიდან შესაძლებელია დასკვნების გამოტანა. ხოლო იტალიის შემთხვევაში ბრალდებულის მიერ სასამართლოსთვის მიწოდებული ინფორმაციით არ შეიძლება დამტკიცდეს გარკვეული ფაქტები. რაც შეეხენა, ინგლისსა და უელსში ბრალდებული წარმოადგენს პროცესის მნიშვნელოვან სუბიექტს და მათ მიერ ჩვენების მიწოდება განიხილება მტკიცებულებად. ინგლისში აღიარებით მიწოდებული ინფორმაცია წარმოადგენს მნიშვნელოვან მტკიცებულებით წყაროს, რაზეც მეტყველებს ის გარემოებები, რომ ბრალდებულისთვის არსებობს საასჯელის წამახალისებელი ნორმა თუ ნებაყოფლობით აღიარებს დანაშაულს და ასევე სასამართლოს აქვს შესაძლებლობა ბრალდებულის აღიარებას დააყრდნოს განაჩენი, სხვა მტკიცებულებათა შემოწმების გარეშე თუ აღნიშნული აღიარება ეჭვს არ იწვევს.[29]

გასათვალისწინებელია წამებისა და სხვა სასტიკი, არაადამიანური და დამამცირებელი მოპყრობისა და დასჯის შესახებ გაეროს სპეციალური მომხსენებელის ბატონ ხუან მენდესის შუალედური ანგარიში, რომლის თანახმადაც ბრალდებულის, როგორც ობიექტის მიმართ მიდგომების ფორმირების თავიდან ასაცილებლად მნიშვნელოვანია დაკითხვის/გამოკითხვის მიზანი იყოს დაკავშირებული ფაქტებისა და ინფორმაციის მიღებასთან და არა აღიარების, რის უზრუნველმყოფ გარანტიადაც მიიჩნევს ბრალის აღიარებას შემდეგ პირობებში:[30] „(1) ადვოკატის თანდასწრებით; (2) სასამართლოს წინაშე. ხოლო სამართალწარმოების პროცესს მიღმა მიღებული აღიარებები არ უნდა იქნას დაშვებული პროცესზე ან არ უნდა მოხდეს მათი გაზიარება, თუ ისინი არ დასტურდება სხვა მტკიცებულებებით ან თუ შემდგომ

[29] იქვე., 211-212
[30] მოწმის დაკითხვის ახალი წესის კვლევა, თბილისი, 2017,47

უარი განაცხადა აღიარებაზე პირმა“[31]. ამავდროულად აღსანიშნავია, რომ პირისგან მაინკრიმინირებელი ინფორმაცია, ჩვენებისთვის დადგენილი წესებისგან დამოუკიდებლად შესაძლებელია მოპოვებული იყოს ოპერატიული სამძებრო ღონისძიებებისა და ფარული საგამოძიებო მოქმედებების გამოყენებით. მოცემულ შემთხვევაში, აღნიშნული საგამოძიებო მოქმედებების გამოყენება დაკავშირებულია რიგ ფაქტორებთან, რაც ამართლებს პირის მოტყუების გზით (რომელიც წარმოადგენდეს ნებაზე ზემოქმედების არა აქტიურ ფორმას) მოპოვებული იყოს, დანაშაულში მისი მამხილებელი ინფორმაცია.[32]

ბრალდებული წარმოადგენს სისხლის სამართლის პროცესის მნიშვნელოვან მონაწილეს, ასევე პოტენციური მტკიცებულების წყაროს. ამასთანავე ბრალდებულისადმი მიდგომა, როგორც პროცესის სუბიექტისა და მტკიცებულების წყაროს მნიშვნელობით დამოკიდებულებია სამართლებრივი სისტემების მიდგომებზე. თავისთავად სისხლის სამართალწარმოების მოქმედების მასშტაბები მიმართულია უშუალოდ ბრალდებულისკენ, როგორც პროცესის მონაწილე მთავარი სუბიექტისკენ, თუმცა ეს არ გულისხმობს ბრალდებულის, როგორც ობიექტის მიმართ მიდგომების ფორმირებას. თვითინკრიმინაციის პრივილეგიის მოქმედება გამომდინარეობს იმ მიზნიდან, რომ დემოკრატიულ საზოგადოებაში ადამიანი თავად უნდა იყოს მიზანი და ორიენტირი.[33]

---

[31] Juan E. Méndez:Torture and other cruel, inhuman or degrading treatment or punishment, 71/298 05 Aug. 2016; ხელმისაწვდომია United Nations of human rights-ის ოფიციალურ ვებ-გვერდზე:<https://www.ohchr.org/en/issues/torture/srtorture/pages/srtortureindex.aspx>[09.08.2020]

[32] თუმანიშვილი გ., სისხლის სამართლის პროცესი: ზოგადი ნაწილის მიმოხილვა, თბილისი, 2014, 275-283

[33] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2018 წლის 14 დეკემბრის №1/4/809 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქე ტიტიკო ჩორგოლიანი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-41

1.3.ბრალდებული, როგორც სანდო მოწმე

ბრალდებულის აღიარება მნიშვნელოვან მტკიცებით ინფორმაციას წარმოადგენს, მას ხშირად მოიხსენიებდნენ „მტკიცებულებათა დედოფლად“, „საუკეთესო მტკიცებულებად“, თუმცა ბრალდებულის აღიარებითი ინფორმაციის მიმართ აღნიშნული მიდგომა შეიცვალა გარკვეულწილად, ვინაიდან მეტი მნიშვნელობა ენიჭება ბრალდებულის მიერ ინფორმაციის ნებაყოფლობით მიწოდების საკითხს.[34] ბრალდებულის მიერ ჩვენების მიცემა წარმოადგენს მის საპროცესო უფლებას და დაკავშირეულია მისი ნების ასპექტებთან, თუმცა ამასთანავე აღსანიშნავია, რომ აღიარებით ჩვენებას არ გააჩნია უპირატესი ღირებულება სხვა მტკიცებულებებთან მიმართებით, ვინაიდან ბრალდებულის აღიარებით ჩვენების მიცემა შეიძლება განპირობებული იყოს მრავალი ფაქტორით. თეორიაში, პრაქტიკიდან გამომდინარე გამოყოფენ სამი ტიპის ცრუ აღიარების ფორმას: ნებაყოფლობით ცრუ აღიარებას, იძულებით მოპოვებულ აღიარებისა და იძულებით გათავისებულ აღიარებას. ნებაყოფლობით ცრუ აღიარების შემთხვევაში პირი აღიარებას იძლევა პოლიციის იძულების ან ზეწოლის გარეშე, რაც შეიძლება განპირობებული იყოს სხვა პირის დაცვის სურვილით ან რეალობისა და ფანტაზიის განსხვავების უუნარობით, ასევე საზოგადოებრივი დანაშაულების შემთხვევებში პათოლოგიური სურვილით სახელის გათქმის. მეორე ტიპის ცრუ აღიარებით ჩვენება შეიძლება განპირობებული იყოს მაგ: საგამოძიებო დაკითხვის სიტუაციისგან გაქცევის სურვილით (ფიზიკური ან ფსიქოლოგიური იძულებისას), ხოლო მესამე ტიპის, იძულებით გათავისებული ცრუ აღიარება, გულისხმობს შემთხვევებს, როცა პირი იწყებს დაჯერებას, რომ ის არის პასუხისმგებელი დანაშაულებრივ აქტზე. აღნიშნული კი შეიძლება იყოს განპირობებული დაღლილობით, დაბალი ინტელექტით

[34] გოგშელიძე რ., სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის კომენტარები,თბილისი, 2012, 364

ან გამოუცდელობით, მეორე მიზეზი შეიძლება იყოს ყალბი მტკიცებულებების წარდგენა (მაგ. რომ ბრალდებულის დნმ იქნა აღმოჩენილი დანაშაულის ადგილას). [35]

ასევე აღსანიშნავია, რომ ბრალდებულის მიერ საკუთარი უფლებების შესახებ ცნობიერების არსებობა მნიშვნელოვანი ფაქტორია, რაც შეიძლება იყოს მიზეზი მის მიერ გაკეთებული არჩევანის. თეორიაში გამოთქვამენ მოსაზრებას რომ პოლიციას შეუძლია გამოიყენოს გაფრთხილების სამი ფორმა, რომელთაგან ორი შეიძლება ბრალდებულს მიერ დუმილის უფლებაზე უარი თქმის საფუძველი იყოს. პირველი, როცა პოლიციელებმა შეიძლება გაფრთხილება მისცენ ბრალდებულს ნეიტრალური გზით, სტიმულირების მცდელობის გარეშე, მეორე, როცა ცდილობენ ნაკლებად გაუსვან ხაზი გაფრთხილებების მნიშვნელობას, რაც უადვილებთ ბრალდებულისგან მიიღონ უარი მის საპროცესო უფლებებზე, მესამე, როდესაც პოლიციამ შეიძლება შესთავაზონ ეჭვმიტანილს შეღავათები უარი თქმის სანაცვლოდ.[36] პრობლემურია შემთხვევაა, როდესაც ბრალდებულის გაფრთხილება ვერ ხდება სათანადოდ, რამდენად შეიძლება საფუძველი იყოს დარღვევის, ევროპული სასამართლო აღნიშნულთან მიმართებით არ აფიქსირებს მყარ პოზიციას, მოცემულის განსაზღვრის სირთულიდან გამომდინარე.[37]

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, აღიარებით ჩვენების მტკიცებულებად შეფასება მოითხოვს თავისთავად მისდამი კრიტიკულ მიდგომას, მისი სანდოობისა და უტყუარობის კუთხით, რათა

---

[35] Meissner A. C., Russano B. M., The psychology of interrogations an false confessions, The Canadian Journal of Police & Security Services, Vol. 1, 2003, 54-55

[36] Lewis L, Rethinking Miranda: Truth, Lies, and Videotape, Gonzaga Law Review,vol. 43, 2007, 215

[37] ტრექსელი შ., ადამიანის უფლებები სისხლის სამართლის პროცესში, ვ. გოგელიას, ე. ლომთათიძეს, ე. ქარცივაძეს, თ. ივანიშვილის, მ. ნარინდოშვილის თარგმანი, კ. ვარძელაშვილის, ლ. ფაფიაშვილის, მ. ნარინდოშვილის ნ. მჭედლიძეს, რედაქტორობით, თბილისი, 2009, 371

გამოირიცხოს მართლმსაჯულების არასათანადო განხორციელება[38]. ამრიგად მნიშვნელოვანია ბრალდებულის მიერ საგამოძიებო უწყებებისთვის მიწოდებული აღიარებითი ჩვენების გამოკვლევა საქმის არსებით განხილვაზე, შესაბამისი წესით, ვინაიდან საგამოძიებო ორგანოების პირისპირ, გამოკითხვისას პირის აღმოჩენისას, არსებობს დამოუკიდებელი გარემოებები, რაც შეიძლება მნიშვნელოვანი ფაქტორი იყოს პირის მიერ აღიარებითი ინფორმაციის მიწოდების. ასევე ბრალდებულისგან ფარულად ინფორმაციის მოპოვების პირობები/გარემოებები ემსახურება თავისთავად სანდო ინფორმაციის მოპოვებას, რომლის დროსაც არ არსებობს ზემოაღნიშნული არასაიმედოობის რისკები, შესაბამისად არც პირის უშუალო მონაწილეობით ინფორმაციის გამოკვლევის აუცილებლობა არსებობს.[39]

2. პირის აღიარებითი ჩვენების ფარული ჩაწერა სტატუსის მიხედვით

2.1. ოფიციალურად ბრალდებული

საგამოძიებო უწყებებს სამართლებრივი ბერკეტებიდან გამომდინარე მნიშვნელოვანი ძალაუფლება აქვთ ხელში, რათა იმოქმედონ კონკრეტული სიტუაციიდან გამომდინარე. მათი შესაძლებლობა მოიპოვონ მტკიცებულებები, მნიშვნელოვანი მოტივაციით განაწყობს, რათა დაადგინონ სამართალდარღვევა და გამოავლინონ მისი ჩამდენი პირი. მოცემული ძალაუფლების მასშტაბები განსაკუთრებით ყურადსაღებია ისეთ სიტუაციასა და პირობებში, როდესაც სამართალდამცავ ორგანოებს უშუალო და პირველადი შეხება აქვთ ბრალდებულთან. კონკრეტულ შემთხვევებში, ინფორმაცია,

[38] გოგშელიძე რ., სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის კომენტარები,თბილისი, 2012, 366

[39] Brooke A. D., Confessions, Illegally/Improperly Obtained Evidence and Entrapment the Police and Criminal Evidence Act 1984: Changing Judical and Public Attitudes to the Police and Criminal Investigations, London, 1999, 265

რომელსაც სუბიექტები ფლობენ, მნიშვნელოვან პირობას წარმოადგენს საქმის გახსნის. აქედან გამომდინარე, გასათვალისწინებელია ბრალდებულის საპროცესო გარანტების ამოქმედებისა და მისი დაცვის სტანდარტები.

ბრალდებული არის პირი, რომლის მიმართაც მიმდინარეობს სისხლისსამართლებრივი დევნა. პირის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნა იწყება დაკავებისთანავე ან ბრალდებულად ცნობისთანავე (თუ ის არ დაუკავებიათ).[40] ბრალდებულის სტატუსით პირი სარგებლობს, როგორც გამოძიების ისე საქმის არსებითი განხილვის ეტაპზე. პირს აღნიშნული სტატუსი ოფიციალურად ენიჭება მას შედეგ, რაც მას წარედგინება ბრალდება და გადაეცემა დადგენილება ბრალდების შესახებ. დაკავების მომენტში ან, თუ დაკავება არ ხდება– ბრალდებულად ცნობისთანავე, დაუყოვნებლივ, ასევე ნებისმიერი დაკითხვის წინ ბრალდებულს უნდა ეცნობოს, რომ მას აქვს უფლება ადვოკატზე, დუმილისა და კითხვებზე პასუხის გაცემისაგან თავის შეკავების უფლება, არ დაიბრალოს დანაშაული, რომ ყველაფერი, რასაც იგი იტყვის, შესაძლებელია მის წინააღმდეგ იქნეს გამოყენებული და უფლება, დაპატიმრებისას, ხოლო დაკავებისას – მისი მოთხოვნის შემთხვევაში, შესაბამის დაწესებულებაში მიყვანისთანავე მიიღოს უფასო სამედიცინო შემოწმება[41]. სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობიდან გამომდინარე, ბრალდებული დუმილის უფლებით სარგებლობს, მას შემდეგ, რაც მას მიენიჭება აღნიშნული სტატუსი, ან როდესაც მის მიმართ გამოყენებულია იძულებითი საპროცესო ღონისძიება-დაკავება.

ბრალდებულის გამოკითხვისას, თუ იგი არ ისარგებლებს დუმილის უფლებით და სამართალდამცავ ორგანოებს მიაწოდებს მის მაინკრიმინირებელ ინფორმაციას, სსსკ-ის 247-ე მუხლის, 1-ლი

[40] სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 167-ე მუხლის 1-ლი ნაწილი
[41] სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 38-ე მუხლის მე-2 ნაწილი

ნაწილიდან გამომდინარე, საქმის არსებით განხილვისას ბრალდებულის მიერ გამოკითხვის დროს მიწოდებული ინფორმაციის საჯაროდ წაკითხვა, ამ ინფორმაციის აუდიო- ან ვიდეოჩანაწერის მოსმენისა (დემონსტრირება) და ზემოაღნიშნული ინფორმაციის მტკიცებულებად გამოყენება დაუშვებელია, თუ ბრალდებულის მის გამოკვლევაზე უარს იტყვის. მოცემული გამომდინარეობს იმ პირობებიდან, რომ ბრალდებული ინფორმირებული უნდა იყოს, როგორც მისი საპროცესო უფლებების (დუმილის უფლება, ადვოკატის ყოლის უფლება), ასევე გამოკითხვის წესებიდან გამომდინარე ვიდეო-აუდიო ჩაწერის შესახებ. ხოლო სსსკ-ის 247-ე მუხლის, მე-2 ნაწილის მიხედვით აღნიშნული პრივილეგია არ ვრცელდება, ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიების ან ფარული საგამოძიებო მოქმედების შედეგად მოპოვებული ინფორმაციაზე. პრაქტიკიდან გამომდინარე, მოცემული უკავშირდება ბრალდებულის გამოკითხვისას მის გაუფრთხილებლობას ჩაწერის შესახებ. აღნიშნული ინფორმაციის მოპოვების ფორმა კი, განმარტებულია- ბრალდებულის შეცდომაში შეყვანის გზით მოპოვებული ინფორმაციის სახედ[42].

გამოკითხვისას პირის მიერ აღიარების ფარულად მოპოვება აუდიო-ვიდეოჩანაწერის გზით წარმოადგენს, პირდაპირ მტკიცებულებას, ვინაიდან ის მიიღება პირველ წყაროსგან- ბრალდებულისგან და მიემართება მტკიცების საგანს.[43] ხოლო ფარული აუდიო-ჩანაწერის გზით მოპოვებული ინფორმაციის საქმის არსებით სხდომაზე დემონსტირებით, ავტომატურად ხდება მისი გამოკვლევა და

[42] იხ. მაღლაკელიძე ლ., ბრალდებულის შეცდომაში შეყვანის გზით მოპოვებული ინფორმაცია და თვითინკრიმინაციისაგან დაცვის პრივილეგია ქართული და ადამიანის უფლებათა დაცვის ევროპული სასამართლოს პრაქტიკის მიხედვით, გერმანულ-ქართული სისხლის სამართლის ჟურნალი, #3, 2018

[43] ჩხეიძე ი., ფარული აუდიო და ვიდეოჩანაწერის იურიდიული ბუნება სისხლის სამართლის პროცესში, ჟურ. „მართლმსაჯულება და კანონი“, 2007, 145

შესაბამისად, თავისთავად მას პირდაპირი, დამოუკიდებელი მტკიცებულების ბუნებას აქვს.[44]

აღნიშნული განმარტება შესაძლებლობას ქმნის ბრალდებულის ნების სრულყოფილად პატივისცემის გზით მოპოვებული ჩანაწერის დაუშვებლობისა და ფარული ფორმით მოპოვებული ინფორმაციის დასაშვებობის. ბუნდოვანია კანონმდებელი რატომ უნდა ანიჭებდეს სხვადასხვა მტკიცებულებით მნიშვნელობას ერთსა და იმავე შემთხვევაში ბრალდებულისგან ინფორმაციის მოპოვებას, იმ პირობიდან გამომდინარე არის თუ არა პირი ვიდეო-აუდიო ფორმით ჩაწერის შესახებ ინფორმირებული. მოცემული განმარტება, პირდაპირ დამოკიდებულებას წარმოადგენს ბრალდებულის საპროცესო გარანტიისთვის გვერდის ასავლელად, რაც შესაბამისი მიზანმიმართული მოტივაციით განაწყობთ ამავე დროს სამართალდამცავებსაც.

2.2. de facto ბრალდებული

ასევე მნიშვნელოვანია არამხოლოდ ბრალდებულის სტატუს წარდგენილი პირების უფლებრივი მდგომარეობა, არამედ პირების, რომლებიც ფორმალურად არ სარგებლობენ აღნიშნული სტატუსით და შეიძლება ჩაითვალონ დე ფაქტო ბრალდებულად.

ევროპული სასამართლოს მიდგომიდან გამომდინარე, ბრალდებულის გამოჩენა არ არის დაკავშირებული ფორმალური მნიშვნელობით აღნიშნული სტატუსის მინიჭებასთან, კერძოდ ბრალდების წარდგენასთან, ვინაიდან შესაძლოა პირის მიმართ ჩატარებული საგამოძიებო მოქმედებები მიანიშნებდნენ, მის de facto ბრალდებულად აღიარებას. რა შემთხვევაშიც ჩვეულებრივ უნდა

[44] ფაფიაშვილი ლ., თუმანიშვილი გ., კვაჭანტრაძე დ., ლიპარტელიანი ლ., დადეშქელიანი გ., გუნცაძე შ., მეზვრიშვილი ნ., თოლორაია ლ., სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის კომენტარები, თბილისი, 2015, 266

ისარგებლოს პირმა, როგორც ბრალდებულმა ყველა საპროცესო გარანტიებით, მათ შორის დუმილის უფლებით[45]. საქართველოს კონსტიტუციით განმტკიცებულია არა მხოლოდ ბრალდებულის, არამედ ნებისმიერი პირის უფლება თავი შეიკავოს მისი მამხილებელი ინფორმაციის მიწოდებისგან. მოცემული კონსტიტუციური გაარანტიის უზრუნველმყოფელ საშუალებას წარმოადგენს სსსკ-ით განმტკიცებული პრივილეგიები, კერძოდ არამხოლოდ ბრალდებულის, არამედ ნებისმიერი გამოსაკითხი პირის ინფორმირება, ადვოკატის ყოლისა და მისი მამხილებელი ჩვენების მიცემისგან თავის შეკავების უფლებაზე[46]. შესაბამისად, თვითინკრიმინაციის პრივილეგია მოქმედებს არამხოლოდ ბრალდებულის სტატუს დაქვემდებარებული პირის მიმართ, არამედ ნებისმიერი პირის მიმართ, რომელიც შეიძლება დაექვემდებაროს აღნიშნულ სტატუსს, რაც ასევე გარანტიას წარმოადგენსს de facto ბრალდებულისთვის, მაინკრიმინირებელი ინფორმაციის მიწოდებისგან თავის შეკავებისთვის[47].

აღსანიშნავია შემთხვევა, 20 -21 ივნისის ღამეზე პარლამენტის შენობის წინ აქციის დაშლისას სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტების ბრალდებით დაკავებული პირის საქმის. მან პროკურატურის შენობაში, ბრალდების წარდგენამდე, ფარული ჩაწერისას აღიარა დანაშაულებრივი ქმედება, ოფიციალური გამოკითხვისას კი მან არ ითანამშრომლა გამოძიებასთან. ბრალდების მხარე აღნიშნული მტკიცებულების დასაშვებობას ამყარებდა იმ არგუმენტებზე, რომ პირისგან აღიარების მოსაპოვებლად არანაირი ზეწოლა არ განხორციელებულა, პირი საგამოძიებო ორგანოს თანამშრომელთან საუბრობდა და მათ წინასწარი ნაცნობობა არ

[45] ტრექსელი შ., ადამიანის უფლებები სისხლის სამართლის პროცესში, ვ. გოგელიას, ე. ლომთათიძეს, ე. ქარცივაძეს, თ. ივანიშვილის, მ. ნარინდოშვილის თარგმანი, კ. ვარძელაშვილის, ლ. ფაფიაშვილის, მ. ნარინდოშვილის ნ. მჭედლიძეს, რედაქტორობით, თბილისი, 2009,362

[46] საქართველოს კონსტიტუციის 31-ე მუხლის მე-11 ნაწილი

[47] სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 38-ე მუხლის მე-2 ნაწილი

აკავშირებდათ, რაც პირს გადააწყვეტინებდა საუბარს აღნიშნულთან დაკავშირებით და აღნიშნული საგამოძიებო მოქმედება შესრულდა ოფიციალურ გამოკითხვამდე პროკურატურის ადმინისტრაციულ შენობაში[48].

მსგავს შემთვევებში, ჩნდება კითხვა de facto ბრალდებულის სტატუსის პირობებში, ბრალდების მხარე ხომ არ იყენებს ფარული ჩაწერის ფორმას, მისი საპროცესო გარანტიებისთვის გვერდის ავლის მიზნით. კანადის წესები და ინგლისის წესები ფარულ აგენტთან საუბარს, როგორც მტკიცებულებას რიცხავენ ერთ-ერთი იმ მიზეზის საფუძველზე, თუ სასამართლო საქმის გარემოებებიდან გამომდინარე დადგენს, რომ აღნიშნული საგამოძიებო ტექნიკის გამოყენების მთავარი მიზეზი იყო ეჭვმიტანილის გაფრთხილებებისთვის თავის არიდება.[49]

აღნიშნული შემთხვევები გაანალიზდება შემდგომ თავებში რამდენად შესაძლებელია ბრალდებულის საპროცესო გარანტიების გვერდის ავლით ინფორმაციის მოპოვება, სუბორდინაციულ პირობებში (ზემდგომ თანამდებობის პირთან) და დაკითხვისას (ფორმალური თუ არაფორმალური დაკითხვისას, სამართალდამცავი ორგანოს ტერიტორიაზე), არსებული ზეწოლის პრეზუმფციიდან გამომდინარე.

---

[48] <https://www.interpressnews.ge/ka/article/556592-prokurori-akciis-dashlis-sakmeze-dakavebuli-policieli> [09.08.2020]

[49] Bradley M. G., Interrogation and silence: A comparative study, Wisconsin International Law Journal, Vol. 27, 2009, 287

II. თვითინკრიმინაციის მფარავი საპროცესო გარანტიების მიმართება ბრალდებულისგან ინფორმაციის ფარულად მოპოვებასთან

1. მიმართება ბრალდებულის საპროცესო უფლებებთან

1.1. პირის ინფორმირება საკუთარი თავის წინააღდეგ ინფორმაციის მიწოდებაზე

მოქმედი გონების დოქტრინა (operating mind doctrine) მოითხოვს, რომ ბრალდებულმა უნდა იცოდეს, რომ რასაც ის ამბობს შესაძლოა გამოყენებული იყოს მის საზიანოდ.[50] მოცემული სტანდარტი, კი დაკავშირებულია ბრალდებულის ინფორმირების უფლებასთან, ვინაიდან ბრალდებულის პოლიციის განყოფილებაში დაკითხვისას, რომელსაც წინ არ უძღვის გაფრთხილება, ქმნის საფრთხეს, რომ პასუხები არ იქნება ნებაყოფლობითი, რადგან ეჭვმიტანილი შეიძლება გრძნობდეს ვალდებულებას უპასუხოს მისთვის დასმულ კითხვებს.[51] შესაბამისად, ბრალდებულს, როდესაც არ აქვს გაცნობიერებული ჰქონდა თუ არა მას დუმილის უფლების გამოყენების შესაძლებლობა (მაგ; როდესაც არ ფრთხილდება ან სათანადოდ არ ფრთხილდება), იყო მოტყუებული, შეცდომაში შეყვანილი განცხადებების გასაკეთებლად, თავისთავად წარმოიშვება საკითხი, არის თუ არა ბრალდებულის არჩევანი ნებაყოფლობითობის შედეგი.

ბრალდებული დუმილის უფლებით სარგებლობს, როგორც გამოკითხვის, ისე საქმის სასამართლო განხილვის ეტაპზე. ბრალდებულის დუმილის უფლებით სარგებლობის ეტაპად განიხილება არამხოლოდ პირდაპირი დაკითხვის შემთხვევა (კითხვების დასმის პროცესი), არამედ ნებისმიერი პოლიციის მოქმედება, რომელიც მიმართულია

---

[50] R. v. Oickle, კანადის უზენაესი სასამართლოს 2000 წლის 29 სექტემბრის გადაწყვეტილება, პარ 26.

[51] Robert Var Der Meer and Ors V. the Queen, ავსტრალიის უზენაესი სასამართლოს 1988 წლის 2 ნოემბრის გადაწყვეტილება, პარ 23.

ბრალდებულისგან მაინკრმინირებელი ინფორმაციის მოპოვებისკენ.[52] მაგ. Rhode Island v. Inni -ის საქმეში სასამართლომ დაკითხვის „ფუნქციური ეკვივალენტურობის“ (“Functional Equivalent”) ტესტი გამოიყენა[53], რომელშიც სასამართლო დაკითხვას უთანაბრებს არამხოლოდ სტანდარტული პირდაპირი დაკითხვის შემთხვევებს, არამედ ნებისმიერ სიტყვას ან მოქმედებას, რომელიც პოლიციის აღქმიდან გამომდინარე გონივრულად სავარაუდოა, რომ გამოავლენს ეჭვმიტანილისგან ინკრიმინაციულ პასუხს[54]. ასევე ალანის საქმეში სასამართლომ არაფორმალური დაკითხვის შემთხვევას ფუნქციურად გაუტოლა ფარულ აგენტსა და ბრალდებულს შორის საუბარი.[55] ხოლო ბრალდებულის უფლებების შესახებ ინფორმირების სტანდარტი, წარმოადგენს თავდაპირველ დამცავ მექანიზმს ბრალდებულის, რომ იგი განცხადებებს გააკეთებს ნებაყოფლობით, საკუთარი სურვილიდან გამომდინარე, იძულების გარეშე, მისთვის გააზრებულ პირობებში[56].

საქართველოს საპროცესო კოდექსიდან გამომდინარე ბრალდებულს უფლება, ყოველი დაკავების, ხოლო თუ დაკავება არ ხდება ყოველი დაკითხვის წინ განემარტოს, რომ მას აქვს დუმილის უფლება, ადვოკატის ყოლის უფლება და კითხვებზე პასუხის გაცემისგან თავის შეკავების უფლება, არ დაიბრალოს დანაშაული და ყველაფერს რასაც იტყვის შესაძლოა გამოყენებულ იქნეს მის წინააღმდეგ- ბრალდებულის მნიშვნელოვანი საპროცესო გარანტია, რომლის გვერდის ავლაც

---

[52] Mitchell R. M., Criminal Procedure - Conduct of Police in Allowing Suspect in Custody to Speak with His Wife Is Not Tantamount to Interrogation even though Police Were Aware That the Suspect Would Possibly Incriminate Himself during the Conversation. Texas Tech Law Review vol. 19, 1988, 1199

[53] შენ. ეჭვმიტანილმა მას შემდეგ რაც იგი გააფრთხილეს დუმილის უფლების გამოყენების შესახებ, მან მოითხოვა ადვოკატის კონსულტაცია. პოლიციის განყოფილებაში მისვლამდე, პოლიციის მანქანაში ოფიცრებმა წამოიწყეს საუბარი სპეკულირებადი ერთმანეთს შორის, თუ სად შეიძლება ყოფილიყო ძარცვისას გამოყენებული იარაღი, რა დროსაც ეჭვმიტანილმა განაცხადა იარაღის ადგილმდებარეობის შესახებ. როუდ აილენდის უზენაესმა სასამართლომ დაადგინა, რომ პირი დაექვემდებარა „უჩინარ იძულებას“, რომელიც ეკვივალენტი იყო დაკითხვის, მირანდა წესების მიზნიდან გამომდინარე.

[54] იქვე., 1202

[55] Allan v. The United Kingdom, [ECtHR], App. No. 48539/99, 05 November 2002, Par.52.

[56] სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 32-ე მუხლის მე-2 ნაწილი

წარმოადგენს კანონის არსებით დარღვევას და აღნიშნულის საფუძველზე მოპოვებული ინფორმაცია კი დაუშვებელ მტკიცებულებას.[57] ბრალდებულის უფლებების შესახებ განმარტების ვალდებულება არ არსებობს, როდესაც ბრალდებული სპონტანურად აწვდის ინფორმაციას საგამოძიებო უწყებებს, ისე, რომ მათ ბრალდებულზე ზემოქმედება არ მოუხდენიათ, ასევე იმ შემთხვევაშიც, როდესაც ბრალდებული შეიძლება ჩაითვალოს მისი უფლებების შესახებ ე.წ.ინფორმირებულ ბრალდებულად, მაგალითად თუ მან ჩვენება მისცა ადვოკატის მონაწილეობით. აღნიშნულ შემთხვევებში, დარღვევა (ბრალდებულისთვის უფლებების განუმარტავობა) არ იწვევს ინფორმაციის დაუშვებლობას, ვინაიდან ბრალდებულის უფლებების დამცავ საპროცესო მოთხოვნების დარღვევასა და მოპოვებულ ინფორმაციასა შორის არ არსებობს ე.წ მიზეზობრივი კავშირი[58].

სისხლის სამართლის საპროცესო ნორმიდან გამომდინარე ბრალდებულის გამოკითხვის შემთხვევებზე ფარული საგამოძიებო მოქმედებების გავრცელებისს ინტერპრეტაციით, საგამოძიებო ორგანოები უკუაგდებენ ბრალდებულის ინფორმირების უფლებას, ფარული საგამოძიებო მოქმედებისა და ოპერატიული სამძებრო ღონისძიების ხასიათიდან გამომდინარე, რომელიც წარმოადგენს ბრალდებულისგან მალულად ინფორმაციის მოპოვებას. შესაბამისად, მათი მოქმედება (გაუფრთხილებლობა) მიზეზობრივ კავშირშია ბრალდებულისგან მაინკრიმინირებელი ინფორმაციის მოპოვებასთან. მოცემული გამოვლინდა რიგ საქმეებში, რაც ნახსენებია სახალხო დამცველის ანგარიშში, კერძოდ „ხორავას ქუჩაზე მომხდარ მკვლელობის“ საქმეში, ,სადაც სასამართლოს განჩინებით, ფარული საგამოძიებო მოქმედების განხორციელების საფუძველზე, პირის გამოკითხვისას მოპოვებული იყო ინფორმაცია, რომლის დროსაც მისთვის არც საკუთარი თავის წინააღმდეგ ინფორმაციის

[57] თუმანიშვილი გ., სისხლის სამართლის პროცესი: ზოგადი ნაწილის მიმოხილვა, თბილისი, 2014, 257-258

[58] იქვე., 258- 260

მიუცემლობის უფლება განუმარტავთ და არც ადვოკატის ყოლის უფლება, მოცემული ჩანაწერები, შემდგომ პირის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნის საფუძველი იყო და საქმეში მნიშვნელოვანი მტკიცებულებითი წონა ჰქონდა.[59] იგივე გარემოება იყო „ხადას ხეობაში მომხდარი მკვლელობის“ საქმეზე,[60] აღნიშნულით კი დაკითხვის ინტერპრეტაცია ხდება ბრალდებულის/გამოსაკითხი პირისგან საპროცესო გარანტიების გარეშე ინფორმაციის მოპოვება, ვინაიდან ერთი მხრივ, საგამოძიებო ორგანოების ტერიტორიაზე პირის გამოკითხვას უთანაბრებენ საქართველოს ოპერატიული სამძებრო ღონისძიებების შესახებ კანონით გათვალისწინებული „პირის გამოკითხვის“ შემთხვევას, (რომლის დროსაც არ მოქმედებს პირის მიერ საკუთარი თავის წინააღდეგ ინფორმაციის მიუწვდომლობისა და ადვოკატის კონსულტირებაზე გაფრთხილების მოთხოვნა)[61] და მეორე მხრივ, მასზე ვრცელდება ფარული საგამოძიებო მოქმედებების ფორმა- ფარული აუდიო-ვიდეოჩანაწერის. დე ფაქტო ეჭვმიტანილის განხილვა მოწმედ, წარმოადგენს მნიშვნელოვან საშუალებას ბრალდებულის საპროცესო გარანტიისთვის გვერდის ავლის, აქედან გამომდინარე, სადაც არსებობს საკმარისი ან გონივრული საფუძველი პირის ეჭვმიტანილად მიჩნევის, მას უნდა მოეპყრან აღნიშნულ სტატუსისთვის დამახასიათებელი პროცესუალური გარანტიების ჭრილში.[62] აქედან გამომდინარე, მოცემული ინტერპრეტაცია ეწინააღმდეგება საპროცესო კოდექსის ნორმებს. ევროპულმა სასამართლომ საქმეში- „ალექსანდრე ზაიჩენკო რუსეთის წინააღმდეგ“ დაადგინა დარღვევა, როდესაც პირისგან (ბრალდებულად ცნობამდე) ინფორმაცია მოპოვებულ იქნა საკუთარი თავის წინააღმდეგ ჩვენების მიცემისგან თავის შეკავების შესახებ ინფორმირების

---

[59] სახალხო დამცველის ანგარიში, საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ, თბილისი, 2019, 156

[60] იხ. <https://imedinews.ge/ge/samartali/97638/ras-ambobs-smitebis-mkvlelobashi-braldebuli-mtskemsi-agiarebit-chvenebashi-video > [09.08.2020]

[61] იხ. შენიშვნა 59

[62] კეიპი ე., ნამორაძე ზ., ეფექტური სისხლისსამართლებრივი დაცვა აღმოსავლეთ ევროპაში, ბ. ბოხაშვილის თარგმანი, თ. ქალდანის რედაქტორობით, ფონდი ღია საზოგადოება საქართველო, 2013, 141

გარეშე[63]. ასევე აღსანიშნავია, რომ ილინოისის სააპელაციო სასამართლომ დაადგინა, რომ ფარული აგენტი, როდესაც „თანამესაკნის როლში“ ფარულად კითხავს ბრალდებულს მაინკრიმინირებელი ინფორმაციის გამოსავლენად, უგულებელყოფს პირის დუმილის უფლებისა და მასზე უარის თქმის საპროცესო მოთხოვნებს[64], ხოლო თავისთავად მირანდას გაფრთხილებისთვის თავის არიდების წესი არ მოქმედებს იმ შემთხვევაში, როდესაც პოლიციის მიერ პირის ოფიციალური დაკითხვის პარარელურად ინტერვიუს ფარულად იწერენ, და საჭიროა პირი გაფრთხილდეს თავიდანვე პროცესუალური გარანტიების დაცვით. მოცემული წესი, გამომდინარეობს იმ გარემოებებიდან, რომ საპატიმრო დაკითხვა ატარებს იძულებით ატმოსფეროს, ხოლო გაფრთხილება მირანდას წესების შესაბამისად ანეიტრალებს აღნიშნულ გარემოებას და აფუძნებს პირის დაკითხვაში ნებაყოფლობით მონაწილეობის პირობას.[65] თუმცა მეორე საკითხია, საკმარისია თუ არა აღნიშნული გაფრთხილება ბრალდებულის პროცესუალური გარანტიებიდან გამომდინარე, მისგან ფარულად ინფორმაციის მოპოვებისთვის.

1.2. ბრალდებულის ინფორმირება აუდიო-ვიდეო ჩაწერის შესახებ

საქართველოს კანონმდებლობიდან გამომდინარე, ბრალდებულის გაფრთხილების ვალდებულება ასევე გამომდინარეობს გამოკითხვის ზოგადი წესებიდან, რომელიც ვრცელდება, როგორც ბრალდებულზე, ასევე ნებისმიერ გამოსაკითხ პირზე,[66] იმ საგამონაკლისო წესებით, რაც

[63] Aleksandr Zaichenko v. Russia, [EctHR], App. No. 39660/02, 18 February 2010, Par.53-54.
[64] Corn S. G., Miranda, Secret Questioning, and the Right to Counsel, Arkansas Law Review 66, no. 4, 2013, 955
[65] Corn S. G., Miranda, Secret Questioning, and the Right to Counsel, Arkansas Law Review 66, no. 4, 2013, 933
[66] სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 113-ე მუხლის მე-10 ნაწილი

ბრალდებულის უფლებებისთვის არის დამახასიათებელი. კერძოდ ბრალდებულის გამოკითხვა მთლიანად ეფუძნება მის ნებელობას[67], ხოლო მოწმის სტატუს დაქვემდებარებული პირის მიმართ არსებობს მისი იძულების მექანიზმები, მისცეს ინფორმაცია ცალკეულ შემთხვევაში[68]. ამასთანავე გამოკითხვის საგამოძიებო მოქმედების ჩატარების ზოგადი სტანდარტები მოიცავს გამოსაკითხი პირის გაფრთხილებას მისი უფლებების შესახებ, მათ შორის მოითხოვს ინფორმირებას გამოკითხვის პროცესის აუდიო-ვიდეო საშუალებით ჩაწერის შესახებ.[69] აქედან გამომდინარე, ინფორმირებულ ბრალდებულში უნდა მოვიაზროთ გამოკითხვის ზოგადი წესების შესაბამისად გაფრთხილებული ბრალდებული.[70] აღნიშნული წესებით გამოკითხვას კანონმდებელი გარკვეულ ჩარჩოებს უწესებს, რის დარღვევამაც, შესაძლებელია იმოქმედოს მიღებული ინფორმაციის საფუძველზე მოპოვებულ მტკიცებულებათა ბედზე.[71] გამოკითხვისას ფარულად ინფორმაციის მოპოვების საგამონაკლისო შემთხვევა, ჩაწერაზე პირის გაფრთხილების წესის უგულებელყოფას იწვევს, ვინაიდან ბრალდებულის ინფორმირების გარეშე მიმდინარეობს, მის მიერ გამოკითხვის დროს მიწოდებული ინფორმაციის აუდიო-ვიდეო საშაულებით ჩაწერა.

სსსკ-ის ძველი რედაქციის 111-ე მუხლის გ ქვეპუნქტი, ითვალისწინებდა გარემოებებს, რომლის დროსაც მტკიცებულება მიიჩნეოდა დაუშვებლად, კერძოდ, კანონით დადგენილი წესის

---

[67] შენ. ვინაიდან ბრალდებულს აქვს ნებისმიერ დროს ისარგებლოს დუმილის უფლებით და ამავდროულად მისი ჩვენება ეს არის მის მიერ უშუალოდ სასამართლოსთვის მიწოდებული ინფორმაცია სისხლის სამართლის საქმის გარემოებების შესახებ.

[68] იხ. სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 113-ე მუხლის მე-8 ნაწილი და 114-ე მუხლის მე-2 ნაწილი

[69] სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 113-ე მუხლის მე-9 ნაწილი

[70] მაღლაკელიძე ლ, ბრალდებულის შეცდომაში შეყვანის გზით მოპოვებული ინფორმაცია და თვითინკრიმინაციისაგან დაცვის პრივილეგია ქართული და ადამიანის უფლებათა დაცვის ევროპული სასამართლოს პრაქტიკის მიხედვით, გერმანულ-ქართული სისხლის სამართლის ჟურნალი, #3, 2018, 65

[71] ლალიაშვილი თ., გამოძიების პროცესში პირის მოწმის სახით დაკითხვის პრობლემატური მხარეები და მისი სამართლებრივი შედეგები, „სამართალი და მსოფლიო“, N4, თბილისი, 2016, 173

დარღვევით, აგრეთვე ძალადობის, მუქარის, მოტყუების, შანტაჟის, პიროვნების აბუჩად აგდების ან სხვა უკანონო მეთოდის გამოყენებით; ასევე საქართველოს კონსტიტუციის 31-ე მუხლის მე-10 ნაწილიც განამტკიცებს, რომ „კანონის დარღვევით მოპოვებულ მტკიცებულებას იურიდიული ძალა არა აქვს“. არსებით დარღვევაში, როგორც სსსკ-ის 1998 წლის სსსკ-ის 563-ე მუხლის თანახმად, იგულისხმება ამ კოდექსის მოთხოვნათა ისეთი დარღვევები, რომლებმაც შეზღუდეს პროცესის მონაწილეთა უფლებები, ხელი შეუშალეს საქმის ყოველმხრივ, სრულად და ობიექტურად განხილვას, გავლენა მოახდინეს კანონიერი, საფუძვლიანი და სამართლიანი განაჩენის დადგენაზე. ხოლო მოქმედი სსსკ-ით მოსამართლე აფასებს თუ რა ჩაითვლება ამ კოდექსის არსებით დარღვევად.[72]

სახელმწიფოთა უმრავლესობა აღიარებს ბრალდებული პირის გამოკითხვა/დაკითხვის ჩაწერის მნიშვნელობას, ვინაიდან აღნიშნული წარმოადგენს პრევენციულ საშუალებას ბრალდებულის მიმართ იძულების მეთოდების გამოყენების საწინააღმდეგოდ, პოლიციას იცავს ცრუ ბრალდებებისგან[73] და წარმოადგენს ალიბს, რომ აღნიშნული ინფორმაცია მოპოვებულია ბრალდებულის ინტერვიუს შედეგად.[74] რაც შეეხება, სახელმწიფოთა სამართლებრივ მიდგომებს აღიარების ნებაყოფლობითობის საკითხი, არის თუ არა დაკავშირებული ვიდეო ჩაწერისას ბრალდებულის ინფორმირებასთან არაერთგვაროვანია. შტატების პოლიციის დეპარტამენტების ნაწილში ბრალდებულს აფრთხილებენ ჩაწერის შესახებ[75], ზოგადად კი შტატების უმრავლესობაში ძირითადად ღია ვიდეო ფორმით იწერენ დაკითხვას, ან ეჭვმიტანილებს ეუბნებიან, რომ ჩაიწერენ მის ინტერვიუს ან ტოვებენ კამერას ან მიკროფონს ხილულ ადგილას.

---

[72] მითაიშვილი მ., მოწმეთა დაკითხვა გამოძიების ეტაპზე (შედარებით-სამართლებრივი ანალიზი), წიგნში; სისხლის სამართლის აქტუალური საკითხები, N3, კ. რუსიძის რედაქტორობით, თბილისი, 2018, 98-99

[73] Sullivan P. T., Police Experiences with Recording Custodial Interrogation, Chicago, 2004 ,9

[74]<https://www.hse.gov.uk/enforce/enforcementguide/investigation/witness-questioning.htm> [09.08.2020]

[75] Sullivan, 2004 , 41-44

ამასთანავე, აღნიშნავენ ფარული ჩაწერის გამოყენების სარგებელს, იმ მიზეზებიდან გამომდინარე, რომ ეჭვმიტანილს ინტერვიუს განმავლობაში პოლიცია ვერ აიძულებს ჩაწერას თუ პირი უარზეა, შესაბამისად, მოცემული სიტუაციის თავიდან ასაცილებლად ფარული ჩაწერა წარმოადგენს ხელსაყრელ საშუალებას, იმის საილუსტრაციოდ, რომ ბრალდებული საუბრობს სურვილიდან გამომდინარე, თუმცა კვლევამ აჩვენა რომ ბრალდებულები, რომლებიც ინფორმირებულები არიან მათი ჩაწერის შესახებ საუბრობენ ისეთივე მოცემულობით, როგორც ისინი ვინც არ არიან ინფორმირებულნი. შესაბამისად, პირების ინფორმირება მათ ჩაწერის შესახებ, ნაკლებად მოქმედებს პირის მიერ ინფორმაციის მიწოდების საკითხზე.[76] ასევე ერთ-ერთ მიზეზად, მიიჩნევენ იმ გარემოებებს, რომ ეჭვმიტანილის ინფორმირება მისი ჩაწერის შესახებ იწვევს მისი ყურადღების გადატანას აღნიშნულზე. ხოლო ჩაწერაზე ინფორმირების უმნიშვნელობას ამყარებენ მირანდას გაფრთხილების საფუძვლით, რომ ბრალდებული თავიდანვე ინფორმირებულია, იმის შესახებ, რომ რასაც იტყვის შესაძლოა გამოყენებული იყოს მის წინააღმდეგ.[77] სამხრეთ ავსტრალიის სისტემის პირობებში, საიდუმლო ჩაწერა არ არის პრობლემა, რადგან ჩამწერი მოწყობილობა ბრალდებულისთვის თავალსაჩინოა, ინტერვიუს განმავლობაში, თუმცა გამოთქმულია ლიტერატურაში მოსაზრება, რომ ვინაიდან ვიდეო ტექნოლოგია ცვალებადია შესაძლებელია, მხოლოდ აუდიო ფორმით ჩაწერისას მისი ადვილად დამალვა და ფარულად ჩაწერა, რის გამოც უმჯობესი იქნებოდა თუ დაკითხვის მწარმოებელი ოფიცერი დაკითხვის დაწყებამდე მიიღებს ბრალდებულისგან თანხმობას ჩაწერაზე.[78] ასევე სახელმწიფოები ადგენენ პირის დაკითხვის ჩაწერის სავალდებულო მოთხოვნას, რათა მოსამართლეს შესაძლებლობა ჰქონდეს შეაფასოს პირის მიერ მიწოდებული ინფორმაცია,

[76] <https://www.apa.org/pubs/highlights/spotlight/issue-137> [09.08.2020]
[77] Geller A. W., Videotaping Interrogations and Confessions, Washington, 1993, 4
[78] Waye V., Video Tape of Custodial Interrogation, Adelaide Law Review, vol. 12 , 1989, 240

მაგ: ინგლისსა და ესპანეთში პირებს აფრთხილებენ ჩაწერის შესახებ[79] და უელსში ჩაწერა ინტერვიუს წარმოადგენს სავალდებულო მოთხოვნას[80]. კანადაში აღნიშნავენ ჩაწერის მნიშვნელობას, თუმცა ასევე აანალიზებენ, რომ აღნიშნული საშუალება არ წარმოადგენს აბსოლუტური ფორმით ბრალდებულის დამცავ მექანიზმს, ინტერვიუს მიღმა სიტუაციისგან.[81] სახელმწიფოების სამართლებრივი სისტემა, რომლებიც ბრალდებულის ფარულ ჩაწერის შესაძლებლობას უშვებენ ინტერვიუს განმავლობაში, ძირითადად აღნიშნულს საშუალებას იყენებენ, როგორც პრევენციულ მექანიზმს, ბრალდებულის აღიარების წესების შესაბამისად მოპოვების საჩვენებლად, ვინაიდან პირის მიერ ინტერვიუს მიწოდებისას მაინკრიმინირებელი განცხადებები, სახელმწიფოთა უმრავლესობაში დასაშვებია სასამართლო განხილვისას, ბრალდებულის ნებისგან დამოუკიდებლად და არაა თავისთავად ბრალდებულის საპროცესო გარანტიისთვის გვერდის ავლის საშუალება.

1.3. ბრალდებულის უფლება ისარგებლოს დუმილის უფლებით სასამართლო განხილვისას

თვითინკრიმინაციის პრივილეგია უპირველესად ეხება ბრალდებულის ნების პატივისცემას, გამოიყენოს დუმილის უფლება. რაც სახელმწიფოს უკრძალავს ისეთი მეთოდების გამოყენებას, რამაც შესაძლოა იმოქმედოს აღნიშნულ გარანტიაზე[82], ვინაიდან „პრივილეგია გულისხმობს, რომ პირი არ შეიძლება იძულებული იყოს მისცეს ჩვენება საკუთარ

[79] Report of The Supreme Court Special Committee on Recordation of Custodial Interogations <http://citeseerx.ist.psu.edu/viewdoc/download?doi=10.1.1.442.6026&rep=rep1&type=pdf> [31.08.2020]

[80] Bradley M. G., Interrogation and silence: A comparative study, Wisconsin International Law Journal, Vol. 27, 2009, 287

[81] Waye V., Video Tape of Custodial Interrogation, Adelaide Law Review, vol. 12, 1989, 231

[82] Allan v. The United Kingdom, [EctHR], App. No. 48539/99, 05 November 2002, Par.45.

სასამართლო პროცესზე“[83]. მოცემული გარანტიით იკრძალება ისეთი მეთოდების გამოყენება, რომელიც ხელყოფს პირის შესაძლებლობას მიიღოს გაცნობიერებული და თავისუფალი გადაწყვეტილება.

სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი ბრალდებულის ნების პატივისცემის კუთხით მნიშვნელოვან გარანტიას წარმოადგენს, რაზეც მიანიშნებს ის გარანტიები, რომ იგი ინფორმირებული უნდა იყოს გამოკითხვისას არსებული ჩაწერის შესახებ, ასევე ბრალდებულის ჩვენების მხრივ მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ ეს არის სასამართლოსთვის მიწოდებული ინფორმაცია. ჩვენების ხასიათიდან გამომდინარე აუცილებელია მისი საქმის არსებით სხდომაზე გამოკვლევა, რათა მან მტკიცებულებითი მნიშვნელობა შეიძინოს. ხოლო გამოძიებაში ბრალდებულის მიერ მიწოდებულ ინფორმაციას მაშინ მიენიჭება რაიმე მტკიცებულებითი ღირებულება, თუ ბრალდებული წინააღმდეგი არაა, სასამართლოში, საქმის არსებით განხილვამდე მის მიერ გამოკითხვის დროს მიწოდებული ინფორმაციის სასამართლო სხდომაზე საჯაროდ წაკითხვის, აგრეთვე ამ ინფორმაციის აუდიო- ან ვიდეოჩანაწერის მოსმენის (დემონსტრირების).

შესაბამისად, იმისთვის, რომ ბრალდებულის მიერ გამოკითხვისას დანაშაულის აღიარებამ დააკმაყოფილოს სასამართლოზე მტკიცებულებითი ინფორმაციის პირობა მნიშვნელოვანია, რომ 1) ბრალდებული დათანხმდეს მის მიერ საგამოძიებო უწყებებისთვის მიწოდებული ინფორმაციის გამოკვლევასა და დემონსტრირებაზე, 2) მონაწილეობა მიიღოს აღნიშნული მტკიცებულების გამოკვლევაში, სასამართლოსთვის ინფორმაციის მიწოდების გზით. აღნიშნული კი ბრალდებულის მონაწილეობით გამოკითხვისას მიწოდებულ ინფორმაციას არ უკავშირებს ავტომატურად მტკიცებულებით მნიშვნელობას, ვინაიდან მისი ავტორიზაციისთვის საჭიროა მისი გამოკვლევა სასამართლოში

[83] Stewart H., The privilege Against self-incrimination: Reconsidering Redmayne's rethinking, The International Journal of Evidence & Proof, Vol. 20(2), 2016, 98

ბრალდებულის მონაწილეობით. აღნიშნული გარანტიის არ გავრცელება ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიების ან ფარული საგამოძიებო მოქმედების შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე[84], რეალურად აღნიშნულ წესს უკარგავს მნიშვნელობას, ვინაიდან ბრალდებულის მიერ საგამოძიებო ორგანოებისთვის გამოკითხვისას მიწოდებული ინფორმაცია დეპონირებული ჩვენების ფორმით გამოიყენება სასამართლოზე და შესაბამისად, სსსკ-ის 74-ე მუხლის 1-ლი ნაწილის დანაწესის მოქმედება იზღუდება, რომლის თანახმადაც, ბრალდებულის ჩვენება, ეს არის მის მიერ სასამართლოსთვის მიწოდებული ინფორმაცია სისხლის სამართლის საქმის გარემოებების შესახებ. ასევე აღსანიშნავია, რომ სსსკ-ის 247-ე მუხლის პირველი ნაწილი მნიშვნელოვნად დაკავშირებულია ბრალდებულის დუმილის უფლების საპროცესო გარანტასთან, კერძოდ იმ შემთხვევაში, თუ იგი უარს იტყვის აღნიშნული ინფორმაციის გამოყენებაზე თავისთავად ვერ იქნება გამოკვლეული აღნიშნული ინფორმაცია მისი ნების საწინააღდეგოდ. შესაბამისად, ბრალდებულის ნებართვის საკითხი წარმოიშვება, როდესაც აღნიშნული ინფორმაცია მოპოვებულია საქმის არსებით განხილვამდე მისი თანხმობით, ხოლო ბრალდებული შემდგომში წინააღმდეგია მისი გამოქვეყნების[85]. ბრალდებულის ნების პატივისცემა, როგორც თვითინკრიმინაციის პრივილეგიის ძირითადი მიზანი ემსახურება იმ პრინციპს, რომ ბრალდებულის ნებისმიერი პოზიტიური მონაწილეობა სისხლის სამართლის პროცესში უნდა სრულდებოდეს ნებაყოფლობითობის საფუძველზე[86]. თუმცა საკამათოა მოქმედება როდის არის ნებაყოფლობითი და როდის არა.

პროცესუალურად მნიშვნელოვანია ბრალდებული იყოს ინფორმირებული დაკავებისთანავე მისი უფლებების შესახებ და ასევე

---

[84] სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი 247-ე მუხლის მე-2 ნაწილი

[85] ფაფიაშვილი ლ., თუმანიშვილი გ., კვაჭანტრაძე დ., ლიპარტელიანი ლ., დადეშქელიანი გ., გუნცაძე შ., მეზვრიშვილი ნ., თოლორაია ლ., სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის კომენტარები , თბილისი, 2015, 713

[86] Jackson J., Re-Conceptualizing the Right of Silence as an Effective Fair Trial Standard, The International and Comparative Law Quarterly, Vol. 58, 2009, 842

საქმის არსებითი განხილვის სხდომაზე ჩვენების მიცემის შემთხვევაში, რომ მას უფლება აქვს გამოიყენოს დუმილის უფლება და აღნიშნული არ შეიძლება შეფასდეს მისი ბრალეულობის დამადასტურებელ მტკიცებულებად.[87] ასევე ყოველი დაკითხვის წინ სასამართლო ვალდებულია ბრალდებულს განუმარტოს, რომ იგი არ არის შეზღუდული მის მიერ გამოძიებაში მიცემული ინფორმაციით[88], თუმცა ფარული ჩაწერის შემთხვევებში, ბრალდებულის მიერ გამოკითხვისას მიწოდებული ინფორმაციის გამოკვლევა არ არის დაკავშირებული ბრალდებულის თანხმობასთან და მის მონაწილეობასთან გამოკვლევაში. შესაბამისად, ბრალდებული ვერ ისარგებლებს უარის თქმის საფუძვლით სსსკ-ის 247-ე მუხლის 1-ლი ნაწილიდან გამომდინარე. მოცემულ შემთხვევაში, ბრალდებული დგას ორი ალტერნატივის წინაშე- ერთი მისცეს ჩვენება და დააყენოს ეჭვქვეშ აღნიშნული მტკიცებულების სანდოობა, რაც რთული იქნება მყარი საფუძვლების არსებობის გარეშე, ვინაიდან უნდა დაამტკიცოს, რომ მოპოვებულია იძულების საშუალებების გამოყენებით, შესაბამისი მტკიცებულების წარმოდგენით, ხოლო თუ ვერ დაამტკიცებს მოცემული ინფორმაციის კანონის დარღვევით მოპოვებას, ამავდროულად მის მიმართ, როგორც მოწმის მიმართ წარმოშობს უნდობლობის საფუძველს, ხოლო ჩანაწერს, როგორც მტკიცებულებას უპირატესობა მიენიჭება. მეორე, შეინარჩუნოს დუმილი, რაც განიმარტება ფარული ჩანაწერის სასარგებლოდ (დუმილის საფუძველზე უარყოფითი დასკვნის გამოტანის შემთხვევა). მოცემულიდან გამომდინარე, ბრალდებულის არჩევანის თავისუფლება მკვეთრად შეზღუდულია. ევროპული სასამართლოსა და საქართველოს კანონმდებლობიდან გამომდინარე დაუშვებელია ბრალდებულის დუმილის უფლებიდან გამომდინარე უარყოფითი დასკვნების გამოტანა[89].

---

[87] აქუბარდია ი., ბრალდებულის უფლებები და ევროპული სტანდარტები, ევროპული და საერთაშორისო სამართლის ზეგავლენა ქართულ სისხლის საპროცესო სამართალზე, გ. თუმანიშვილი, ბ. ჯიშკარიანისა და ე. შრამის რედაქტორობით, თბილისი, 2019, 305

[88] სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 230-ე მუხლის მე-2 ნაწილი

[89] შენ. აღნიშნული წესი არ ვრცელდება გარემოებებზე, რომელიც ეჭვმიტანილსგან აშკარად მოითხოვს ახსნა-განმარტებებს იხ. John Murray v. The United Kingdom, [EctHR], App. no. 18731/91, 8 February 1996, Par.51.

დუმილის უფლება შესაძლოა დაირღვეს იმის მიხედვით, თუ რა ღირებულება ექნება მას სასამართლოს მიერ მტკიცებულებათა შეფასების ჭრილში, კერძოდ, დუმილის უფლების გამოყენებიდან გამომდინარე, ბრალის დადგენისას იქნება თუ არ განმსაზღვრელი გარემოება.[90] მსგავს შემთხვევებში, თუ ბრალდებული გამოიყენებს საქმის არსებით განხილვაზე დუმილის უფლებას, მოცემული შექმნის უარყოფითი დასკვნის გაკეთების საფუძველს, ვინაიდან დუმილი განიმარტება, როგორც თანხმობა ბრალდებულის წინააღმდეგ არსებული პირდაპირი მტკიცებულების მიღების და ამავდროულად ფარული ჩანაწერის სასარგებლოდ. შესაბამისად, დუმილი აღნიშნულ ინფორმაციაზე, როგორც ძირითად მტკიცებულებაზე (თუ იგი საქმეში წარმოადგენს ერთადერთ პირდაპირ მტკიცებულებას) დაყრდნობის საფუძველს წარმოადგენს.

სსსკ ბრალდებულის მიერ გამოკითხვისას დანაშაულის აღიარების მტკიცებულებით მნიშვნელობას უკავშირებს ბრალდებულის ნებას, რომ იგი თანახმაა აღნიშნული ინფორმაციის სასამართლოში დემონსტრირებაზე და ამასთანავე აღნიშნული ინფორმაციის გამოკვლევაზე მისი მონაწილეობით. თუმცა ამავდროულად გამოკითხვის შემთხვევებზე ოპერატიული სამძებრო ღონისძიებისა და ფარული საგამოძიებო მოქმედების გავრცელებით, ბრალდებულის პროცესუალური სტატუსიდან გამომდინარე ისარგებლოს ჩვენების მიცემის შესაძლებლობით, როგორც უფლებით შეზღუდულია, იმ სავარაუდო შედეგების გათვალისწინებით, რომ ბრალდებულის ჩვენების ფორმას უთანაბრდება გამოძიებაში, გამოკითხვისას ბრალდებულის მიერ მიწოდებული ინფორმაცია, რომელიც ფარული ჩაწერის გზით არის მოპოვებული და ასევე მისი უფლება შეინარჩუნოს თუ არა დუმილი, საქმის არსებით განხილვაზე, მოცემულ შემთხვევაში ნაკლებად არის დამოკიდებული მის ნებაზე.

---

[90] ფილიპ ლ., როგორ მივმართოთ ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოს, მე-3 გამოცემა, ე. ლომთათიძის, ლ. ჩხეტიას, ქ. აბაშიძისა და ნ. თოფურიძის თარგმანი, თბილისი, 2013, 340

2. მიმართება სხვა ძირითად პრინციპებთან

2.1. უდანაშაულობის პრეზუმფცია:

უდანაშაულობის პრეზუმფცია ბრალდებულის უფლებების დაცვის ქვაკუთხედია, რომელიც არეგულირებს სამართალწარმოების გარემოს. ამ პროცესში მნიშვნელოვანი როლი აკისრია, როგორც პროკურორს, ისე სასამართლოს საქმის განხილვისას, ბრალდებულის მიმართ შესაბამისი ფსიქოლოგიური გარემოს შექმნით.[91] პირის მიერ დუმილის უფლების გამოყენება, და საკუთარი თავის წინააღმდეგ არსებულ მტკიცებულებების წარმოდგენაზე უარი მჭიდროდ არის დაკავშირებული ევროპული კონვენციის მე-6 მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებულ უდანაშაულობის პრეზუმფციასთან.[92] უდანაშაულობის პრეზუმფცია მოქმედებას იწყებს პირის ბრალდებულად ცნობის მომენტიდან და გულისხმობს პირის მიმართ იმ დაშვებით მოქმედებას, რომ იგი უდანაშაულოა, ვიდრე ჯეროვანი პროცედურის დაცვით სასამართლო არ გამოიტანს გამამტყუნებელ განაჩენს[93]. იგი ბრალდებულს იცავს არასწორი მსჯავრდებისგან[94], ასევე უზრუნველყოფს მტკიცების ტვირთის პროკურატურაზე დაკისრებას[95], რაც ბრალდებულს ათავისუფლებს მისი ბრალეულობის მტკიცებისგანს, იმ მოთხოვნით რომ მის წინააღმდეგ მტკიცებულებები არ უნდა იყოს მოპოვებული ბრალდებულის მოტყუების, ნების დათრგუნვისა თუ იძულების საშუალებების გამოყენებით.[96] შესაბამისად, უდანაშაულობის პრეზუმფცია ზღუდავს სახელმწიფოს

---

[91] ტრექსელი შ., ადამიანის უფლებები სისხლის სამართლის პროცესში, ვ. გოგელიას, ე. ლომთათიძეს, ე. ქარცივაძეს, თ. ივანიშვილის, მ. ნარინდოშვილის თარგმანი, კ. ვარძელაშვილის, ლ. ფაფიაშვილის, მ. ნარინდოშვილის ნ. მჭედლიძეს, რედაქტორობით, თბილისი, 2009, 186

[92] John Murray v. The United Kingdom, [EctHR], App. no. 18731/91, 8 February 1996, Par.54.

[93] სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტი, მე-14(2) მუხლი

[94] Tadros V., Tlerne S., The Presumption of Innocence and the Human Rights Act, The Modern Law Review, Vol. 67, 2004, 402

[95] General Comment of the Human Rights Committee N 13, 7 <https://www.refworld.org/docid/453883f90.htm> [09.08.2020]

[96] Aleksandr Zaichenko v. Russia, [EctHR], App. No. 39660/02, 18 February 2010, Par.38, Allan v. The United Kingdom, [ECtHR], App. No. 48539/99, 05 November 2002, Par.44.

შესაძლებლობას, გონივრული საფუძვლის გარეშე გამოიყენოს ერთი მხრივ, ბრალდებულის საწინააღმდეგო ქმედებები, მეორე მხრივ კი პრივილეგია ვრცელდება ამ სიტუაციის მიღმა, პირის შესაძლებლობით, უარი თქვას გამოძიებასთან თანამშრომლობაზე, თუნდაც არსებობდეს გონივრული ეჭვი მის წინააღმდეგ.[97]

ბრალდებულის მიერ საგამოძიებო უწყებებისთვის აღიარებითი ინფორმაციის მიწოდების შემთხვევაშიც, მოცემული გარანტია არ წყვეტს არსებობას, ვინაიდან უდანაშაულობის პრეზუმფცია გასდევს მთლიან სისხლის სამართლის პროცესს და იგი მოქმედებას არ წყვეტს მანამ, სანამ ჯეროვანი გზით არ იქნება დადასტურებული პირის მიერ დანაშაულის ჩადენა.[98] მოცემულს კიდევ უფრო ამყარებს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის დანაწესი, რომელიც ბრალდებულს, აღიარებითი ინფორმაციის მიწოდების შემდეგ აძლევს შესაძლებლობას უარი თქვას მის მიერ მიწოდებული ინფორმაციის სასამართლო სხდომაზე საჯაროდ წაკითხვაზე ან ამ ინფორმაციის აუდიო ან ვიდეოჩანაწერის მოსმენაზე (დემონსტრირებაზე), რაც არ შეიძლება შეფასდეს მისი ბრალეულობის დამადასტურებელ მტკიცებულებად. აღნიშნული დანაწესი, მიუთითებს ბრალდებულის უდანაშაულობის პრეზუმფციის მნიშვნელობაზე, პოტენციურად ნებაყოფლობით მიწოდებული აღიარებითი ინფორმაციის შემთხვევაშიც.

უდანაშაულობის პრეზუმფციის დაცვისთვის მნიშვნელოვანია გამოკითხვის მიმართულება და მიზანი არ იყოს თავისთავად პირისგან მაინკრიმინირებელი ინფორმაციის მოპოვება,[99] ფარული საგამოძიებო მოქმედებების გავრცელება გამოკითხვის შემთხვევებზე, ბრალდებულს მიზანმიმართულ ობიექტად აქცევს, მისგან აღიარებითი ინფორმაციის მოპოვების მიზნიდან გამომდინარე, ვინაიდან თავისთავად მოცემულ

[97] Jackson J., Re-Conceptualizing the Right of Silence as an Effective Fair Trial Standard, The International and Comparative Law Quarterly, Vol. 58, 2009, 846
[98] სასამართლო პროცესის მონიტორინგის ანგარიში საქართველო, ვარშავა, 2014, 67
[99] მოწმის დაკითხვის ახალი წესის კვლევა, თბილისი, 2017, 39

შემთხვევაში სამართალდამცავი ორგანო არ მოქმედებს ობიექტურად უშუალოდ საქმესთან კავშირში არსებული ინფორმაციის მოპოვებისთვის, არამედ მიზანმიმართულნი არიან პირისგან მაინკრიმინირებელი ინფორმაციის გამოვლენისკენ. აღნიშნულ არგუმენტს კიდევ უფრო ამყარებს მოცემული ფორმით ინფორმაციის მოპოვების მნიშვნელობა, რომელიც გამოიყენება შემგომში ბრალდებული საპროცესო გარანტიის დასაძლევად და სასამართლოში მაინკრიმინირებელი ინფორმაციის მტკიცებულების ფორმით წარსადგენად, რითაც ირღვევა უდანაშაულობის პრეზუმფცია.

ბრალდებულის მიერ მიწოდებული აღიარებით, ინფორმაცია, რომელიც მტკიცებულებითი მნიშვნელობა შეიძლება შეიძინოს წარმოადგენს მნიშვნელოვან ინფორმაციას, პირის მიერ დანაშაულის ჩადენის მტკიცებისთვის. მას მნიშვნელოვანი გავლენა აქვს მოსამართლის მიერ ფაქტების შეფასებაზე, ბრალდებულის ბრალეულობის კუთხით და შესაბამისად, შეიძლება ითქვას, რომ ფარულად ჩაწერილი აღიარებითი ინფორმაცია, მის მიმართ ბრალად წარდგენილი დანაშაულის ჩადენის ჰიპოთეზას უდებს საფუძველს. ასევე აღნიშნული ინფორმაციის გამოკვლევის გარეშე მტკიცებულებად მიჩნევის შესაძლებლობა, ბრალდებულის მიერ გამოკითხვისას მიწოდებული მაინკრიმინირებელი ინფორმაციის სანდოობასა და პირის მიერ დანაშაულის ჩადენის ვარაუდს განაპირობებს, რაც მნიშვნელოვან კავშირშია უდანაშაულობის პრეზუფციასთან. მართალია აღნიშნული მტკიცებულება სხვა მტკიცებულებებთან ერთობლიობაში ქმნის გონივრულ ეჭვს მიღმა სტანდარტს[100], მაგრამ გასათვალისწინებელია თუ რა პროცესუალურ პირობებში მოიპოვება და როგორია მისდამი, როგორც მტკიცებულებისადმი დამოკიდებულება. განსაკუთებით იმ შემთხვევაში, როდესაც მსგავსი ფორმით მოპოვებული მტკიცებულება წარმოადგენს ერთადერთ პირდაპირ მტკიცებულებას საქმეში, რის გამოც ბრალდებულის ალტერნატივა დააყენოს თუ არა ეჭვქვეშ აღნიშნული მტკიცებულებები,

[100] სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-13 მუხლის მე-2 ნაწილი

მტკიცების ტვირთის მნიშვნელოვან გადატანას იწვევს მასზე, ხოლო იმ შემთხვევაში, როდესაც ბრალდებული გამოიყენებს დუმილის უფლებას, აღნიშნული განაპირობებს სათანადო (ჩვენებისთვის დამახასიათებელი) გამოკვლევის გარეშე მტკიცებულების მიღებას, რაც მნიშვნელოვნად იმოქმედებს უდანაშაულობის პრეზუმფციაზე.

2.2. ჯეროვანი დაცვის გარანტია

ბრადებულის არჩევანი მოიცავს მოქმედებებისა და გონებრივ ელემენტის სინთეზს. სწორედ გონებრივი ელემენტიდან გამომდინარე ირჩევს ალტერნატივებიდან ერთ-ერთს: ილაპარაკოს თუ გამოიყენოს დუმილის უფლება, ამასთანავე ხელისუფლების მხრიდან ძალადობის, მუქარისა და დაპირების არარსებობა არ ნიშნავს იმას, რომ მიღებული განცხადება ნებაყოფლობითია, თუ პირს გონებრივი ელემენტით არ აქვს გააზრებული მისი განცხადებების შედეგები და უფლება თავი შეიკავოს აღნიშნულისგან.[101] აღსანიშნავია, რომ ბრალდებული სამართალწარმოების ამ ეტაპზე უმწეო მდგომარეობაში იმყოფება, რასაც ემატება კანონმდებლობის სირთულე,[102] პირები, რომლებიც მარტო საგამოძიებო ორგანოების ტერიტორიაზე იმყოფებიან, ძირითადად არ შეუძლიათ ინფორმირებული არჩევანი გააკეთონ ილაპარაკონ თუ გამოიყენონ დუმილის უფლება, რაც მათ რთული დილემის წინაშე აყენებს[103]. სწორედ აღნიშნული სიტუაცია შესაძლოა დაბალანსდეს ადვოკატის დახმარების გამოყენებით, რათა ბრალდებულმა გაცნობიერებული არჩევანი გააკეთოს,

---

[101] R. v. Hebert , კანადის უზენაესი სასამართლოს 1990 წლის 21 ივნისის გადაწყვეტილება, პარ 151.

[102] კეიპი ე., ნამორაძე ზ., ეფექტური სისხლისსამართლებრივი დაცვა აღმოსავლეთ ევროპაში, ბ. ბოხაშვილის თარგმანი, თ. ქალდანის რედაქტორობით, ფონდი ღია საზოგადოება საქართველო, 2013, 59

[103] Kamisar Y., Brewer v. Williams, Massiah and Miranda: What Is 'Interrogation'? When Does It Matter? Geo. L. J. 67 , 1978, 97-100

მისი უფლებებიდან გამომდინარე[104]. წამების საწინააღმდეგო კომიტეტიც (CPT), თავის რეკომენდაციაში მიუთითებს, არასათანადო მოპყრობისგან დასაცავად, პატიმრის მიერ იურიდიული დახმარების მიღების მნიშვნელობაზე[105]. ასევე მას შემდეგ რაც პირი ისარგებლებს ადვოკატის დახმარების უფლებით პირის დაკითხვა უნდა შეწყდეს მის მოწვევამდე და აღნიშნული ხელმისაწვდომობის უფლება მოქმედებს ყოველი ხელახალი დაკითხვისას.[106] მიუხედავად აღნიშნული მოთხოვნისა, სამართალდამცავი ორგანოების ქმედება ხშირად მიმართულია ბრალდებულის ადვოკატის მონაწილეობის გარეშე დაკითხვისკენ. მოცემულის მიზეზი კი არის ბრალდების მხარის წარმოდგენა, რომ იურიდიული დახმარების პირობებში, ბრალდებულები უფრო მეტად სარგებლობენ საკუთარი საპროცესო უფლებებით, მათ შორის დუმილის უფლებითაც[107]. აღნიშნული მიზანმიმართული ქცევა კი უადვილებს საგამოძიებო უწყებებს მაინკრიმინირებელი ინფორმაციის მოპოვებას. საქართველოში ჩატარებული კვლევებიდან გამომდინარე ხშირია შემთხვევები, როდესაც პოლიცია ცდილობს მოწმის სტატუსით დაკითხოს დაკავებული პირები, რომელთაც წერილობითი ფორმით აწვდიან მათი უფლებების ნუსხას, დაკავებული პირები კი დაბნეულობისა და უფლებებზე ნათელი წარმოდგენის არ ქონის გამო, იშვიათად სარგებლობენ ადვოკატის

---

[104] მაგ. Murray-ის საქმეში მიუხედავად იმისა, რომ ბრალდებულის მიერ გამოყენებულ იქნა დუმილის უფლება და ადვოკატმა კონსულტაციის შემდეგაც ურჩია დუმილის უფლების გამოყენება, მის მიერ ადვოკატის უფლების ხელმიუწვდომლობა დაკავებიდან 48 საათის განმავლობაში, შეფასდა დარღვევად, ვინაიდან ბრალდებული რეალურად რთული დიდემის წინაშე იდგა, გამოეყენებინდა დუმილის უფლება, თუ გაეკეთებინა განცხადებები, ხოლო აღნიშნულ გარანტიაზე უარის თქმა დანაშაულის ხასიათიდან გამომდინარე, სასამართლომ მიიჩნია მე-6 მუხლით გათვალისწინებული გარანტიის დარღვევად, მიუხედავაად იმისა, რომ განმცხადებელმა გამოიყენა დუმილის უფლება, იხ. John Murray v. The United Kingdom, [ECtHR], App. no. 18731/91, 8 February 1996, Par.64-69.

[105] წამების საწინააღმდეგო კომიტეტის მოხსენება, 2001, 29. <https://www.refworld.org/cgibin/texis/vtx/rwmain/opendocpdf.pdf?reldoc=y&docid=471efbdf2> [08.09.2020]

[106] დეკანოზიშვილი გ., სადისერტაციო თემა: დაკითხვის თანამედროვე პრობლემები სისხლისსამართალწარმოებაში და კრიმინალისტიკაში, თბილისი, 2009, 123

[107] ტრექსელი შ., ადამიანის უფლებები სისხლის სამართლის პროცესში, ვ. გოგელიას, ე. ლომთათიძეს, ე. ქარცივაძეს, თ. ივანიშვილის, მ. ნარინდოშვილის თარგმანი, კ. ვარძელაშვილის, ლ. ფაფიაშვილის, მ. ნარინდოშვილის ნ. მჭედლიძეს, რედაქტორობით, თბილისი, 2009, 297

დახმარებით ანდა გამოკითხვამდე აყოვნებენ ადვოკატის მოწვევას, რაც ერთი მხრივ, უფრო აიოლებს პირებისგან აღიარებითი ინფორმაციის მოპოვებას.[108] შესაბამისად, თავისთავად პრობლემურია, როდესაც ბრალდებული აკეთებს მაინკრიმინირებელ განცხადებებს ადვოკატის კონსულტაციის გარეშე, ვინაიდან ბრალდებულის გამოკითხვისას ფარული გზით ინფორმაციის მოპოვებაც სწორედ ამ პირობებში ხდება, რის საფუძველზეც მოპოვებული ინფორმაციას, სამართალდამცავი ორგანოები შემდგომში ამყარებენ ბრალდებას. ევროპული სასამართლო ბრალდებულის განცხადებების შეფასებას და სამართლიანი სამართლო განხილვის ეფექტურობას უკავშირებს, ბრალდებულის შესაძლებლობას პირველი დაკითხვის ეტაპიდანვე ისარგებლოს ადვოკატის ხელმისაწვდომობით, ვინაიდან ეროვნული კანონმდებლობა ხშირად მნიშვნელობას ანიჭებს ბრალდებულის თავდაპირველი დაკითხვის გარემოებებს, რაც გადამწყვეტია ხშირ შემთხვევაში დაცვის პოზიციისთვის.[109] ასევე ევროპული სასამართლომ გადაწყვეტილებაში მიუთითა, რომ იმის დასადგენად, რომ ბრალდებულმა ინფორმირებული არჩევანი გააკეთა, ეჭვმიტანილის თანხმობა ჩვენების მიცემაზე და ინფორმირებულობა, რომ აღნიშნული ჩვენება შეიძლება გამოყენებული იყოს მის წინააღმდეგ, როგორც მტკიცებულება არასაკმარისია, ვინაიდან უპირველესად აუცილებელია მისი ინფორმირება დუმილის უფლების შესახებ ნათლად და ამავდროულად ჩვენების მიცემის გადაწყვეტილების მიღება ადვოკატის დახმარებით.[110] აქედან გამომდინარე, ბრალდებულის ადვოკატის ხელმისაწვდომობის უფლება ადრეულ ეტაპზევე წარმოადგენს მნიშვნელოვან ასპექტს ბრალდებულის თვითინკრიმინაციისგან დასაცავად. გამონაკლისია გონივრული მიზეზის არსებობა, რაც გაამართლებს აღნიშნული გარანტიის შეზღუდვას. (ნებაყოფლობით უარის თქმა

---

[108] ბოხაშვილი ბ., მშვენიერაძე გ., ყანდაშვილი ი., ეჭვმიტანილთა საპროცესო უფლებები საქართველოში, 2016, 54

[109] Aleksandr Zaichenko v. Russia, [EctHR], App. No. 39660/02, 18 February 2010, Par.44.

[110] Salduz v. Turkey, [EctHR], App. No. 36391/02, 27Nov. 2008, <file:///C:/Users/pc/Downloads/002-1842.pdf> [09.08.2020]

ადვოკატის კონსულტაციაზე, ან დაუძლეველი ძალის არსებობა).[111] სპეციალური მომხსენებლის ანგარიშში მითითებულია, რომ პირის აღიარება არ უნდა იყოს დასაშვები მტკიცებულების ფორმით, თუ იგი გაკეთდა პატიმრობაში მყოფი პირის მიერ, ადვოკატის მონაწილეობის გარეშე და თუ იგი ამავდროულად არ დადასტურებულა მოსამართლის წინაშე.[112]

შესაბამისად, ნებაყოფლობითი განცხადებების გაკეთებისთვის, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ადვოკატის კონსულტაცია, რათა ბრალდებულმა სამართლებრივად გაცნობიერებულად მიიღოს გადაწყვეტილება. ბრალდებულის გაფრთხილება დუმილის უფლების შესახებ არასაკმარისია, დაკითხვისას არსებული იძულებითი ატმოსფეროს გასანეიტრალებად და აღნიშნულ პროცესში ადვოკატის მონაწილეობა მნიშვნელოვან გარემოებას წარმოადგენს.[113] აქედან გამომდინარე, მნიშვნელოვანია ბრალდებული, მაინკრიმინირებელი ინფორმაციის მიწოდების დროს სათანადოდ გაფრთხილდეს მისი უფლებების შესახებ და ასევე უზრუნველყოფილი იქნეს ადვოკატის კონსულტაციით, რაც საბოლოო ჯამში უზრუნველყოფს ბრალდებულის მიერ ინფორმირებული გადაწყვეტილების მიღებას. აღნიშნული განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ბრალდებულის მიერ მიწოდებული ინფორმაციის, მტკიცებულებითი წონიდან გამომდინარე. მოცემული სტანდარტი, კი არ არის დაკმაყოფილებული, როდესაც პირისგან ფარულად მოიპოვებენ ინფორმაციას, ვინაიდან სამართალდამცავი ორგანოები მიმართულნი არიან ინფორმაციის ადვოკატის კონსულტაციამდე მოპოვებისკენ.

---

[111] მოწმის დაკითხვის ახალი წესის კვლევა, თბილისი, 2017, 42

[112] Manfred Nowak: Report of the Special Rapporteur on torture and other cruel, inhuman or degrading treatment or punishment, 4/33, 05 Jan. 2007; ხელმისაწვდომია United Nations of human rights-ის ოფიციალურ ვებ-გვერდზე: <https://www.ohchr.org/en/issues/torture/srtorture/pages/srtortureindex.aspx>[09.08.2020]

[113] Corn S. G., Miranda, Secret Questioning, and the Right to Counsel, Arkansas, Law Review 66, no. 4, 2013, 936

III. ბრალდებულის გამოკითხვისას აღიარების ფარულად მოპოვება დასაშვებობასა და დაუშვებლობას შორის

1. ბრალდებულის ინფორმირების გარეშე მისი გამოკითხვის ჩაწერა, როგორც გამონაკლისი

1.1. კონფიდენციალურობის გონივრული მოლოდინი

ბრალდებულის თუ პოტენციური ბრალდებულის მიმართ საგამოძიებო კონტროლ ქვეშ საუბრის ჩაწერისას წარმოიშვება საკითხი, რამდენად შესაძლებელია პირს ჰქონდეს გონივრული მოლოდინი კონფიდენციალურობის საგამოძიებო ორგანოს ტერიტორიაზე არსებულ სიტუაციაში და აქედან გამომდინარე, გამართლებულია თუ არა მსგავსი ღონისძიებების გამოყენება. ბრალდებულისგან თანამშრომლობაზე უარი, არის მიზეზი აღიარების დაკარგვის და ერთ გზად აღნიშნული პრობლემის მოგვარების მიიჩნევენ ფარულ ჩაწერას. ფარული ჩაწერა დასაშვებია ფედერალური კონსტიტუციური კანონით, რადგან მიიჩნევენ, რომ არ არსებობს კონფიდენციალურობის მოლოდინი პოლიციის შეობაში.[114] პირის პირად ცხოვრებაში ჩარევის შეფასებისას გამოიყენება ტესტი, რომლითაც ფასდება ორი გარემოება, აქვს თუ არა პირს რეალური (სუბიექტური) მოლოდინი პირადი ცხოვრების და არის თუ არა ეს მოლოდინი საზოგადოებისთვის გონივრული. პირადი ცხოვრების უფლება ხელს უწყობს და იცავს თავისუფალი საზოგადოებისთვის დამახასიათებელ და აუცილებელ ღირებულებებსა და მახასიათებლებს. აღნიშნულში მოიაზრება აზრებისა და იდეების გაზიარება, პიროვნებისადმი ნდობა, თავისუფალი გამოხატვა და ინდივიდუალურობა, ხოლო საუბრების საიდუმლო ჩაწერამ მოქალაქეებს შორის, შეიძლება უგულებელყოს თავისუფლების ამგვარი ფორმები, თუმცა ეს ეფექტი უმნიშვნელოა, როდესაც პირმა იცის, ან

[114] Linkins Renee J., Satisfy The Demands of Justice: Embrace Electronic Recording of Custodial Investigative Interviews Through Legislation, Agency Policy, or Court Mandate, American Criminal Law Review, vol. 2007, 159

გონივრული ალბათობით უნდა იცოდეს, რომ ის საუბრობს პოლიციელთან, რომელიც აღასრულებს სამართლებრივ მოქმედებებს, დაპატიმრებისა და გამოძიების. ასეთ შემთხვევაში, პიროვნების გულწრფელობა და სურვილი მიენდოს მოცემულ პირს, ნაკლებად სავარაუდოა, რომ უფრო მეტად არსებობდეს ამ მოცემულობაში, ვიდრე მას შემდეგ, რაც ისინი გაფრთხილდებიან ელექტრონული ჩაწერის შესახებ.[115] აშშ-ს სასამართლო არაერთხელ დაადგინა თავის გადაწყვეტილებებში, რომ პირი, რომელიც იმყოფება საგამოძიებო ორგანოების კონტროლ ქვეშ არ უნდა ჰქონდეს გონივრული მოლოდინი პირად ცხოვრების და კონფიდენციალურობის.[116]

აქედან გამომდინარე, ვინაიდან კონფიდენციალურობის მოლოდინი ციხეში, დაკითხვისას და საკანში ნაკლებად არსებობს[117], აღნიშნული არგუმენტით შესაძლოა ჩაითვალოს პირის მიმართ ფარული ჩაწერის საგამოძიებო მოქმედების გავრცელება მიზანშეწონილად, თუმცა ასევე ცალკე საკითხია, რამდენად შესაძლებელია ზემოაღნიშნული საკმარისი საფუძველი იყოს ბრალდებულის პროცესუალური გარანტიების უგულებელსაყოფად.

1.2. გამოძიების ინტერესები

ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების დაცვისას, სახელმწიფოს აკისრია ნეგატიური და პოზიტიური ვალდებულებები. პოზიტიური ვალდებულება უპირველეს ყოვლისა ვლინდება, სახელმწიფოს ვალდებულებაში დაიცვას ადამიანი სხვა პირთა მხრიდან მის უფლებებში ჩარევისას, შესაბამისი ღონისძიებების გატარებით. ნეგატიური

[115]City and Borough of Juneau v. Quinto, ალასკას უზენაესი სასამართლოს 1984 წლის 29 ივნისის გადაწყვეტილება, პარ 129.

[116] Orthmann Hess C, Hess M. K., Criminal Investigation , New York, 2010, 232

[117] შენ. თუმცა უშუალოდ საკანში, სადაც ბრლადებულია მოთავსებული, კონფიდენციალურობის მოლოდინი ვრცელდება პირადი ცხოვრების კონსტიტუციური გრანტიიდან გამომდინარე და მხოლოდ გამონაკლის შემთხვევებში შესაძლოა დაექვემდებაროს შეზღუდვას.

ვალდებულება კი ადამიანს იცავს, სახელმწიფოს მხრიდან, მის უფლებებში გაუმართლებელი, საკმარისი საფუძვლის გარეშე ჩარევისგან.[118] ბრალდებულის მიერ საგამოძიებო ორგანოებისთვის, მიწოდებული მაინკრიმინირებელი ინფორმაციის ფარული ჩაწერა, წარმოადგენს აღნიშნული ინფორმაციის მტკიცებულებად მატერიალიზირების საშუალებას, ვინაიდან მასზე არ ვრცელდება საგამონაკლსიო წესი - ბრალდებულის თანხმობის. შესაბამისად, პროკურორს აქვს შესაძლებლობა ბრალდება დაამყაროს აღნიშნულ მტკიცებულებას (ბრალდებულის ნების მიუხედავად).[119] მოცემული წესი, ბრალდების მხარისთვის მნიშვნელოვან საშუალებას წარმოადგენს, საკუთარი პოზიციის დასამტკიცებლად. შესაბამისად, აღნიშნული ჩაწერა ემსახურება ისეთ საჯარო ინტერესებს, როგორიცაა დანაშაულის გამოძიება, გახსნა და პირის სისხლისსამართლებრივი დევნა. სახელმწიფოს მიერ დანაშაულის გამოძიება განეკუთვნება მის პოზიტიურ ვალდებულებას, თუმცა აღნიშნული არ აღჭურავთ სამართალდამცავ ორგანოებს, ბრალდებულის ინტერესების წინააღმდეგ მიმართული ყოველგვარი ქმედების აღსრულების უფლებამოსილებით, არამედ ისინი ვალდებულნი არიან საქმე აწარმოონ, როგორც ბრალდებულის,[120] ისე დაზარალებულის და საზოგადოების ინტერესების გათვალისწინებით.[121] აქედან გამომდინარე, პოზიტიური ვალდებულების ასპექტი, გამოძიების ინტერესები, ვერ შეფასდება სახელმწიფოს მიერ ბრალდებულის პროცესუალური გარანტიების

---

[118] კორკელია კ., ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის გამოყენება საქართველოში, თბილისი, 2004, 27

[119] ფაფიაშვილი ლ., თუმანიშვილი გ., კვაჭანტრაძე დ., ლიპარტელიანი ლ., დადეშქელიანი გ., გუნცაძე შ., მეზვრიშვილი ნ., თოლორაია ლ., სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის კომენტარები , თბილისი, 2015, 712

[120] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2015 წლის 22 იანვრის №1/1/548 გადაწყვეტილება საქმეზე, „საქართველოს მოქალაქე ზურაბ მიქაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, №1/1/548, 22 იანვარი, 2015, 24

[121] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2016 წლის 30 სექტემბრის №1/8/594 გადაწყვეტილება საქმეზე, „საქართველოს მოქალაქე ხათუნა შუბითიძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“ II-18

პატივისცემის ნეგატიური ვალდებულების უპირატესად.[122] „..სამართლებრივი სახელმწიფოს პრინციპი გულისხმობს რა, რომ ხელისუფლება უნდა ეყრდნობოდეს კონსტიტუციას, კანონს და მთლიანად სამართალს....“[123].

ბრალდებულის მიმართ დუმილის უფლებისა და საკუთარი თავის წინააღმდეგ ჩვენების მიცემის პრივილეგია ვრცელდება ყველა კატეგორიისა და სირთულის დანაშაულზე. შესაბამისად, სახელმწიფოს დაყრდნობა ისეთ საჯარო ინტერესებზე, როგორიცაა დანაშაულის გამოძიება არის მეორე ხარისხოვანი მაშინ, როდესაც იგი წინააღმდეგობაშია ბრალდებულის საპროცესო გარანტიებთან.[124] ევროპულმა სასამართლომ არაერთხელ მიუთითა თავის გადაწყვეტილებაში, თუნდაც ისეთი სერიოზული დანაშაულები, როგორიცაა ტერორიზმთან ბრძოლა, ეკონომიკური დანაშაულები ვერ გაამართლებს სახელმწიფოს მხრიდან დუმილის უფლების უგულებელყოფით მტკიცებულების მოპოვებას[125], თუმცა სასამართლო დანაშაულის გამოვლენისა და გამოძიების ინტერესებიდან გმაომდინარე ფარული ჩაწერის საშუალების გზით, პირისგან ინფორმაციის მოპოვებას დასაშვებად მიიჩნევს, თუმცა ყურადღებას ამახვილებს გარემოებებზე, რომელშიც ის მოპოვება.[126]

ფარული საგამოძიებო მოქმედების ჩატარების საფუძველია სწორედ გამოძიების ინტერესები, რის გამოც გამართლებულია პირის ისეთი კონსტიტუციური უფლების შეზღუდვა, როგორიცაა პირადი ცხოვრება,

---

[122] სახელმძღვანელო პრინციპები ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-6 მუხლთან დაკავშირებით, 31 დეკემბერი, 2013, 39; ხელმისაწვდომია უზენაესი სასამართლოს ოფიციალურ ვებ-გვერზე: <http://www.supremecourt.ge/news/id/1538> [09.08.2020]

[123] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2007 წლის 26 დეკემბრის №1/3/407 გადაწყვეტილება საქმეზე, „საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია და საქართველოს მოქალაქე ეკატერინე ლომთათიძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-2

[124] Funke v. France, [EctHR], App. No. 10828/84, 25 February 1993, Par.43. .

[125] Heaney and Mcguinness v. Ireland, [EctHR], App. No. 34720/97, 21 December 2000, Par.56.

[126] „ ბიკოვი რუსეთის წინააღდეგ“ [ECtHR], განაცხადი, # 4378/02, 2009 წლის 10 მარტის განჩინება, პარ.100.

ამავდროულად თვითინკრიმინაციის პრივილეგიისთვის გვერდის ავლა (პასიური გაგებით), თუმცა მოცემული საგამოძიებო მოქმედებების ჩატარების მიზანი არ არის აპრიორული მნიშვნელობის და ერთ-ერთი გასათვალისწინებელი საფუძველი აღნიშნული საგამოძიებო მოქმედების ჩატარებისთვის არის „სუბსიდიარულობის პრინციპი“, კერძოდ, ფარული საგამოძიებო მოქმედება შეიძლება ჩატარდეს მხოლოდ მაშინ, როდესაც სხვა საშუალებით გამოძიებისთვის არსებითი მნიშვნელობის მქონე მტკიცებულებების მოპოვება შეუძლებელია ან გაუმართლებლად დიდ ძალისხმევას საჭიროებს[127]. გამოკითხვის შემთხვევაში, თუ პირისგან მაინკრიმინირებელ ინფორმაციას მოიპოვებენ, ან თუ პირი აღიარებს დანაშაულს და დგება გამოკითხვის ოქმი, რომელშიც მიუთითებს მნიშვნელოვან ფაქტობრივ გარემოებებზე, თავისთავად აღნიშნული წარმოადგენს მნიშვნელოვანი ფაქტობრივი/მტკიცებულებითი ინფორმაციის შეგროვების შესაძლებლობას, სხვა საგამოძიებო მოქმედებებით (ჩხრეკა, ამოღება და აშ), ამავდროულად პირის მიმართ გამოსაყენებლი ღონისძიების დაგეგმვის შესაძლებლობას (აღკვეთის ღონისძიება, საგამოძიებო ექსპერიმენტი). შესაბამისად, აღნიშნულ ინფორმაციას (გამოკითხვის წესების შესაბამისად მიღებისას) გააჩნია დამოუკიდებელი სამართლებრივი მნიშვნელობა. ხოლო „სუბსიდიარულობის პრინციპი“, რამდენად შესაძლებელია დავუკავშიროთ უშუალოდ გამოკითხვისას ინფორმაციის ფარულად მოპოვების საჭიროებას, ერთი მხრივ, საკამათოა. თავისთავად, გამოკითხვისას პირისგან მაინკრიმინებელი ინფორმაციის მოპოვების მიზანმიმართული ქმედება, აღნიშნული ინფორმაციის დეპონირებით, ეჭვქვეშ აყენებს მის გამოძიების მიზნებიდან გამომდინარე გამოყენებას და მიზანმიმართულად აღიარების მოპოვების ჰიპოთეზას უდებს საფუძველს. ასევე, ბრალდების მხარეს აქვს შესაძლებლობა სასამართლოზე გამოკითხვის ოქმის საფუძველზე დაკითხვის ინიცირება გამოხატოს ბრალდებულის და თუ დათანხმდება

[127]თუმანიშვილი გ., სისხლის სამართლის პროცესის ზოგადი ნაწილის მიმოხილვა, თბილისი, 2014, 278

სასამართლოში ჩვენების მიცემას, ბრალდების მხარეს მოცემულ შემთხვევაშიც აქვს შესაძლებლობა თავისი პოზიციის სარეალიზაციოდ. აქედან გამომდინარე, თავიდანვე ბრალდების მხარის მზადყოფნა, ბრალდებულის მიერ სასამართლოში ინფორმაციის მიუწვდომლობის თავიდან ასაცილებლად, კიდევ უფრო ამყარებს აღნიშნული ინფორმაციის ბრალდებულის ნების დათრგუნვის გზით მოპოვების ალბათობას.

საახელმწიფოს ვალდებულებაა დანაშაულის გამოძიება და აღნიშნული მიზნიდან გამომდინარე, დანაშაულის გახსნისა და დამნაშავის გამოსავლენად ფაქტებისა და ინფორმაციის შეგროვება, თუმცა ბრალდებულის ჩვენება ექცევა ბრალდებულის ნების სფეროში და მის არჩევანზეა დამოკიდებული მონაწილეობას მიიღებს, თუ არა საკუთარი თავის ინკრიმინირებაში[128]. სახელმწიფო, შესაბამისად უნდა ეცადოს ბრალდებული არ გამოიყენოს, როგორც ობიექტი მისგან აღიარების მოპოვების მიზნით და არ უგულებელყოს მოცემული პირობა.

2. აღიარებითი ინფორმაციის მოპოვების ხერხი

განაჩენის მთავარი საყრდენი არის მტკიცებულებები, რომლის მოპოვების ძირითადი წყარო არის საგამოძიებო მოქმედებები. სასამართლოს შეფასება მტკიცებულების პროცედურული გამართულობის კუთხით, რაც სამართლიანი განაჩენის საფუძველს წარმოადგენს, სწორედ საგამოძიებო ორგანოების მიერ ჩატარებული ქმედებებით განისაზღვრება. შესაბამისად, შესაძლებელია წინასწარი გამოძიების ეტაპზე პირის პროცესუალური გარანტიების უგულებელყოფით მოპოვებულმა ინფორმაციამ მნიშვნელოვნად იმოქმედოს სასამართლოს გადაწყვეტილებაზე.

[128] მსხილაძე ლ., ბრალდებულის უფლება – მისცეს ჩვენება, ჟურნ. „მართლმსაჯულება და კანონი“, #4(52), 2016, 8

2.1. გამოკითხვის საგამოძიებო მოქმედების სამართლებრივი შედეგების გაფართოვება

ძველი დაკითხვის რეგულირებიდან გამომდინარე, მოქმედებდა მოწმეთა დაკითხვის სავადებულო წესი[129], სამართალდამცავ ორგანოებთან, თუმცა ახალი საპროცესო კოდექსის შემოღებით გაუქმდა მოცემული წესი და შემოვიდა პირთა გამოკითხვის ინსტიტუტი, რომელიც დაფუძნებულია ნებაყოფლობითობის საწყისზე და უშუალოდ პირთა თანხმობაზეა დამოკიდებული მიაწოდებენ თუ არა ინფორმაციას სამართალდამცავებს გამოძიების ეტაპზე[130], დაკითხვის წესი და მისი სავალდებულოობა კი უშუალოდ მოქმედებს მაგისტრატ მოსამართლესთან და საქმის არსებითი განხილვის სხდომაზე, რითაც აღნიშნული მოდელი დაკავშირებულია სასამართლო კონტროლის გზით მოწმისგან ჩვენების მიღებაზე[131]. გამოკითხვა/დაკითხვის ახალი წესის შემოღება ემსახურებოდა ერთ-ერთ იმ ძირიდათ მიზანს, რომ უზრუნველყო დასაკითხი პირის დაცვა არამხოლოდ ისეთი იძულებითი ფორმებისგან, როგორიცაა წამება და არასათანადო მოპყრობა, არამედ ასევე პირის დაცვა თვითინკრიმინაციისგან და საგამოძიებო ორგანოების ზემოქმედებისგან. მოცემული მიზნები, კი მნიშვნელოვნად არის დაკავშირებული გამოკითხვა/დაკითხვის გამომწვევ სამართლებრივ შედეგებთან სამართალწარმოებისას.[132]

გამოძიების ეტაპზე, მოწმის მიერ მიცემული ინფორმაციისა და მისგან წარმოებული გამოკითხვის ოქმისთვის მტკიცებულებით ძალის შეძენისთვის, საჭიროა, გარკვეული წინაპირობების არსებობა. გამოკითხვის ოქმის შედგენა პირდაპირ არის დაკავშირებული მოწმის სასამართლო

---

[129] ჯორბენაძე ო., ხათაშვილი ე., რამდენიმე მოსაზრება ადამიანის უფლებათა შეზღუდვაზე სასამართლო კონტროლის, ბრალეულობის საკითხის განხილვისა და მოწმის დაკითხვის შესახებ, ჟურ. მართლმსაჯულება და კანონი, #1(53), 2017, 11

[130] სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 113-ე მუხლის 1-ლი ნაწილი

[131] სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 114- ე მუხლი და 118-ე მუხლი

[132] მოწმის დაკითხვის ახალი წესის კვლევა, თბილისი, 2017, 34

განხილვაზე გამოძახების დასაშვებობასთან, ვინაიდან ოქმის გარეშე მხარე კარგავს მოწმის დაკითხვის შესაძლებლობას,[133] ასევე უშუალოდ საქმის არსებით სხდომაზე, პირის მიერ მიწოდებული ინფორმაცია მიიჩნევა ჩვენებად, გარდა სსსკ-ით გათვალისწინებული შემთხვევებისა.[134] ზოგადად გამოკითხვისას წარმოებულ ინფორმაციას, დამოუკიდებელი ფორმით გამონაკლისის გარდა (რომელსაც აქვს ნაკლები მტკიცებულებითი მნიშვნელობა)[135], არ გააჩნია მტკიცებულებითი ღირებულება, როდესაც იგი თავისთავად არ არის დაკავშირებული საქმის არსებითი განხილვის სხდომაზე შემოწმებასთან.

ასევე გამოკითხვისას მოპოვებული ინფორმაციის (გამოკითხვის ოქმის, აუდიო ვიდეოჩანაწერის ფორმით მოპოვებულის) დანიშნულება ჩანს მოქმედი სსსკ-ის 243-ე მუხლის მე-2 ნაწილიდან, კერძოდ, თუ მოწმე გამოცხადდა სასამართლოში საქმის არსებითი განხილვის სხდომაზე ჩვენების მისაცემად. მოცემულ დროს, მხარე უფლებამოსილია მოითხოვოს მისი გამოკითხვის ოქმის ან მის მიერ ამ კოდექსის 114-ე მუხლის შესაბამისად მიცემული ჩვენების მთლიანად ან ნაწილობრივ საჯაროდ წაკითხვა, აგრეთვე ამ ჩვენების აუდიო- ან ვიდეოჩანაწერის მოსმენა (დემონსტრირება). სასამართლო ვალდებულია დააკმაყოფილოს ეს მოთხოვნა. მოწმის გამოცხადების შემთხვევაში, ოქმის პარარელურად წასკითხვა, ვიდეოჩანაწერის დემონსტირება არ წარმოშობს გამოკითხვის ოქმის ცალკე მტკიცებულებად შეფასების გარემოებას, ვინაიდან აღნიშნული წარმოადგენს მოწმის მიერ მიწოდებული ინფორმაციის შემოწმების საშუალებას, კერძოდ თუ მოწმე იგივეს ამბობს, რაც მან მიაწოდა გამოძიებისას მხარეს, ზრდის ჩვენების სანდოობას და არ იწვევს გამოკითხვის ოქმის/აუდიო-ვიდეოჩანაწერის, ცალკე მტკიცებულებად

---

[133] შენ. გამონაკლისი შემთხვევებია სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 239-ე მუხლის მე-2 და მე-5 ნაწილი

[134] ლალიაშვილი თ., გამოძიების პროცესში პირის მოწმის სახით დაკითხვის პრობლემატური მხარეები და მისი სამართლებრივი შედეგები, „სამართალი და მსოფლიო“, N4, თბილისი, 2016, 177

[135] სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 243-ე მუხლი

შეფასებას, ვინაიდან რეალურად ინფორმაციის წყარო არის ერთი და იგივე პირი, ხოლო თუ პირი მიუთითებს სხვა გარემოებებზე მოცემული გარემოება, შეიძლება მოწმის იმპიჩმენტის დაყენების საფუძველი იყოს[136]. რაც შეეხება ბრალდებულის შემთხვევაში, სასამართლოში საქმის არსებით განხილვამდე მის მიერ გამოკითხვის დროს მიწოდებული ინფორმაციის სასამართლო სხდომაზე საჯაროდ წაკითხვა, აგრეთვე ამ ინფორმაციის აუდიო ან ვიდეოჩანაწერის მოსმენა (დემონსტრირება) და ზემოაღნიშნული ინფორმაციის მტკიცებულებად გამოყენება დაკავშირებულია უშუალოდ ბრალდებულის სურვილთან, ვინაიდან ბრალდებულის ჩვენების სანდოობის დადასტურება/უარყოფა გამოკითხვის ოქმით ებმის მის უშუალო მონაწილეობას, რომელიც ბრალდებულის სურვილზეა დამოკიდებული- მისცემს თუ არა ჩვენებას სასამართლოს და ასევე ბრალდებულის მიერ მიწოდებული ინფორმაციის მიმართაც მოქმედებს სასამართლო გზით გამოკვლევის წესი.

ბრალდებულისგან ფარულად ინფორმაციის მოპოვების გამოკითხვის შემთხვევებზე გავრცელებით ერთი მხრივ, ბრალდებულის გამოკითხვისას მის მიერ მიწოდებული ინფორმაციის ჩაწერის გამოყენების მიზანი ფართოვდება და მეორე მხრივ, ცდება გამოკითხვის სამართლებრივი შედეგების მიზანს- დაადასტუროს ბრალდებულის სანდოობა სასამართლოსთვის მიწოდებული ინფორმაციისას.

2.2. მოტყუება, როგორც კანონმდებლობის დარღვევის ხერხი

თვითინკრიმინაციის პრივილეგია უზრუნველყოფს ბრალდებულის ნებაზე ზემოქმედების საშუალებების თავიდან არიდებას, როგორც ზეწოლის, ისე იძულების საშუალებების გამოყენებით, თუმცა აღნიშნული არ შემოიფარგლება მოცემული შემთხვევებით და ვრცელდება

[136] მეიშვილი ზ., მოწმეთა დაკითხვა გამოძიების ეტაპზე, ჟურნ. „მართლმსაჯულება და კანონი“, #2(50), 2016, 21

ეჭვმიტანილის არჩევანის თავისუფლებაზე ზემოქმედების ისეთ საშუალებაზეც, როგორიცაა მოტყუება[137]. დიფერინცირებულად ფასდება მოტყუების ფორმების გამოყენების დასაშვებობა სახელმწიფოთა სამართლებრივი სისტემებიდან გამომდინარე.[138] კანადის სამართლის სისტემა უშვებს მსუბუქი მოტყუების საშუალებების გამოყენებას ბრალდებულის მიმართ, თუ ბრალდებულმა გაიარა კონსულტაცია ადვოკატთან და დაკითხვა გაგრძელდა.[139] ასევე სამართალდამცავებს შეუძლიათ გამოიყენონ წამქეზებელი საშუალებები, თუ აღნიშნული არ განაპირობებს ეჭვის შეტანას ბრალდებულის მიერ გაკეთებული განცხადებების ნებაყოფლობითობაში.[140] თეორიაშიც გამოთქმულია მოსაზრება, რომ დაკითხვის დროს, პოლიციის მიერ პირის მოტყუება შესაძლოა დასაშვებად იქნეს მიჩნეული, როდესაც: (1) იგი ხდება დაპატიმრებასა და ოფიციალურ ბრალდებას შორის; (2) აუცილებელია (ე.ი. არა-მოტყუების ტექნიკა არ ამართლებს); (3) ეს არ არის იძულებითი და (4) იგი არ სარგებლობს პირების მოწყვლადობით (მაგ., ეჭვმიტანილი, რომელიც ახალგაზრდაა, პირები, რომლებიც დაექვემდებარნენ ხანგრძლივ დაკითხვას), ვინაიდან მოცემული პირობების დაცვა წარმოადგენს ჭეშმარიტი აღიარების მოპოვების შესაძლებლობას.[141] სახელმწიფოთა უმრავლესობა აღნიშნული საგამონაკლისო დასაშვებობით, თვლიან რომ დადებითი მხარე მოტყუების შედეგად მიღებული სარგებლის, უტყუარი აღიარების, წონის პირის ნებაზე გარკვეულწილად ზემოქმედების უარყოფით მხარეს.[142] ამავდროულად არსებობს პოზიაცია, რომ დაკითხვისას

---

[137]Vitkauskas D., Dikov G., Protecting the Right to a Fair Trial under the European Convention of Human Rights, Council of Europe human rights handbooks, 2012. 62

[138] დეკანოზიშვილი გ., სადისერტაციო თემა: დაკითხვის თანამედროვე პრობლემები სისხლისსამართალწარმოებაში და კრიმინალისტიკაში, თბილისი, 2009, 167

[139] ტრექსელი შ., ადამიანის უფლებები სისხლის სამართლის პროცესში, ვ. გოგელიას, ე. ლომთათიძეს, ე. ქარცივაძეს, თ. ივანიშვილის, მ. ნარინდოშვილის თარგმანი, კ. ვარძელაშვილის, ლ. ფაფიაშვილის, მ. ნარინდოშვილის ნ. მჭედლიძეს, რედაქტორობით, თბილისი, 2009, 69

[140] Bradley M. G., Interrogation and silence: A comparative study, Wisconsin International Law Journal, Vol. 27, 2009, 279

[141] Slobogin Ch., Lying and Confessing, Tech L. Rev , 2006-2007, 1291

[142] იქვე., 1290

მოტყუების ხერხები დაუშვებელია, გარდა მოსალოდნელი ზიანის თავიდან ასაცილებლად(მაგ. მძევლის არსებობისას).[143] შესაბამისად, სახელმწიფოთა მიერ მოტყუების ტექნიკის დაშვებით უპირატესობა ენიჭება ბრალდებულისგან აღიარების მოპოვებას, ვიდრე ბრალდებულის ნების პატივისცემას. პირის მირანდას წესების შესაბამისად გაფრთხილებისას, როდესაც პოლიცია თუნდაც დახვეწილი ხერხის გამოყენებისა და საიდუმლო გარემოებების კომბინაციაში ცდილობს ბრალდებულს ჭკუაში აჯობოს, მოცემული წესების მიზანი კარგავს თავის უნარს, ბრალდებულის დაცვის[144]. თვითინკრიმინაციისგან დაცვის პრივილეგიის მიზანია, ბრალდებულის სტატუსით მოსარგებლე პირის ინტერესების დაცვაა, მისი ნების საწინააღდეგოდ და მისთვის საზიანო შედეგებიდან გამომდინარე არ ითანამშრომლოს საგამოძიებო უწყებებთან, საკუთარი თავის წინააღმდეგ.[145] მოცემული გარანტია არ გულისხმობს მხოლოდ უდანაშაულო პირის ინტერესების დაცვას, არამედ იგი ვრცელდება ნებისმიერ ბრალდებულზე, როგორც სისხლის სამართლის პროცესის სუბიექტზე, რათა მას ჰქონდეს ფართო შესაძლებლობა თავის დაცვის, მინიჭებული პრეცესუალური გარანტიებიდან გამომდინარე.[146] ევროპული სასამართლო ცალკეული მოტყუების ფორმის გამოყენების დასაშვებობისას ფარული ფორმით ჩატარებულ ღონისძიებებზე მიუთითებს, თუმცა მოცემულ შემთხვევაშიც აპირიორი არ თვლის გამოყენებულ ფარულ საშუალებას დასაშვებად, თუ გარემოებებში იკვეთება ბრალდებულის ნებაზე მნიშვნელოვანი ზემოქმედების ნიშნები.[147]

საქართველოს კანონმდებლობიდან გამომდინარე, მოტყუება სსსკ-ის მე-4 მუხლის თანახმად, წარმოადგენს ბრალდებულის ნების

---

[143] იქვე., 1276

[144] Lewis L., Rethinking Miranda: Truth, Lies, and Videotape, Gonzaga Law Review, vol. 43, 2007, 216

[145] თუმანიშვილი გ.,. სისხლის სამართლის პროცესი: ზოგადი ნაწილის მიმოხილვა, თბილისი, 2014, 38

[146] იქვე.,

[147] Allan v. The United Kingdom, [EctHR], App. No. 48539/99, 05 November 2002, Par.52.

თავისუფლებაზე ზემოქმედების მეთოდს და მის საფუძველზე ბრალდებულისგან მოპოვებული მაინკრიმინირებელი ინფორმაცია. აღნიშნული ნორმის მიზანია, პროცესის სუბიექტების ღირსების დაცვა, რომლებიც უნდა იყვნენ აღქმულნი, როგორც თანასწორნი და არ უნდა მიენიჭოს რომელიმე მათგანს ობიექტის სტატუსი, მის მიმართ წარმოებული მიდგომებიდან გამომდინარე.[148] თუმცა მეორე საკითხია, შესაძლებელია თუ არა ბრალდებულის გამოკითხვისას მისი ფარულად ჩაწერა მოვიაზროთ მოტყუების იმ ხარისხის შემთხვევად, რომელიც ბრალდებულისგან ინფორმაციის მოსაპოვებლად სსსკ-ით განსაზღვრული მეთოდის ხასიათს არღვევს.

ფარული ჩაწერის შემთხვევა არ წარმოადგენს ბრალდებულის მოტივირების საფუძველს, არამედ იგი წარმოადგენს ინფორმაციის დამალვის ფორმას, იმ გარემოებების შესახებ, რომელშიც ბრალდებული აწვდის მაინკრიმინირებელ ინფორმაციას. მოცემული კი უშუალოდ გამოკითხვის ზოგადი წესიდან გამომდინარე მიემართება ბრალდებულის ინფორმირების უფლებას, აუდი-ვიდეო თუ ჩაწერის სხვა საშუალებების გამოყენების შესახებ ნორმის. გამოსაკითხი პირის გაფრთხილება, განსახორციელებელი ჩაწერის შესახებ (აუდიო, ვიდეო საშუალებით), წარმოადგენს გამოკითხვის საგამოძიებო მოქმედებაში ნებაყოფლობით მონაწილეობის კრიტერიუმს, ასევე განსაზღვრავს ბრალდებულისგან აღნიშნული წესით მოპოვებული ინფორმაციის ბედს, რომელიც არ ექვედმებარება საქმის არსებითი განხილვის სხდომაზე გამოკვლევას, თუ პირი უარს იტყვის აღნიშნულზე. შესაბამისად, მოცემული მოტყუების ფორმა მიმართულია პირისგან მაინკრიმინირებელი ინფორმაციის მოპოვებისა და შემდგომში მოცემული ინფორმაციის ბრალდებულის ნების უგულებელყოფით გამოკვლევისკენ.

---

[148] ფაფიაშვილი ლ., თუმანიშვილი გ., კვაჭანტრაძე დ., ლიპარტელიანი ლ., დადეშქელიანი გ., გუნცაძე შ., მეზვრიშვილი ნ., თოლორაია ლ., სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის კომენტარები, თბილისი, 2015,42

ლიტერატურაში გამოთქმულია მოსაზრება, რომ დაკითხვისას სამართალდამცავი ორგანოების მიერ გამოყენებული ტყუილი ატარებს იძულების ნიშნებს და არ უნდა იყოს გამოყენებული. აღნიშნული დასკვნა კი გამყარებულია იმ არგუმენტით, რომ დაკითხვისას პოლიცია იმყოფება გარიგების დადების უპირატეს პირობებში, ვინაიდან პოლიცია აკონტროლებს გარემოს, რომელშიც დაკავებული ეჭვმიტანილები იმყოფებიან, გათვალისწინებით, რომ პირს შეზღუდული აქვთ ადგილის დატოვება და ამასთანავე ეჭვმიტანილები დიდი ხანი იმყოფებიან უცხო და უსიამოვნო გარემოში. ხოლო სახელმწიფო იძულება არასწორია, როდესაც იგი მისთვის მომგებიან პირობებში გარიგების დადების უპირატეს უფლებას იუმჯობესებს, ბრალდებულის ინტერესების საზიანოდ.[149] ამავდროულად გასათვალისწინებელია, რომ იძულებაში იგულისხმება, არამხოლოდ ბრალდებულის ნებაზე ზეწოლის, ამავდროულად ბრალდებულის ნების იგნორირების გზით ინფორმაციის მოპოვება.[150] თავისთავად ბრალდებულისგან მალულად მაინკრიმინირებელი ინფორმაციის გამოკითხვისას მოპოვებით, სახელმწიფო თავის მომგებიან პოზიციას იყენებს ბრალდებულისგან მაინკრიმინირებელი ინფორმაციის მოსაპოვებლად, ვინაიდან ერთი მხრივ, ქმნის ბრალდებულის მიმართ თავისი უპირატესი პოზიციის აღქმადობის საფუძვლებს და მეორე მხრივ, კი მის დაუცველ მდგომარეობას იყენებს, მოცემულს კი ადასტურებს ბრალდებული პირისგან მაინკრიმინირებელი ინფორმაციის ადვოკატის კონსულტაციამდე მიღება.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ბრალდებულს ატყუებენ გარემოებების შესახებ, რომელშიც ის აწვდის ინფორმაციას, კერძოდ, რომ მის მიერ მიწოდებული ინფორმაციის პარერულად მიმდინარეობს ჩაწერა. მართალია მოცემული დაშვება ბრალდებულზე ზემოქმედების პირდაპირ

---

[149] Hritz C. A., Voluntariness with a Vengeance: The Coerciveness of Police Lies in Interrogations, Cornell Law Review, vol. 102, 496

[150] ლალიაშვილი თ., კონფლიქტი ფარულ საგამოძიებო მოქმედებებსა საგამოძიებო მოქმედებებსა და ადამიანის ძირითად უფლებებს შორის, ჟურნ. „სამართალი და მსოფლიო“, N6, თბილისი, 2017, 35

საშუალებას არ წარმოადგენდეს, ვინაიდან ფარული ჩაწერა არ ზემოქმედებს ბრალდებულის ნების ფორმირებაზე, მიაწოდოს თუ არა ინფორმაცია საგამოძიებო ორგანოს წარმომადგენელს, მაგრამ აღნიშნული მეთოდის გამოყენება შედეგობრივად დაკავშირებულია გამოკითხვის წესების დარღვევასა და ბრალდებულის წინააღმდეგ და შემდგომში მისი ნების გაუთვალისწინებლად, მის მიერ მიწოდებული ინფორმაციის, როგორც მტკიცებულების გამოყენებისკენ, რითაც სამართალდამცავი ორგანოები დაკავებულს აღიქვამენ, როგორც ობიექტს მისგან მაინკრიმინებელი ინფორმაციის მიღების მიზნიდან გამომდინარე. მოცემულს კი სამართალდამცავი ორგანოები აღასრულებენ, მათი მომგებიანი პოზიციიდან და ინფორმაციის ფარულად მოპოვებისთვის საჭირო გარემოებების უგულებელყოფით.

2.3. 247-ე მუხლის 1-ლი ნაწილის საპროცესო გარანტიის და მე-2 ნაწილის საგამონაკლისო წესის ურთიერთმიმართება

ბრალდებულის ინფორმირების უფლება ჩაწერაზე და მისი შესაძლებლობა უარი თქვას გამოძიების ეტაპზე მის მიერ მიცემული ჩვენების არსებით სხდომაზე გამოკვლევაზე, მნიშვნელოვან პროცესუალურ გარანტიას წარმოადგენს. მოცემულ საფუძველზე ბრალდებულის ნების უპირატესობის და ინფორმირების პრიორიტეტულობა ენაცლება მის მიერ აღიარებით ჩვენების მტკიცებულების ფორმით მოპოვებას, თუმცა ფარული და ოპერატიული სამძებრო ღონისძიებების აღნიშნულ შემთხვევებზე გავრცელება მნიშვნელოვან პროცესუალურ გადახვევას იწვევს ბრალდებულის პროცესუალური პრივილეგიისგან და შესაძლოა აღნიშნული ნორმის განსაზღვრულობის საკითხზე იმოქმედოს, ვინადან საგამოძიებო უწყებების მხრიდან ფარული ჩაწერის საგამონაკლისო წესის ბრალდებულის გამოკითხვის პროცესზე გავრცელება, შესაძლებლობას

წარმოადგენს არსებით სხდომაზე ბრალდებულის უარის შემთხვევაში, მის მიერ მიწოდებული მაინკრიმინირებელი ინფორმაციის მტკიცებულებად გამოყენების. აღნიშნული ინტერპრეტაცია, კი წარმოადგენს შესაძლებლობას ბრალდებულის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით გათვალისწინებული გარანტიისთვის გვერდის ავლის.

R v Bryce საქმეში პოლიციამ მოპარული მანქანის მყიდველად წარმოადგინა თავი. სატელეფონო საუბრისას პირს დაუსვა შეკითხვები, რომელიც შეეხებოდა მის ცოდნას პირდაპირ დანაშაულებრივ ქმედებასთან დაკავშირებით, კერძოდ „რამდენი ხნის იყო მოპარული მანქანა". მოცემული შეკითხვის ფორმა სასამართლოს მიერ შეფასდა, როგორც დაკითხვა და ასევე სასამართლომ აღნიშნა, რომ ინფორმაციის ფარულად მოპოვების გარემოებების გამოყენებით, პოლიციამ მოიპოვა მაინკრიმინირებელი ინფორმაცია, კოდექსით გათვალისწინებული საპროცესო გარანტიების გვერდის ავლით.[151] შესაბამისად, ფარულად ინფორმაციის მოპოვება მნიშვნელოვანია ამავდროულად შეფასდეს ბრალდებულის საპროცესო გარანტიების ჭრილში, რათა მისი მოქმედება არ წარმოადგენდეს აღნიშნული გარანტიებისთვის გვერდის ავლის საშუალებას.

მტკიცებულება მიღებული უნდა იყოს მხოლოდ საპროცესო კანონმდებლობით დადგენილი წესიდან გამომდინარე, რომელიც მტკიცებულების დასაშვებობის განმსაზღველ გარემოებას წარმოადგენს. ხოლო საპროცესო კანონმდებლობისთვის გვერდის ავლით მოპოვებული ინფორმაცია თავისთავად წარმოადგენს კანონის დარღვევით მოპოვებულ მტკიცებულებას და კონსტიტუციისა და საპროცესო კანონმდებლობის თანახმად დაუშვებელია.[152] ბრალდებულისგან ფარულად ინფორმაციის მოპოვების ფარგლების განსაზღვრისთვის საჭიროა გაანალიზდეს ბრალდებულის პროცესუალური გარანტიასა და საგამონაკლისო

[151] Deniss I., Instrumental Protection, Human Right or Functional Necessity ? Reassessing the Privilege Against Self-Incrimination, Cambridge Law Journal, vol.54, 1995, 362

[152] გერმანოზაშვილი ე., მტკიცებულების ცნება და ადგილი სისხლის სამართლის პროცესის სისტემაში და მათი შეფასება, ჟურნ. „მართლმსაჯულება და კანონი", #3(55), 2017, 118

შემთხვევას შორის მიმართება. მოცემულ შემთხვევაში მნიშვნელოვანია, ნორმის წაკითხვისას, დადგინდეს კანონმდებლის ნება, ისე თავად კანონის ნება, რათა სამართალშემფარდებელი გაერკვეს ნორმის ნამდვილ არსში და თავიდან აიცილოს ნორმის თვითნებური განმარტების შესაძლებლობა.[153]

ზოგადად ჩვენების ხასიათიდან გამომდინარე აუცილებელია მისი საქმის არსებით სხდომაზე გამოკვლევა, რათა მან მტკიცებულებითი მნიშვნელობა შეიძინოს. მოცემულის საპროცესო გარანტიას წარმოადგენს მხარეებისთვის ჯვარედინი და პირდაპირი დაკითხვის უფლებამოსილების მინიჭება, რაც მოწმის მიერ მიცემული ინფორმაციის გამოკვლევისა და მხარეების მიერ თავიანთი საპროცესო უფლებამოსილების სათანადოდ შესრულების შესაძლებლობას უზრუნველყოფს.[154] ბრალდებულის ჩვენებას მტკიცებულებით მნიშვნელობა სწორედ სასამართლო სხდომაზე გამოკვლევით ენიჭება, ვინაიდან ბრალდებულის ჩვენება, ეს არის სასამართლოსთვის მიწოდებული ინფორმაცია საქმის გარემოებათა შესახებ და არა საგამოძიებო ეტაპზე, გამოკითხვისას. მოცემულ შემთხვევაში, სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი ბრალდებულის მიერ გამოკითხვისას დანაშაულის აღიარების მტკიცებულებით მნიშვნელობას უკავშირებს ბრალდებულის ნებას, რომ იგი თანახმაა მის მიერ საგამოძიებო უწყებებისთვის მიწოდებული ინფორმაციის გამოკვლევასა და დემონსტრირებაზე და ამასთანავე მის მიერ მიწოდებული ინფორმაციის გამოკვლევაში მონაწილეობაზე. აღნიშნული განაპირობებს ბრალდებულის უზრუნველყოფას საპროცესო გარანტიით, რათა საქმის არსებით სხდომაზეც ისარგებლოს დუმილის უფლების შესაძლებლობით და მისი ნების საწინააღმდეგოდ არ გამოიყენონ საქმის არსებით განხილვამდე მის

---

[153] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2007 წლის 26 დეკემბრის №1/3/407 გადაწყვეტილება საქმეზე, „ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია და საქართველოს მოქალაქე ეკატერინე ლომთათიძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-17

[154] გროეტადი ა., პეტერ რუი ი., ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-5 და მე-6 მუხლების გამოყენება სისხლის სამართლის საქმეებზე, თბილისი, 2012, 34

მიერ მიწოდებული ინფორმაცია,[155] ვინაიდან ჩვენების მიცემა ბრალდებულის უფლებაა[156]. თუმცა სსსკ-ის 247-ე მუხლის მე-2 ნაწილი, ბრალდებულის წინააღმდეგობის მიუხედავად სასამართლოში საქმის არსებით განხილვამდე, მისგან ფარული და ოპერატიული-სამძებრო ღონისძიების შედეგად მოპოვებული ინფორმაციის გამოკვლევის შესაძლებლობას უშვებს. ინფორმაციის ფარულად მოპოვება დაკავშირებულია უფლებამოსილი ორგანოს გადაწყვეტილებასთან, კერძოდ მოსამართლის განჩინებასთან, ხოლო გადაუდებელი აუცილებლობისას პროკურორის ან გამომძიებლის დადგენილებასთან. აღნიშნული წესით მოპოვებული განჩინება/დადგენილება საფუძველია იძულებითი (ინფორმაციის ფარულად მოპოვების) ღონისძიების გამოყენების. მოცემული მიზნით, იძულებაში იგულისხმება პირის ნების არარსებობა, ვინაიდან მან არ იცის, გამოიყენება თუ არა მის მიმართ ფარული გზით ინფორმაციის მოსაპოვებელი ღონისძიებები, რაც ამავდროულად აღნიშნული ღონისძიების იძულებით ბუნებას ნაწილობრივ ანეიტრალებს (პირის აღქმის არარსებობიდან გამომდინარე).[157] შესაბამისად, მისი მოქმედების ფარგლები განპირობებულია იმ გარემოებით, რომ თავიდანვე ბრალებულისგან მალულად მოიპოვებენ აღნიშნული საგამოძიებო მოქმედების შედეგად მის მაინკრიმინირებელ ინფორმაციას.[158] კერძოდ, აღნიშნული ღონისძიებები გამოიყენება იმ შემთხვევაში, როდესაც არ არსებობს პირის ნება. მოცემული გზით მოპოვებული ინფორმაცია კი არც ბრალდებულის თანხმობას არ საჭიროებს შემდეგში, განსხვავებით ინფორმაციისგან, რომელიც ბრალდებულისგან მოპოვებულია მისივე

---

[155] ფაფიაშვილი ლ., თუმანიშვილი გ., კვაჭანტრაძე დ., ლიპარტელიანი ლ., დადეშქელიანი გ., გუნცაძე შ., მეზვრიშვილი ნ., თოლორაია ლ., სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის კომენტარები, თბილისი, 2015, 712

[156] სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 74-ე მუხლი

[157] ლალიაშვილი თ., კონფლიქტი ფარულ საგამოძიებო მოქმედებებსა საგამოძიებო მოქმედებებსა და ადამიანის ძირითად უფლებებს შორის, ჟურნ. „სამართალი და მსოფლიო“, N6, თბილისი, 2017, 35

[158] ფაფიაშვილი ლ., თუმანიშვილი გ., კვაჭანტრაძე დ., ლიპარტელიანი ლ., დადეშქელიანი გ., გუნცაძე შ., მეზვრიშვილი ნ., თოლორაია ლ., სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის კომენტარები, თბილისი, 2015, 712

თანხმობით სასამართლომდე.[159] შესაბამისად, მნიშვნელოვანია განისაზღვროს, გამოკითხვისას ბრალდებულის მიერ ნებაყოფლობით აღიარებაზე აღნიშნული საგამოძიებო მოქმედების გავრცელება, რამდენად შეიძლება ჩაითვალოს, თავიდანვე ბრალდებულის ნების გაუთვალისწინებელ საგამოძიებო მოქმედების ჩატარების შემთხვევად და მოცემულ შემთხვევების ანალოგად უნდა ითვლებოდეს თუ არა, უშუალოდ გამოკითხვის/დაკითხვის საგამოძიებო მოქმედებისას მიწოდებული ინფორმაცია, თუ ბრალდებულის გამოკითხვისგან დამოუკიდებელი გარემოებებიდან ინფორმაციის მოპოვება.

ინფორმაციის ფარულად მოპოვების ზემოაღნიშნული პრინციპი, თავიდანვე ბრალდებულის ნების გაუთვალისიწინებლობის, ემსახურება იმ მიზანს, რომ მისგან დამალულად იქნეს მოპოვებული ინფორმაცია, რაც მას ამხელს დანაშაულის ჩადენაში. იმ შემთხვევაში, როდესაც ბრალდებული დანაშაულს აღიარებს დაკითხვის/გამოკითხვისას, მისი ნების არ არსებობის საკითხი შეიძლება საკამათო იყოს, ვინაიდან ინფორმაციის ფარულად ჩაწერა გამოკითხვის პარალელურად მიმდინარეობს, რომლის დროსაც ბრალდებულმა იცის, რომ აღიარებს დანაშაულებრივ ქმედებას, იმის გაცნობიერებით, რომ მისი მონაწილეობით ტარდება გამოკითხვის საგამოძიებო მოქმედება და ასევე გაცნობიერებით, რომ აღნიშნულ ინფორმაციას აწვდის სამართალდამცავ ორგანოებს. შესაბამისად, ბრალდებულისგან მალულად არ მოიპოვებენ მაინკრიმინირებელ ინფორმაციას, არამედ იგი ჩართულია გამოკითხვის საგამოძიებო მოქმედებაში აღნიშნული ინფორმაციის მიწოდების კუთხით.

ინგლისში მაინკრიმინებელი ინფორმაციის მოსაპოვებლად ფარული საგამოძიებო მოქმედებები გამოიყენება იმ შემთხვევაში, როდესაც

[159] ლალიაშვილი, 2017, 35

აღნიშნული ინფორმაციის მოპოვება ფორმალური დაკითხვის გზით და სხვა საგამოძიებო მოქმედებების შედეგად ვერ სრულდება.[160]

მოცემულ გამონაკლისში კი შეიძლება უშუალოდ მოვიაზროთ შემთხვევა, როდესაც ბრალდებულის გამოკითხვისას მოიპოვებენ მისი ნებისგან დამოუკიდებელ მტკიცებულებებს- მაგ. ხმის ნიმუში. მოცემული ინფორმაცია, არსებობს ბრალდებულის ნებისგან დამოუკიდებლად (როგორც სისხლის, სუნთქვის ნიმუში) და ასევე აღნიშნული არ შეიცავს ბრალდებულის მიერ საკუთარი თავის მხილების რაიმე განცხადებას, ხოლო მისი მოპოვების წინააღმდეგობის თავიდან ასაცილებლად შესაძლებელია მისი ფარული ჩაწერა გამართლებულ გარემოებად მიიჩნეოდეს[161]. ასევე გასათვალისწინებით, რომ აღნიშნულ შემთხვევაში დაკმაყოფილებულია შემდეგი სტანდარტები. 1) ბრალდებულის ნების გაუთვალისწინებლად ინფორმაციის მოპოვება (იმის გათვალისწინებით, რომ მისთვის არ არის ცნობილი, რომ მის ხმის ნიმუშს მოიპოვებენ სამართალდამცველები და რომ მისი ქმედება დაკავშირებულია ხმის ნიმუშის მიწოდებასთან) 2) აღნიშნული ინფორმაცია, არსებობს ბრალდებულის ნებისგან დამოუკიდებლად.

შესაბამისად, ბრალდებულის ნებელობის საკითხი წყვეტს მის მიერ საგამოძიებო უწყებებისთვის, გამოკითხვის დროს მიწოდებული ინფორმაციის ბედს, როდესაც აღნიშნული მტკიცებულება მოპოვებულია საქმის არსებით განხილვამდე მისი თანხმობით. ხოლო ფარულად ინფორმაციის მოპოვება მიზანშეწონილია, როდესაც ის დაკავშირებული არ არის ბრალდებულის ნების გათვალისწინებით მოპოვებულ ინფორმაციასთან, აქედან გამომდინარე, არც ბრალდებულის მიერ გამოკითხვისას მიწოდებულ აღიარებითი ინფორმაციის მოპოვებასთან.

---

[160]Brooke A. D., Confessions, Illegally/Improperly Obtained Evidence and Entrapment the Police and Criminal Evidence Act 1984: Changing Judical and Public Attitudes to the Police and Criminal Investigations, London, 1999, 262

[161] P.G. and J.H. v. The United Kingdom [ECtHR], App. No. 44787/98, 25 September 2001, par.80.

3. გარემო, რომელშიც ინფორმაცია მოიპოვება

ბრალდებულისგან ინფორმაციის ფარულად მოპოვებისას მნიშვნელოვანია ყურადღება გამახვილდეს იმ პირობებზე, რომელშიც ის აკეთებს განცხადებებს, ვინაიდან პირის მიერ გაკეთებული განცხადებების პროვოცირება ასევე თავისთავად დაკავშირებულია კონკრეტულ გარემოებებზე, რომელშიც იგი კეთდება. თუ მოცემულ გარემოებებში ცხადია ბრალდების მხარის დომინანტური ძალაუფლება, რა თქმა უნდა, ინფორმაციის ფარულად მოპოვების მნიშვნელობიდან გამომდინარე, მაღალი ალბათობაა ბრალდებულის მიერ მაინკრიმინირებელი განცხადებების გაკეთების, ვინაიდან განცხადებების ფორმირება მნიშვნელოვნად დამოკიდებულია თავისთავად გარეშე პირობებზე. ფარულად ინფორმაციის მოპოვებისას კი მნიშვნელოვანია პირის მიერ მიწოდებული მაიკრიმინირებელი განცხადებების მიწოდება არ იყოს დაკავშირებული ზემოქმედებით გარემოებებთან.

3.1. ზეწოლის პრეზუმფცია

პირი, რომელსაც ბრალად ედებათ დანაშაულის ჩადენა მათი არჩევანის თავისუფლება ილაპარაკონ თუ არა, უკიდურესად შეზღუდულია, მით უმეტეს, როდესაც პატიმრობაში მყოფ პირებს პოლიცია კითხავს.[162] ბრალდებული დაკითხვისას მიზანმიმართული ობიექტია ბრალდების მხარისთვის და ბრალდებულის დაკითხვა თავისთავად დაკავშირეულია თანდაყოლილ სტრესულ სიტუაციასთან, მიუხედავად იმისა ბრალდებულის მიმართ გამოიყენება თუ არა ზეწოლისა თუ ზემოქმედების სხვა პირდაპირი საშუალებები.[163] ბრალდებულისთვის

[162] Jackson J., Re-Conceptualizing the Right of Silence as an Effective Fair Trial Standard, The International and Comparative Law Quarterly, Vol. 58, 2009, 842

[163] ტრექსელი შ., ადამიანის უფლებები სისხლის სამართლის პროცესში, ვ. გოგელიას, ე. ლომთათიძეს, ე. ქარცივაძეს, თ. ივანიშვილის, მ. ნარინდოშვილის თარგმანი, კ.

დასმული კითხვები, რომლებიც მიმართულია მისგან მაინკრიმინირებელი განცხადებების გამოვლენისკენ და ამავდროუალად დაკითხვის ოთახის ადგილიდან გამომდინარე, სადაც სიტუაციური კონტროლი პოლიციის ხელშია[164], ბრალდებულები ნაკლებად გრძნობენ თავს დაცულად[165]. Mirranda-ს წესების დანერგვა ემსახურებოდა უპირველესად, სწორედ დაკითხვისას, პოლიციის დომინანტური ძალაუფლებისა და პოლიციის დაკითხვის დროს არსებული ფსიქოლოგიური იძულებითი ატმოსფეროს განეიტრალებას, რათა შეემცირებინა დაპატიმრებულთა მიერ დაკითხვისას კითხვებზე პასუხის გაცემის ვალდებულების ხარისხი,[166] თუმცა ამვდროულად „საეჭვოა, რომ გაფრთხილება ხსნიდეს დაკითხვისას დროს არსებულ ზეწოლას"[167]. გათვალისწინებით, რომ ერთი მხრივ, პირების მიერ მირანდას წესები შეიძლება ნაკლებად აღქმადი იყოს პოლიციის მიერ, ბრალდების წარდგენის სტრესიდან გამომდინარე, რომელიც მოქმედებს ბრალდებულის კოგნიტიურ შემეცნებით უნარებზე.[168] ხოლო მეორე მხრივ, თავისთავად, რომ ბრალდებულს აქვს დუმილის უფლება და შესაბამისად, მისი პასუხისმგებლობაა მის მიერ გაფრთხილების შემდგომ ნათქვამი, არ წარმოადგენს საფუძვლიან არგუმენტს, ვინაიდან თავისთავად შეკითხვების დასმის პროცესი არ არის დაკავშირებული ფორმალურობასთან, მას გააჩნია ემოციური დატვირთვა, ვინაიდან კითხვები პირისგან პასუხებს მოითხოვს. დუმილის უფლების პრაქტიკული მნიშვნელობიდან გამომდინარე კი, იგი შეუფერებელი, შეურაცხმყოფელი საქციელია, რის გამოც სამართალდამცავი

ვარძელაშვილის, ლ. ფაფიაშვილის, მ. ნარინდოშვილის ნ. მჭედლიძეს, რედაქტორობით, თბილისი, 2009,365

[164] Hritz C. A., Voluntariness with a Vengeance: The Coerciveness of Police Lies in Interrogations, Cornell Law Review, vol. 102, 488

[165] მაკბრაიდი ჯ, ადამიანის უფლებები და სისხლის სამართლის პროცეს., 2011, 139

[166] Lewis L, Rethinking Miranda: Truth, Lies, and Videotape, Gonzaga Law Review, vol. 43, 2007,199

[167] შლაური რ., Das Verbot des Selbstbelastungszwangs im Strafverfahren: Konkretisierung eines Grundrechts durch Rechtsvergleichung (2003), 264; იხ. ციტირება: ტრექსელი შ., ადამიანის უფლებები სისხლის სამართლის პროცესში, ვ. გოგელიას, ე. ლომთათიძეს, ე. ქარცივაძეს, თ. ივანიშვილის, მ. ნარინდოშვილის თარგმანი, კ. ვარძელაშვილის, ლ. ფაფიაშვილის, მ. ნარინდოშვილის ნ. მჭედლიძეს, რედაქტორობით, თბილისი, 2009, 371

[168] Scherr C. K., Madon S., You Have the Right to Understand: The Deleterious Effect of Stress on Suspects' Ability to Comprehend Miranda, Law and Human Behavior, Vol. 36, 2012, 279

წარმომადგენელთა მიერ კითხვების დასმისას ბრალდებული მუდმივ ზეწოლას განიცდის.[169]

კანადის აღიარების წესი და არც ქარტიის მოქმედება არ ვრცელდება იმ პირებზე, რომლებიც არ იმყოფებიან პატიმრობაში და არ იციან, რომ განცხადებებს აკეთებენ სახელმწიფო აგენტთან, ვინაიდან მოცემულ შემთხვევაში სახელმწიფოს მიერ არ ხდება ბრალდებულის პროვოცირება.[170] ასევე მოცემულ შემთხვევაში, სასამართლო ხელმძღვანელობს პირის მიერ გაკეთებული მაინკრიმინირებელი განცხადებების შეფასებისას, აღიარების გამოვლენის შემდეგი ტესტით, პირველი, იყო თუ არა აგენტის მხრიდან ინიცირებული საუბარი ადრესატისთვის მოსალოდნელი ფორმით წარმართული, თუ აღნიშნული წარმოადგენდა დაკითხვის ტოლფასოვანს. მეორე, გამოიყენა თუ არა აგენტმა ეჭვმიტანილთან ურთიერთობის ან ურთიერთნდობის რაიმე განსაკუთრებული მახასიათებელი ინკრიმინაციული განცხადების მისაღებად.[171] ბრალდებულისგან ფარულად ინფორმაციის დაკითხვის ფორმისგან დამოუკიდებლად და ასევე თავისუფალ გარემოში მოპოვების მნიშვნელობაზე, მიუთითებს ევროპული სასამართლოც. მართალია, ევროპული სასამართლო არ ადგენს მტკიცებულებათა დასაშვებობის წესს, რაც წარმოადგენს ეროვნული კანონდებლობის დისკრეციის სფეროს, ხოლო ევროპული სასამართლო აფასებს მთლიანად სამართალწარმოების სამართლიანად აღსრულების პროცესს (მათ შორის მტკიცებულებების მოპოვების გზების გათვალისწინებით)[172]. აღნიშნული საკითხის შეფასებისას კი ითვალისწინებს გამოყენებული იძულების ხასიათსა და ბუნებას,

---

[169] ტრექსელი შ., ადამიანის უფლებები სისხლის სამართლის პროცესში, ვ. გოგელიას, ე. ლომთათიძეს, ე. ქარცივაძეს, თ. ივანიშვილის, მ. ნარინდოშვილის თარგმანი, კ. ვარძელაშვილის, ლ. ფაფიაშვილის, მ. ნარინდოშვილის ნ. მჭედლიძეს, რედაქტორობით, თბილისი, 2009,365

[170] Stewart H., The Confessions Rule and the Charter, McGill Law Journal Revue, Vol. 54, 2009, 523

[171] Bronitt S., The Law in Undercover Policing: A Comparative Study of Entrapment and Covert Interviewing in Australia, Canada and Europe, Common Law World Review, Vol. 33, 2004, 68

[172] Khan v. The United Kingdom [EctHR], App. No. 35394/97, 12 May 2000, Par.34.

პროცედურული გარანტიების არსებობას და მოპოვებული მასალის გამოყენებას საქმეში,[173] თუმცა გარკვეულწილად აღსანიშნავია სასამართლოს მიდგომა მტკიცებულებათა შეფასების კუთხით, რომელიც მნიშვნელოვან როლს ასრულებს სამართლის განვითარების პროცესში და სასამართლოს მიდგომა მტკიცებულებათა შეფასებასთან მიმართებით, შეიძლება გათვალისწინებული იყოს სახელმწიფოთა სახელმძღვანელო სტანდარტად კანონმდებლობის განმარტებისას.

მოცემული კუთხით გამოსაყოფია ალანის საქმე, აღნიშნულ საქმეში, ბრალდებულმა გამოიყენა დუმილის უფლება, რის შემდეგაც ბრალდების მხარემ იგი მოათავსა პოლიციის გამოცდილ ინფორმატორთან ერთად საკანში, ბრალდებულისგან მაინკრიმინირებელი ინფორმაციის მოპოვების მიზნით. სასამართლოს მიერ ალანის საქმეში დადგინდა დარღვევა, ვინაიდან ბრალდებულის მხრიდან განცხადებები გაკეთდა არა სპონტანურად და თვითნებურად, არამედ გარემოებებში, სადაც ინფორმატორი ალანთან საუბრისას პოლიციის მითითებებით ხელმძღვანელობდა და მის მიერ დასმული კითხვების ფორმატი წარმოადგენდა პოლიციის მიერ ფორმალური დაკითხვის ქცევის ტოლფასს, გამოკლებით ბრალდებულის დამცავი გარანტიების, რაც სასამართლოს მიერ შეფასდა, როგორც ფსიქოლოგიური ზეწოლა.[174] მიუხედავად იმისა, რომ ალანის საქმეში არ იყო მტკიცებულება, მის მიმართ იძულების რაიმე ფორმის გამოყენების შესახებ, სასამართლომ დაადგინა, რომ იგი არ იყო სპონტანური, გათვალისწინებით რომ მოპოვებულ იქნა მოწყვლადი პირისგან (პატიმრობაში მყოფი), დაკითხვის ტოლფასოვანი გზით.[175] შესაბამისად, როდესაც თავისუფლებაშეზღუდული ბრალდებულისგან ინფორმაციის მოპოვება უტოლდება დაკითხვის ფორმას, ვერ აკმაყოფილებს ფარულად ინფორმაციის მოპოვების მიზანშეწონილობას.

---

[173] Heaney and Mcguinness v. Ireland [EctHR], App. No. 34720/97, 21 December 2000, Par.51 .
[174] Allan v. The United Kingdom, [EctHR], App. No. 48539/99, 05 November 2002, Par.52.
[175] The right to not testify against itself in practice of the European court of human rights <file:///C:/Users/pc/Downloads/291-1-539-1-10-20190903.pdf> [31.08.2020] 25

მოცემული საქმე, სასამართლომ განასხვავა ბიკოვის საქმისგან, სადაც ბრალდებულისგან ინფორმაციის მოსაპოვებლად გამოიყენეს პირი (რომელსაც განმცხადებელმა დაუკვეთა მკვლელობა), რომელზეც იყო დამაგრებული რადიოჩამწერი მოწყობილობა, რისი საშუალებითაც ჩაიწერეს ბრალდებულის მიერ გაკეთებული მაინკრიმინირებელი განცხადებები. აღნიშნულ შემთხვევაში, განმცხადებელი დავობდა გამოყენებული ხრიკის უკანონობაზე, რამაც იმოქმედა მის პროცესუალურ უფლებაზე (თვითინკრიმინაციის პრივილეგიაზე), თუმცა პალატამ მიუთითა ალანისგან განსხვავებულ შემდეგ გარემოებებზე, კერძოდ, რომ ბრალდებული იყო თავისუფალ გარემოში, მის საცხოვრებელ ტერიტორიაზე და არა წინასწარ პატიმრობაში და ამავდროულად მასზე იყო დამოკიდებული ინფორმატორის მიღების გარემოებები, რის გამოც იგი არ იყო წნეხის ქვეშ. აქედან გამომდინარე, სასამართლომ მიიჩნია, რომ სიტუაციიდან გამომდინარე პირობები არ შეიცავდა იძულების ან ზეწოლის ელემენტებს[176]. შესაბამისად, ევროპული სასამართლო, ფარული ფორმით მაინკრიმინირებელი ინფორმაციის მოპოვებას არ გამორიცხავს, თუ აღნიშნული ინფორმაცია არის სპონტანური, უცაბედი და გაკეთებულია ზეწოლისგან დამოუკიდებელ გარემობებში.[177] ავსტრალიის სასამართლომ Donnelly-ის საქმეში ბრალდებულის მიერ დაკავების ადგილის გარეთ (საავადმყოფოში) გაკეთებული განცხადება ჩათვალა სპონტანურ აღიარებად, იმ საფუძვლით, რომ საუბრის საწყისი არ იყო ფორმალური დაკითხვის გარემოებები[178]. Hammond v. State-ის საქმეში, სასამართლომ მიიღო პირის განცხადება, როგორც სპონტანური აღიარება, ვინაიდან მიღებული იყო პოლიციის დაკითხვამდე.[179]

---

[176] „ ბიკოვი რუსეთის წინააღდეგ“ [ECtHR], განაცხადი, # 4378/02, 2009 წლის 10 მარტის განჩინება, პარ.102.

[177] Nash S., Surreptitious interrogation and notions of fairness: Allan v United Kingdom, International Journal of Evidence & Proof, vol. 7, 2003, 141

[178] <https://www.publicdefenders.nsw.gov.au/Pages/public_defenders_research/Papers%20by%20Public%20Defenders/public_defenders_excluding_evidence_admission.aspx > [09.08.2020]

[179] Colemen R., Criminal Law-Spontaneous Confessions and the Rights of Miranda, Arkansas Law Review, vol. 22, 1969, 779-780

3.2. კერძო საუბრის ხასიათი

ევროპული სასამართლო ასევე პირისგან ფარულად ინფორმაციის მოპოვებისას აფასებს მეორე მხარის (აგენტის) ქცევას. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ბიკოვის საქმეში სასამართლო, ბრალდებულისგან ინფორმაციის თავისუფალ გარემოებაში მოპოვების ელემენდატ მიუთითებდა, რომ განმცხადებელმა თავად აიღო ინიცირება საუბრის გაგრძელებაზე და მის სურვილზე იყო დამოკიდებული მიიღებდა თუ არა ინფორმატორს, ამავდროულად თავად ინფორმატორი წარმოადგენდა განმცხადებელზე დაქვემდებარებულ პირს[180]. Khan-ის საქმეში განმცხადებლისა და მეგობრის საუბარი ჩაიწერეს, რა შემთხვევაშიც სასამართლომ არ დაადგინა დარღვევაა იმ საფუძველზე, რომ B–სთან საუბრის დროს აღიარება გაკეთდა ნებაყოფლობით, სპონტანურად ბრალდებული „არ ყოფილა ხელში ჩაგდებული" და არ იყო სტიმულირებული აღიარებითი ინფორმაციის გაკეთებისთვის,[181] განსხვავებით ალანის საქმისგან, რომლის დროსაც ინფორმაცია დაჟინებული კითხვებით მოიპოვეს.[182] ასევე სასამართლო X v. Federal Republic of Germany განასხვავებს პირის პასუხისმგებლობიდან გამომდინარე გაკეთებულ განცხადებებს, ისეთ პირობებში, სადაც ფარულ აგენტს არანაირი წვლილი არ აქვს ზემოქმედების.[183] მოცემულ საქმეებში, ევროპული სასამართლო ყურადღებას ამახვილებს ბრალდებულის მიერ არა სუბორდინაციული დაქვემდებარების პირობებში გაკეთებული მაინკრიმინირებელი განცხადებების ფარულად მოპოვების მნიშვნელობაზე. აღნიშნულ გარემოებას კი აფასებს საუბრის ხასიათიდან (არის თუ არა ფუნქციურად დაკითხვისგან დამოუკიდებელი)[184], ადრესატის მიერ

---

[180] „ბიკოვი რუსეთის წინააღდეგ" [ECtHR], განაცხადი, # 4378/02, 2009 წლის 10 მარტის განჩინება, პარ.102.

[181] Khan v. The United Kingdom, [EctHR], App. No. 35394/97, 12 May 2000, Par.36.

[182] მაკბრაიდი ჯ., ადამიანის უფლებები და სისხლის სამართლის პროცესი, 2011 208

[183] Emmerson B., Ashworth A., Macdonald A., Choo L-t A., Summers M., Human rights and criminal justice, London, 2012, 348

[184] Allan v. The United Kingdom, [EctHR], App. No. 48539/99, 05 November 2002, Par.52.

საუბრის წაყვანის ფორმიდან (აქვს თუ არა მონოპოლია საუბრის ინიცირების ერთ მხარეს)[185], სტატუსებრივი დაქვემდებარებიდან გამომდინარე[186]. კანადის უზენაესმა სასამართლომ ჰებერტის საქმეში გამოიყენა „არსებითად ობიექტური“ ტესტი, რომელიც ეფუძნება პოლიციის ქცევის შეფასებას და არა კონკრეტული ეჭვმიტანილის,[187] მან დუმილის უფლების დარღვევა ხრიკის გამოყენებით შეაფასა, ბრალდებულის საკანში ინფორმატორის ჩანერგვისას, იმ არგუმენტით, რომ „ბრალდებულის მიერ ჩვენების მიცემის მიზეზი იყო სწორედ ფარული აგენტი“[188].

სამართალდამცავი ორგანოს წარმომადგენლის მიერ პირის გამოკითხვა თავისთავად სუბორდინაციულ დაქვემდებარებას ქმნის, ვინადან ისინი არიან იმ ინსტიტუტის წარმომადგენლები, რომელთა კანონისმიერ მოთხოვნათა მიმართ დამორჩილება ბრალდებულის, ვალდებულებას წარმოადგენს. მაგ: პოლიციას შეუძლია დააკავოს ბრალდებული კონკრეტული გარემოებების არსებობისას, მისი სურვილის საწინააღმდეგოდ წაიყვანოს პოლიციის განყოფილებაში და ა.შ. ამას განაპირობებს მათი სამართლებრივი აღსრულების ბერკეტები, კონკრეტული გარემოებებში, რაც სუბიექტის დამორჩილების ვალდებულების ლეგიტიმურ პირობებს ქმნის[189]. შესაბამისად, თავისთავად ბრალდებულსა და სამართალდამცავ ორგანოს წარმომადგენელს შორის არსებობს სუბორდინაციული დამოკიდებულება, დამკითხველი წარმოადგენს ზემდგომ პირს სამართლებრივი სტატუსიდან გამომდინარე. აღნიშნული დაქვემდებარება, მოქმედებს ინფორმაციის მოპოვების პირობაზე, რომელსაც ვერ გავუთანაბრებთ სპონტანურ მოპოვების ფორმას, ვინაიდან პოლიციის დომინანტური მდგომარეობის სიტუაციის

---

[185] „ბიკოვი რუსეთის წინააღდეგ“ [ECtHR], განაცხადი, # 4378/02, 2009 წლის 10 მარტის განჩინება, პარ.102.

[186] Khan v. The United Kingdom, [EctHR], App. No. 35394/97, 12 May 2000, Par.34.

[187] Bronitt S., The Law in Undercover Policing: A Comparative Study of Entrapment and Covert Interviewing in Australia, Canada and Europe, Common Law World Review, Vol. 33, 2004, 67

[188] R. v. Hebert, კანადის უზენაესი სასამართლოს 1990 წლის 21 ივნისის გადაწყვეტილება

[189]თუმანიშვილი გ.,. სისხლის სამართლის პროცესი: ზოგადი ნაწილის მიმოხილვა, თბილისი, 2014, 119

აღქმადობისას, იზრდება იძულების მასშტაბები, რაც მოქმედებს დაკითხვაში მონაწილე პირის გაბედულებაზე[190]. ამავდროულად გასათვალისწინებელია, რომ გამომკითხველის მიერ დაკავებული პირის დაკითხვისას გათვალისწინებით, რომ იგი აკონტროლებს მის ბედს, შეიძლება გარემოებების ერთობლიობიიდან გამომდინარე, ზეწოლის პირობა შექმნას, რამაც იმოქმედოს ბრალდებულის ნების შესუსტებაზე.[191] ასევე ბრალდებული ვერ ვიტყვით, რომ გამოკითხვისას, დამკითხველის პირისპირ საუბრისას, თავად წარმოადგენს საუბრის ინიცირების ადრესატს ან მის ნებაზეა დამოკიდებული მიიღებს თუ არა პოლიციელს მის ტერიტორიაზე. გათვალისწინებით, რომ დამკითხველი წარმოადგენს უფლებამოსილ პირს განსაზღვროს უშუალოდ დაკითხვის ადგილი, საუბრის მიმდინარეობის პროცესი, დამოუკიდებლად ბრალდებულის ნებისგან, როდის დაიწყონ და შეაჩერონ დაკითხვა. ხოლო ჩვეულებრივი საუბრისას (კერძო პირებს შორის) თითოეულ მონაწილეს აქვს უფლება და შესაძლებლობა წამოიწყოს ახალი საკითხი ან დაუბრუნდეს ძველს, რაც მათ შორის ინფორმაციის გაცვლის თავისუფალ, მათ ნებაზე დამოკიდებულ პირობის საფუძველს წარმოადგენს[192]. Illionis v. Perkin-ის საქმეში სასამართლო მიუთითებს, რომ პოლიციის დომინანტური ატმოსფეროს შეფასება მნიშვნელოვნად დამოკიდებულია პირის აღქმაზე და იძულებას ადგილის არ აქვს, როდესაც დაკავებული პირი თავისუფლად საუბრობს მისი წარმოდგენით კერძო სუბიექტთან, თანაბარ სტატუსებრივ დაქვემდებარების პირობებში.[193]

გასათვალისწინებელია, რომ ფარული საგამოძიებო მოქმედება თავისი სპეციფიკური ბუნებიდან გამომდინარე, მნიშვნელოვანია არ ასცდეს მიზანს და სასამართლომ და საგამოძიებო უწყებებმა სწორად შეაფასონ აღნიშნული საგამოძიებო მოქმედებების ჩატარების შესაძლებლობა

---

[190] Corn S. G ., *Miranda, Secret Questioning, and the Right to Counsel, Arkansas, Law Review 66, no. 4, 2013, 955

[191] Illinois v. Perkins, 496 U.S. 292 (1990), პარ. 297

[192] Shuy W. R., The Language of Confession, Interrogation, and Deception, London., 1998, 88

[193] Illinois v. Perkins, 496 U.S. 292 (1990), პარ 297

ბრალდებულისგან მაინკრიმინირებელი ინფორმაციის მოპოვების მიზანთან შეთავსებით. ბრალდებულის ნებისგან დამოუკიდებლად ინფორმაციის მოწოდება მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული ბრალდებულის მიერ ინფორმაციის სპონტანურად მიწოდებასთან, კერძოდ, როდესაც იგი სტიმულირებული არ არის მნიშვნელოვნად მეორე მხარის მიერ. აღნიშნულს კი გავლენა აქვს მაშინ, როდესაც იგი გარკვეულწილად ექვემდებარება საუბრის მონაწილეს, შესაბამისად, გამოკითხვისას, რომელსაც ატარებს სამართალდამცავი ორგანოს წარმომადგენელი და როდესაც ამავდროულად პირი არის დაკავებული ან მოწმის სახით მონაწილეობს გამოკითხვაში (რაც ნაკლები პროცესუალური მოტივაციით განაწყობთ), აღქმადია სიტუაციური კონტროლი თავისთავად და მოცემული ასევე იმოქმედებს ინფორმაციის ფორმირებაზე.

შესაბამისად, ბრალდებულის გამოკითხვის შემთხვევებზე ფარული საგამოძიებო მოქმედების გავრცელება სავარაუდოდ ვერ პასუხობს სპონტანურობის მოთხოვნას, დაკითხვის სიტუაციიდან გამომდინარე, ვინადაინ აღნიშნული საგამოძიებო მოქმედებისას არსებობს ბრალდებულის სტრესული მდგომარეობის სიტუაცია, რაც მოქმედებს თავისთავად მის მიერ მიწოდებული ინფორმაციის შეფასებაზე. შესაბამისად, გამოკითხვის საგამოძიებო მოქმედებისთვის დამახასიათებელი გარემოებები ცდება ბრალდებულისგან ფარული გზით ინფორმაციის მოწოდების მიზანს, მოიპოვოს ბრალდებულისგან სპონტანურად, უცაბედად ინფორმაცია. აქედან გამომდინარე, მიზანშეწონილი იქნება თუ ფარული საგამოძიებო მოქმედებები ან ოპერატიული-სამძებრო ღონისძიები უშუალოდ არ გავრცელდება საგამოძიებო ორგანოების კონტროლ ქვეშ არსებულ გამოკითხვის ეტაპზე და უშუალოდ ისეთ პირობებში გავრცელდება, სადაც ბრალდებულს ექნება არჩევანის თავისუფლება ისარგებლოს დუმილის უფლებით თუ არა.[194]

[194] მაღლაკელიძე ლ, ბრალდებულის შეცდომაში შეყვანის გზით მოპოვებული ინფორმაცია და თვითინკრიმინაციისაგან დაცვის პრივილეგია ქართული და ადამიანის უფლებათა

დასკვნა

აღარებითი ჩვენება მნიშვნელოვან მტკიცებულებით სახეს წარმოადგენს, თუმცა ამავდროულად გასათვალისწინებელია მისი მოპოვების პირობები. თუ აღიარების მოპოვების საშუალება არის საგამოძიებო ორგანოს მიერ ბრალდებულის დაკითხვა/გამოკითხვა, სადაც უფრო მეტი რისკი არსებობს ბრალდებულის ნებაზე ზემოქმედების, მისი მტკიცებულებითი მნიშვნელობის გარანტიას წარმოადგენს, ბრალდებულის მონაწილეობით მისი გამოკლევა უშუალოდ სასამართლო პროცესზე. მოცემული პირობა კი, უზრუნველყოფს აღნიშნული ინფორმაციის სრულყოფილად გამოკვლევას და ამასთანავე ბრალდებულის ნების პატივისცემის გზით მისგან მაინკრიმინირებელი ინფორმაციის მოპოვებას. შესაბამისად, მნიშვნელოვანია აღნიშნული კუთხით საპროცესო კოდექსის ნორმების ჰარმონიზაცია.

საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი საკმაოდ მყარ გარანტიებს შეიცავს ბრალდებულის დუმილის უფლების საპროცესო გარანტიებიდან გამომდინარე, როგორც საგამოძიებო, ასევე საქმის არსებითი განხილვის ეტაპზე. იმის გათვალისწინებით, რომ ბრალდებულის ჩვენება (მათ შორის აღიარებითი ინფორმაცია) ეს არის სასამართლოსთვის მიწოდებული ინფორმაცია და ასევე მის მიერ მიწოდებული წინასასამართლო განცხადებები გამოკვლევა არსებით სხდომაზე დაკავშირებულია უშუალოდ ბრალდებულის თანხმობასთან, განსხვავებით აშშ-ს, ინგლისის, კანადისა და სხვა ქვეყნების მაგალითისგან, სადაც ბრალდებულის მიერ სასამართლომდე გაკეთებული განცხადებებს იკვლევენ საქმის არსებით განხილვაზე, მიუხედავად ბრალდებულის ნებისა. თუმცა ფარული საგამოძიებო მოქმედებისა და ოპერატიული სამძებრო ღონისძიების საგამონაკლისო წესის გამოკითხვის შემთხვევებზე

დაცვის ევროპული სასამართლოს პრაქტიკის მიხედვით, გერმანულ-ქართული სისხლის სამართლის ჟურნალი, #3, 2018, 65

გავრცელებით შეიძლება ითქვას, რომ ბრალდებულის მიერ საქმის არსებით განხილვის სხდომაზე ინფორმაციის მიწოდების მნიშვნელობა იკარგება. ამავდროულად დუმილის უფლების პრივილეგიით სარგებლობა ფორმალური მნიშვნელობისაა, ვინაიდან მოცემულ შემთხვევაში ბრალდებული მისთვის არც ისე ხელსაყრელი ორი ალტერნატივის წინაშე არის, გათვალისწინებით, რომ ერთი მხრივ, ბრალდებულის მიერ მიწოდებული ინფორმაციის გამოკვლევის გარეშე მტკიცებულებად მიღების პრეცედენტი იქმნება, ხოლო მეორე მხრივ, ბრალდებულის ნებაზე ზემოქმედების შესაძლებლობა, მონაწილეობა მიიღოს აღნიშნული მტკიცებულების გამოკვლევაში. ასევე გამოკითხვა (მის საფუძველზე მოპოვებული ოქმი/ვიდეო-აუდიოჩანაწერი), საფუძველია სწორედ ბრალდებულის დაკითხვის სასამართლოში, მის სურვილის შემთხვევაში და არა დამოუკიდებელ მტკიცებულებად შეფასების. მოცემული გამონაკლისის გამო, კი ბრალდებულის საპროცესო გარანტია, ისარგებლოს საქმის არსებით განხილვის ეტაპზეც დუმილის უფლებით ფორმალურია. მიუხედავად იმ დაშვებისა, რომ პრივილეგიით სარგებლობის შეზღუდვა არ უნდა იყოს დაკავშირებული დანაშაულთა კატეგორიებსა და ხასიათზე. შესაბამისად, მნიშვნელოვანია საპროცესო გარანტიის განსაზღვრის საკითხი არ იყოს დაკავშირებული ფარდობითობასთან, ბრალდებულის ნების პატივისცემის კუთხით.

აქედან გამომდინარე, მნიშვნელოვანია განისაზღვროს, თუ როდის წარმოეშვება აღნიშნული პრივილეგია საგამოძიებო უწყებებს და რამდენად საფუძვლიანია ფარული ჩანაწერის დაკანონება, როდესაც საქმის არსებით განხილვის სხდომაზე, ნებაყოფლობითი, ინფორმირების საფუძველზე არსებული ჩანაწერის დაუშვებლობის საკითხი შესაძლოა დადგეს, ხოლო ბრალდებულის საპროცესო გარანტიების უგულებელყოფით მოპოვებული მტკიცებულება დასაშვები იყოს.

მოცემულ შემთხვევაში, კოლიზიური მდგომარეობა იქმნება ერთი მხრივ, ბრალდებულის საპროცესო პრივილეგიებს შორის, კერძოდ

გამოკითხვის სტანდარტს, (რომლის მიხედვითაც ბრალდებული უნდა გაფრთხილდეს მისი საპროცესო უფლებების შესახებ: ადვოკატის ყოლისა და საკუთარი თავის წინააღმდეგ ინფორმაციის მიუწოდებლობაზე, მისი ვიდეო-აუდიო ფორმით ჩაწერის შესახებ) და ბრალდებულის მიერ საგამოძიებო უწყებებისთვის მიწოდებული ინფორმაციის საქმის არსებით სხდომაზე ბრალდებულის თანხმობით გამოკვლევასა და მეორე მხრივ, ფარული საგამოძიებო მოქმედებების შედეგად ინფორმაციის მოპოვების საგამონაკლისო ნორმას შორის.

თანაბარი დონის სამართლის ნორმათა ურთიერთწინააღდმეგობისას მნიშვნელოვანია დადგინდეს სწორი მიმართება მათ შორის, რათა გამოირიცხოს თვითნებური გზით ნორმების ინტერპრეტაცია, მოცემულ დროს, კი მნიშვნელოვანია არა მხოლოდ ნორმის სიტყვასიტყვითი განმარტება არამედ ნორმის ლოგიკური და სისტემური ანალიზი, რის საფუძველსაც წარმოადგენს ნორმის მიზნების, მათი გამოყენების საფუძვლებისა და ბრალდებულის პროცესუალური გარანტიების შეფასება ურთიერთკავშირში.

ბრალდებულის ნების გაუთვალისწინებლად, როდესაც მიმდინარეობს ფარული აუდიო-ვიდეო ჩაწერა, ბრალდებული არ არის ინფორმირებული ჩაწერაზე, თუმცა ფარული ჩაწერა არ არის მხოლოდ დაკავშირებული თავისი ბუნებით იმ გარემოებასთან, რომ პირმა არ იცის, რომ მას იწერენ და უსმენენ, არამედ მოცემული დაკავშირებულია ამავდროულად მის თავისუფალ მოქმედებასთან, ისაუბროს მისი სურვილისამებრ, მისი წარმოდგენით დაცულ და თავისუფალ გარემოებაში. სწორედ ამ პირობებს ებმის ფარულად ბრალდებულისგან მაინკრიმინირებელი ინფორმაციის მოპოვება, ხოლო პირობებში, სადაც ბრალდებული არის საგამოძიებო ორგანოების კონტროლქვეშ, დაკავებული და ამასთანავე გამოკითხვაზე მოცემული სტანდარი არ არის დაკმაყოფილებული, ვინაიდან ბრალდებული ნაკლებად გრძნობს თავს თავისუფლად და დაცულად (გათვალისწინებით, რომ მას ადვოკატის

კონსულტაციამდე კითხავენ და ხშირად არც საკუთარი თავის წინააღმდეგ ინფორმაციის მიუწოდებლობის შესახებ აფრთხილებენ), და ასევე სამართალდამცავ ორგანოებს საგამოძიებო დაწესებულების ტერიტორიაზე პირის მიმართ ფარული მოქმედებების წარმოება მეტ ძალაუფლებლივრ ბერკეტებს ანიჭებს, პირის მანიპულაციისთვის და სასურველი ჩვენების მიღებისთვის, ხოლო აღნიშნული წესის გამოკითხვის შემთხვევებზე გავრცელება თავისთავად რისკის შემცველია, სამართალდამცავების მიერ ბრალდებულის მიზანმიმართულ ობიექტად აღქმიდან გამომდინარე.

პირისგან მისი მაინკრიმინირებელი ინფორმაციის ფარულად მოპოვება ოპერატიული/ფარული საგამოძიებო მოქმედებებით დაკავშირებულია იმ ძირითად მიზანთან, რომ პირის ნებისგან დამოუკიდებლად ინფორმაციის მოპოვება, რომელმაც შესაძლოა შეიძინოს დამოუკიდებელი პირდაპირი მტკიცებულებითი ღირებულება, ბრალდებულის სასამართლოზე დაკითხვისგან დამოუკიდებლად, დაკავშირებული იყოს ისეთ პირობებში ინფორმაციის მოპოვებასთან, რომელშიც პირს ექნება მოქმედების თავისუფლების მასშტაბები და აღნიშნულიდან გამომდინარე მიიღებს გადაწყვეტილებას და არა მასზე გავლენის მომხდენი პირობებიდან გამომდინარე, რაც ინფორმაციის ნებაყოფლობითობის ბუნებას განაპირობებს (საკუთარი პასუხისმგებლობიდან გამომდინარე) მისი თავისუფალ გარემოებაში მოპოვებით. იმ შემთხვევაში, თუ გამოკითხვაზე გავრცელდება მოცემული საგამოძიებო მოქმედებები და თუნდაც ამვდროულად პირი გააფრთხილონ (საკუთარი თავის წინააღმდეგ ჩვენების მიუცემლობის უფლებაზე), დაიკარგება მოცემული საგამოძიებო მოქმედებების ბუნება თავიდანვე ბრალდებულის ნების გაუთვალისწინებლობის და საპროცესო გარანტიისთვის გვერდის ავლის საშუალება იქნება. აღნიშნული კი ვლინდება იმ დანაწესიდან, რომ მოცემული სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი ბრალდებულის მიერ გამოძიებისთვის მიწოდებული ინფორმაციას საქმის არსებით განხილვის სხდომაზე გამოკვლევას

უკავშირებს ბრალდებულის ნებას, ვინაიდან ბრალდებულის ჩვენება ეს არის მისი უფლება. ხოლო ოპერატიული/ფარული საგამოძიებო მოქმედებები აღნიშნულ პრინციპთან დაპირისპირებისგან გვერდის ასავლელად, მოქმედებს სტანდარტიდან გამომდინარე, რომ ბრალდებულისგან ინფორმაციის მოპოვება თავიდანვე ბრალდებულის ნების გაუთვალისწინებლად ხდება. მოცემულში კი მოიაზრება, არა მხოლოდ აუდიო-ვიდეო ჩაწერის შესახებ ბრალდებულის არაინფორმირებულობა, არამედ პირობები, რომელიც ამავდროულად ბრალდებულის თანხმობით საგამოძიებო უწყებებისთვის ინფორმაციის მიწოდებას გამორიცხავს (ვინაიდან მან არ იცის, რომ მისგან მაინკრიმინირებელ ინფორმაციას მოიპოვებენ საგამოძიებო ორგანოები, რომელიც შეიძლება მის წინააღმდეგ გამოიყენონ და იგი ინფორმაციას აწვდის სპონტანურად, თავისუფალ გარემოებაში).

შესაბამისად, ფარულად ინფორმაციის მოპოვება, იმისთვის, რომ არ იყოს დაკავშირებული ბრალდებულის არჩევანის თავისუფლების შემზღუდველ გარემოებებთან, თავდაპირველ საფუძველს წარმოადგენს სწორედ ის გარემოება, რომ ბრალდებულისგან მაინკრიმინირებელი ინფორმაციის მოპოვება მისგან მალულად ხდება, რომ აღნიშნული გამოყენებულ იქნება მის წინააღმდეგ, რის გამოც ბრალდებული მაინკრიმინირებელი განცხადებების გაკეთებისას სპონტანურობიდან გამომდინარე, თავისუფალი არჩევნის პირობებში იღებს გადაწყეტილებას. ხოლო შემდგომ საფუძველს წარმოადგენს პირობები, რომელშიც ის მოიპოვება, გამოკითხვა, როდესაც ასოცირდება სავარაუდო ზეწოლასთან, სუბორდინაციულ დაქვემდებარებასთან მოცემული სტანდარტი არ არის დაკმაყოფილებული.

ამასთანავე გამოკითხვის შემთხვევებზე ბრალდებულისგან მაინკრიმინირებელი ინფორმაციის ფარული მოპოვება, შესაძლოა მოექცეს სსსკ-ის მე-4 მუხლის ნორმით გათვალისწინებული მოტყუების კატეგორიაში. მართალია მოცემულ შემთხვევაში უშუალოდ ფარული

ჩაწერა ინფორმაციის არ წარმოადგენს ბრალდებულის ნებაზე პირდაპირი ზემოქმედების შემთხვევას, მაგრამ გასათვალისწინებელია გამოკითხვის გარემოებები, რომლის განმავლობაშიც არსებობს სუბორდინაციული დამოკიდებულება და ზეწოლის პრეზუმფცია. ამასთანავე ბრალდებულისგან ფარულად ინფორმაციის მოპოვების მიზანი, ბრალდებულისგან ინფორმაციის სპონტანურად და მისი ნებისგან დამოუკიდებლად მოპოვება, ცდება გამოკითხვის შემთხვევაში ოპერატიული, ფარული საგამოძიებო მოქმედების მიზანს და ქმნის ბრალდებულის ნებაზე ზემოქმედების პირობებს, ვინაიდან ბრალდებულისგან ფარულად ინფორმაციის მოპოვება კუმულაციურად ერწყმის გარემოებებს, რომელიც თრგუნავს აღნიშნული საგამოძიებო მოქმედებების მიზანს- თვითნებურად, სპონტანურად ინფორმაციის მოპოვების, და წარმოადგენს ბრალდებულის ნებაზე ზემოქმედების კატეგორიას მოცემული ფორმით ინფორმაციის მოპოვებისას.

შესაბამისად, ნორმის სწორად განმარტების შემთხვევაში, შესაძლოა დავასკვნათ, რომ ფარული საგამოძიებო მოქმედების გავრცელება ბრალდებულის გამოკითხვის ეტაპზე არ გამომდინარეობს სსსკ-ის საგამონაკლისო წესიდან, ვინაიდან გამოკითხვის სიტუაცია, როდესაც ბრალდებული არც თუ ისე დიდი არჩევანის წინაშე დგას, რასაც ემატება საგამოძიებო ორგანოების მიზანმიმართული შეკითხვები (სუბორდინაციული დაქვედებარება), თავისთავად ვერ აკმაყოფილებს სპონტანურობის აღნიშნულ პირობას. შესაბამისად, სწორი იქნება თუ ნორმა მიზნობრივად გამოიყენება და არ იქნება ბრალდებულის საპროცესო გარანტიისთვის გვერდის ავლის საშუალება.

უშუალოდ ევროპული სასამართლოს მიერ ჩამოყალიბებული მიდგომიდან გამომდინარე, იგი ფარული გზით ბრალდებულის საპროცესო გარანტიებისთვის გვერდით ავლით, ინფორმაციის მოპოვების შეფასებას უკავშირებს გარემოებებს, რომელშიც ის მოიპოვება და ინფორმაციის ხასიათს. აღნიშნულიდან გამომდინარე, ბრალდებულის მიმართ ფარული

გზით მოპოვებული მტკიცებულებებიდან გამოყენების მიზანშეწონილობის კუთხით შეიძლება გამოვყოთ შემდეგი: პოლიციის განყოფილებაში ბრალდებულის ნებისგან დამოუკიდებელი მტკიცებულების მოპოვება, საგამოძიებო უწყებების ფარგლებს გარეთ ფარული აგენტის მიერ ბრალდებულისგან მაინკრიმინირებელი ინფორმაციის მოპოვება, სპონტანურ პირობებში, სადაც მაღალი ალბათობაა ბრალდებულის მიერ თავისუფალი არჩევნის შედეგად მაინკრიმინირებელი განცხადებების გაკეთების, რაზეც მიუთითებს გარემოებები, რომ ის თავად არის ინიციატორი საუბრის, არ იმყოფება პატიმრობაში.

შესაბამისად, სსსკ-ის მუხლით დადგენილი გამონაკლისი, რომელიც ვრცელდება ფარული ჩაწერით მოპოვებულ ინფორმაციაზე საგამონაკლისო წესი, მიზანშეწონილია გავრცელდეს არა უშუალოდ გამოკითხვის შემთხვევაზე, არამედ პირის ნებისგან დამოუკიდებელი ინფორმაციის ფარულად მოპოვების შემთხვევაზე, სპონტანურ პირობებში. მოცემულ შემთხვევაში, ნორმიდან გამომდინარე აბსოლუტური ფორმით არ ირიცხება პირისგან ინფორმაციის მოპოვება, რომელიც შეიძლება გამოვლინდეს საგამოძიებო მოქმედებების წარმართვისას. მოცემული ნორმის ინტერპრეტაცია კი საჭიროა არ გამოიყენებოდეს ბრალდებულის დაკითხვისას მოპოვებული აღიარებით ჩვენებაზე ფარული ჩაწერის საგამოძიებო მოქმედების გავრცელების შესაძლებლობით. შესაბამისად, თუ გავითვალისწინებთ საპროცესო გარანტიის მიზანსა და ფარული საგამოძიებო მოქმედების ჩატარების ხასიათს, ევროპული სასამართლოს მიდგომის მიხედვით, მიზანშეწონილია არ გავრცელდეს ბრალდებულის მიერ აღიარებით ინფორმაციის მოპოვებულ შემთხვევებზე, აღნიშნული საგამოძიებო მოქმედება. აქედან გამომდინარე, წინასასამართლო სხდომაზე უნდა გამოირიცხოს აღნიშნული გზით მოპოვებული აღიარების, როგორც მტკიცებულების დასაშვებობა.

სამეცნიერო ლიტერატურა

1. აქუბარიდა ირინა, ბრალდებულის უფლებები და ევროპული სტანდარტები, ევროპული და საერთაშორისო სამართლის ზეგავლენა ქართულ სისხლის საპროცესო სამართალზე, გიორგი თუმანიშვილის, ბაჩანა ჯიშკარიანისა და ედვარდ შრამის რედაქტორობით, თბილისი, 2019

2. ბოხაშვილი ბესარიონ, მშვენიერაძე გიორგი, ყანდაშვილი ირაკლი, ეჭვმიტანილთა საპროცესო უფლებები საქართველოში, თბილისი, 2016

3. გროესტადი ანნე, რუი იონ პეტერ, ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-5 და მე-6 მუხლების გამოყენება სისხლის სამართლის საქმეებზე, თბილისი, 2012

4. გოგშელიძე რეზო, სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის კომენტარები, თბილისი, 2012

5. გერმანოზაშვილი ელენე, მტკიცებულების ცნება და ადგილი სისხლის სამართლის პროცესის სისტემაში და მათი შეფასება, ჟურნ. „მართლმსაჯულება და კანონი“, N3(55), 2017

6. დეკანოზიშვილი გია, სადისერტაციო თემა: დაკითხვის თანამედროვე პრობლემები სისხლისსამართალწარმოებაში და კრიმინალისტიკაში, თბილისი, 2009

7. თუმანიშვილი გიორგი, სისხლის სამართლის პროცესი: ზოგადი ნაწილის მიმოხილვა, თბილისი, 2014

8. იზორია ლევან, კორკელია კონსტანტინე, კუბლაშვილი კონსტანტინე, ხუბუა გიორგი, საქართველოს კონსტიტუციის კომენტარები, ადამიანის ძირითადი უფლებანი და თავისუფლებანი, თბილისი, 2005

9. კორკელია კონსტანტინე, ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის გამოყენება საქართველოში, თბილისი, 2004

10. კეიპი ედ, ნამორაძე ზაზა, ეფექტური სისხლისსამართლებრივი დაცვა აღმოსავლეთ ევროპაში, ბესარიონ ბოხაშვილის თარგმანი, თამარ ქალდანის რედაქტორობით, ფონდი ღია საზოგადოება საქართველო, 2013

11. ლალიაშვილი თამარ, კონფლიქტი ფარულ საგამოძიებო მოქმედებებსა საგამოძიებო მოქმედებებსა და ადამიანის ძირითად უფლებებს შორის, ჟურნ. „სამართალი და მსოფლიო“, N6, თბილისი, 2017

12. ლალიაშვილი თამარ, გამოძიების პროცესში პირის მოწმის სახით დაკითხვის პრობლემატური მხარეები და მისი სამართლებრივი შედეგები, „სამართალი და მსოფლიო“, N4, თბილისი, 2016

13. მაღლაკელიძე ლავრენტი, ბრალდებულის შეცდომაში შეყვანის გზით მოპოვებული ინფორმაცია და თვითინკრიმინაციისაგან დაცვის პრივილეგია ქართული და ადამიანის უფლებათა დაცვის ევროპული სასამართლოს პრაქტიკის მიხედვით, გერმანულ-ქართული სისხლის სამართლის ჟურნალი, #3, 2018

14. მეიშვილი ზაზა, მოწმეთა დაკითხვა გამოძიების ეტაპზე, ჟურნ. „მართლმსაჯულება და კანონი“, #2(50), 2016

15. მითაიშვილი მარიამ, მოწმეთა დაკითხვა გამოძიების ეტაპზე (შედარებით-სამართლებრივი ანალიზი), წიგნში; სისხლის

სამართლის აქტუალური საკითხები, N3, კ. რუსიძის რედაქტორობით, თბილისი, 2018

16. მსხილაძე ლილი., ბრალდებულის უფლება – მისცეს ჩვენება, ჟურნ. „მართლმსაჯულება და კანონი“, #4(53), 2016

17. მაკბრაიდი ჯერემი, ადამიანის უფლებები და სისხლის სამართლის პროცესი, 2011

18. ტრექსელი შტეფან, ადამიანის უფლებები სისხლის სამართლის პროცესში, ვანო გოგელიას, ეკა ლომთათიძეს, ეკა ქარცივაძეს, თამთა ივანიშვილის, მალხაზ ნარინდოშვილის თარგმანი, კონსტანტინე ვარძელაშვილის, ლალი ფაფიაშვილის, მალხაზ ნარინდოშვილის, ნანა მჭედლიძის, გიორგი მელაძის რედაქტორობით, თბილისი, 2009

19. ფილიპ ლიჩი, როგორ მივმართოთ ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოს, მე-3 გამოცემა, ეკა ლომთათიძის, ლალი ჩხეტიას, ქეთი აბაშიძისა და ნოდარ თოფურიძის თარგმანი, თბილისი, 2013

20. ფაფიაშვილი ლალი, თუმანიშვილი გიორგი, კვაჭანტრაძე დავით, ლიპარტელიანი ლარისა, დადეშქელიანი გერმანე, გუნცაძე შორენა, მეზვრიშვილი ნათია, თოლორაია ლონდა., სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის კომენტარები , თბილისი, 2015

21. ჩომახაშვილი ქეთევან, თომაშვილი თამარ, ძებნიაური გირშელ, ოსეფაშვილი სალომე, პატარიძე მარიამ, მტკიცებულებები სისხლის სამართლის პროცესში, თბილისი, 2016

22. ჩხეიძე ია, ფარული აუდიო და ვიდეოჩანაწერის იურიდიული ბუნება სისხლის სამართლის პროცესში, ჟურ. „მართლმსაჯულება და კანონი“, 2007

23. Bradley M. Graig, Interrogation and silence: A comparative study, Wisconsin International Law Journal, Vol. 27, 2009

24. Bronitt Simon, The Law in Undercover Policing: A Comparative Study of Entrapment and Covert Interviewing in Australia, Canada and Europe, Common Law World Review, Vol. 33, 2004,

25. Conti P. Richard, The psychology of false confessions, The Journal of Credibility Assessment and Witness Psychology, Vol. 2, 1999

26. Colemen Rendy, Criminal Law-Spontaneous Confessions and the Rights of Miranda, Arkansas Law Review, vol. 22, 1969

27. Corn S. Geofrrey, Miranda, Secret Questioning, and the Right to Counsel, Arkansas, Law Review 66, no. 4, 2013

28. Deniss Iann., Instrumental Protection, Human Right or Functional Necessity ? Reassessing the Privilege Against Self-Incrimination, Cambridge Law Journal, vol.54, 1995

29. Emmerson Ben, Ashworth Andrew, Macdonald Alison, L-T Andrew , Summers Mark, Summers M., Human rights and criminal justice, London, 2012

30. Geller A. William., Videotaping Interrogations and Confessions, Washington, 1993

31. Hritz C. Amelia, Voluntariness with a Vengeance: The Coerciveness of Police Lies in Interrogations, Cornell Law Review, vol. 102

32. Jackson John., Re-Conceptualizing the Right of Silence as an Effective Fair Trial Standard, The International and Comparative Law Quarterly, Vol. 58, 2009

33. Kessel Van Gordon, European Perspectives on the Accused as a Source of Testimonial Evidence, West Virginia Law Review, vol. 100, 1998

34. Kyle C. Scherr, Stephanie Madon., You Have the Right to Understand: The Deleterious Effect of Stress on Suspects' Ability to Comprehend Miranda, Law and Human Behavior, Vol. 36, 2012

35. Kamisar Yale, Brewer v. Williams, Massiah and Miranda: What Is 'Interrogation'? When Does It Matter? Geo. L. J. 67 , 1978, 97-100

36. Lewis Lisa, Rethinking Miranda: Truth, Lies, and Videotape, Gonzaga Law Review, vol. 43, 2007

37. Linkins Renee J, Satisfy the Demands of Justice: Embrace Electronic Recording of Custodial Investifative Interviews Through Legislation, Agency Policy, or Court Mandate, American Criminal Law Review, vol. 2007

38. Meissner A. Christian, Russano B. Melissa, The psychology of interrogations an false confessions, The Canadian Journal of Police & Security Services, Vol. 1, 2003

39. Mitchell R. M., Criminal Procedure - Conduct of Police in Allowing Suspect in Custody to Speak with His Wife Is Not Tantamount to Interrogation even though Police Were Aware That the Suspect Would Possibly Incriminate Himself during the Conversation. Texas Tech Law Review vol. 19, 1988

40. Nash Susan, Surreptitious interrogation and notions of fairness: Allan v United Kingdom, International Journal of Evidence & Proof, vol. 7, 2003

41. Orthmann Hess Christine, Hes M. Kären, Criminal Investigation , New York, 2010

42. Sullivan p. Thomas, Police Experiences with Recording Custodial Interrogation, Chicago, 2004

43. Slobogin Christopher, Lying and Confessing, Tech L. Rev , 2006-2007

44. Tadros Victor and Tlerne Stephen, The Presumption of Innocence and the Human Rights Act, The Modern Law Review, Vol. 67, 2004

45. Vitkauskas Dovydas, Dikov Grigoriy, Protecting the Right to a Fair Trial under the European Convention of Human Rights, Council of Europe human rights handbooks, 2012.

46. Waye Vicki, Video Tape of Custodial Interrogation, Adelaide Law Review, vol. 12 , 1989

სამართლებრივი აქტები:

1. ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია

1. პოლიტიკურ უფლებათა და თავისუფლებათა შესახებ პაქტი

2. საქართველოს კონსტიტუცია

3. საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი

სასამართლო გადაწყვეტილებები:

1. Aleksandr Zaichenko v. Russia, [ECtHR], App. No. 39660/02, 18 February 2010
2. „ბიკოვი რუსეთის წინააღდეგ“ [ECtHR], განაცხადი, # 4378/02, 2009 წლის 10 მარტის განჩინება
3. „ჯალო გერმანიის წინააღმდეგ“ [ECtHR], განაცხადი, #54810/00, 2006 წლის 11 ივლისის განჩინება
4. Allan v. The United Kingdom, [ECtHR], App. No. 48539/99, 05 November 2002
5. J.B. v. SWITZERLAND, [ECtHR], App.no.31827/96, 3 May 2001
6. P.G. and J.H. v. The United Kingdom, [ECtHR], App. No. 44787/98, 25 September 2001
7. Khan v. The United Kingdom, [ECtHR], App. No. 35394/97, 12 May 2000
8. Heaney and Mcguinness v. Ireland, [ECtHR], App. No. 34720/97, 21 December 2000
9. John Murray v. The United Kingdom, [ECtHR], App. no. 18731/91, 8 February 1996
10. Saunders v. The United Kingdom [ECtHR], App. No. 19187/91, 17 December 1996
11. Funke v. France [ECtHR], App. No. 10828/84, 25 February 1993
12. Illinois v. Perkins, 496 U.S. 292 (1990)

13. Miranda v. Arizona, 384 U.S. 436 (1966)

14. City and Borough of Juneau v. Quinto, ალასკას უზენაესი სასამართლოს 1984 წლის 29 ივნისის გადაწყვეტილება

15. R. v. Oickle, კანადის უზენაესი სასამართლოს 2000 წლის 29 სექტემბრის გადაწყვეტილება

16. R. v. Hebert, კანადის უზენაესი სასამართლოს 1990 წლის 21 ივნისის გადაწყვეტილება

17. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2018 წლის 14 დეკემბრის №1/4/809 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქე ტიტიკო ჩორგოლიანი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“

18. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2016 წლის 30 სექტემბრის №1/8/594 გადაწყვეტილება საქმეზე, „საქართველოს მოქალაქე ხათუნა შუბითიძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“

19. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2015 წლის 22 იანვრის №1/1/548 გადაწყვეტილება საქმეზე, „საქართველოს მოქალაქე ზურაბ მიქაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, №1/1/548, 22 იანვარი, 2015

20. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2007 წლის 26 დეკემბრის №1/3/407 გადაწყვეტილება საქმეზე, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია და საქართველოს მოქალაქე ეკატერინე ლომთათიძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“

რეკომენდაციები/ანგარიშები

1. სახალხო დამცველის ანგარიში, საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ, თბილისი, 2019

2. სასამართლო პროცესის მონიტორინგის ანგარიში საქართველო, ვარშავა, 2014

3. მოწმის დაკითხვის ახალი წესის კვლევა, თბილისი, 2017;

4. სახელმძღვანელო პრინციპები ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-6 მუხლთან დაკავშირებით, 31 დეკემბერი, 2013, 132; ხელმისაწვდომია უზენაესი სასამართლოს ოფიციალურ ვებ-გვერზე: <http://www.supremecourt.ge/news/id/1538> [09.08.2020]

5. Directive (EU) 2016/343 of the European Parliament and of the Council of 9 March 2016 on the strengthening of certain aspects of the presumption of innocence and of the right to be present at the trial in criminal proceedings https://eur-lex.europa.eu/legal-content/EN/TXT/?uri=CELEX%3A32016L0343

6. წამების საწინააღმდეგო კომიტეტის მოხსენება, 2001, 29 <https://www.refworld.org/cgibin/texis/vtx/rwmain/opendocpdf.pdf?reldoc=y&docid=471efbdf2 > [08.09.2020]

7. Juan E. Méndez:Torture and other cruel, inhuman or degrading treatment or punishment, 71/298 05 Aug. 2016; ხელმისაწვდომია United Nations of human rights-ის ოფიციალურ ვებ-გვერდზე: <https://www.ohchr.org/en/issues/torture/srtorture/pages/srtortureindex.aspx>[09.08.2020]

8. Manfred Nowak: eport of the Special Rapporteur on torture and other cruel, inhuman or degrading treatment or punishment, 4/33, 05 Jan. 2007; ხელმისაწვდომია United Nations of human rights-ის ოფიციალურ ვებ-გვერდზე: <https://www.ohchr.org/en/issues/torture/srtorture/pages/srtortureindex.aspx>[09.08.2020]

9. General Comment of the Human Rights Committee N 13; <https://www.refworld.org/docid/453883f90.htm> [09.08.2020]

ელექტრონული წყარო:

1. <https://www.interpressnews.ge/ka/article/556592-prokurori-akciis-dashlis-sakmeze-dakavebuli-policieli> [09.08.2020]

2. <https://imedinews.ge/ge/samartali/97638/ras-ambobs-smitebis-mkvlelobashi-braldebuli-mtskemsi-agiarebit-chvenebashi-video> [09.08.2020]

3. <https://www.hse.gov.uk/enforce/enforcementguide/investigation/witness-questioning.htm> [09.08.2020]

4. <https://www.apa.org/pubs/highlights/spotlight/issue-137> [09.08.2020]

5. <https://www.publicdefenders.nsw.gov.au/Pages/public_defenders_research/Papers%20by%20Public%20Defenders/public_defenders_excluding_evidence_admission.aspx> [09.08.2020]